საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
26 ივლისი ხუთშაბათი 2012 №175 (13 781) ფასი 80 თეთრი

# გუშინ ოლიმპიელები საქართველოდან გაფრინდნენ...

## ...ლონდონში ფრენის იმედით

# ლონდონში ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 1 დღე


ვალერი ლიპარტელიანი


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ნუგზარ ტატალაშვილი (მარცხნივ) და ვლადიმერ ნუცუბიძე

## ხვალინდელ ლელოში შემოგთავაზებთ საქართველოს ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობას და ლონდონში მათი გამოსვლის განრიგს

# გორის ციხეს ვიკინგები მოადგნენ
# არ შევუშვათ ვიკინგები გორის ციხეში

## საფეხბურთო საქართველო დილას შესცქერის




2

გორის დილას ფეხბურთელებმა გუშინ ვაკეში ივარჯიშეს

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



# სერ ალექსი სეირს გვპირდება

## სიტი ფავორიტი გგონიათ?

ინტერვიუ ალექს ფერგიუსონთან

7

# ქართული ფეხბურთი

● ევროპალიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩების წინ

## თემურ შალამბერიძე: დაცვაში ჩაჯდომა არ შეიძლება

26.07. თბილისი. მ. მესხი. 18:00

დილა (საქართველო) VS ორჰუსი (დანია)

პირველი მატჩი 2:1


თემურ შალამბერიძე
თამუნა ყულუმბეგაშვილი ფოტო

"დილა" ევროთასებზე ჩვენი უკანასკნელი იმედია. დღეს გორელები ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით მატჩში დანიურ "ორჰუსს" უმასპინძლებენ.

24 ივლისიდან "დილა" ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ბაზა "ბასაზე" შეკრებაზე გადავიდა. გუშინ კი **თემურ შალამბერიძემ** და **გია ცეცაძემ** გუნდი **მიხეილ მესხის** სახელობის სტადიონზე 18 საათზე ავარჯიშეს – დღეს შეხვედრაც ზუსტად ამ დროს დაიწყება.

მოახლოებული შეხვედრისათვის ფეხბურთელები პაპანაქება სიცხეში ემზადებიან. მწვრთნელები და მოთამაშეები კარგად აცნობიერებენ, რომ მიუხედავად პირველი შეხვედრის მოგებისა, განმეორებით მატჩში პირველზე არანაკლები მონდომება სჭირდებათ – ეს გუშინ პრესკონფერენციაზე გორის "დილას" მთავარმა მწვრთნელმა თემურ შალამბერიძემ განაცხადა.

**- რა თამაშს დაუპირისპირებთ მეტოქეს?**

იმავეს, როგორიც პირველ მატჩში ვაჩვენეთ. ახლის მოგონებას არ ვაპირებთ და შევეცდებით, შემდეგ ეტაპზე გავიდეთ.

**- შემადგენლობას არ შეცვლით?**

- ამას ხვალ ნახავთ.

**- მეტოქეს როგორ დაახასიათებდით?**

- ძლიერი გუნდია და ძალიან რთული თამაში გველის, უფრო რთული, ვიდრე დანიაში. ალბათ, პირველ შეხვედრაში "ორჰუსმა" სათანადოდ არც შეგვაფასა, ახლა კი ჩვენს რეალურ შესაძლებლობებს იცნობენ და სრული მობილიზაციით ითამაშებენ.

**- დანიელთა ქართველ ლეგიონერებზე, დავით დევდარიანსა და დავით სხირტლაძეზე რას იტყვით?**

- სხირტლაძე ძალიან კარგი თავდამსხმელია, დევდარიანს კი დიდი დრო გაუცდა, მაგრამ ნელ-ნელა ფორმაში შედის.

**- გასაგებია, რომ დანიელებს სიცხეში თამაში უჭირთ, მაგრამ მატჩის დაწყების დროდ 18 საათი რატომ შეარჩიეთ? სიცხეში თამაში ხომ ქართველებსაც არ ეხალისებათ...**

- იყო ორი ვარიანტი - უნდა გვეთამაშა 6 საათზე, ან 20:30-ზე, ჩვენ პირველი ვარიანტი ვარჩიეთ.

**- "ზესტაფონისა" და "მეტალურგის" თამაშებში თვალშისაცემი იყო საერთაშორისო შეხვედრებში ფეხბურთელთა გამოუცდელობა. ალბათ, ნებისმიერ გუნდში აუცილებელია 3-4 გამოცდილი ფეხბურთელი.**

- მხოლოდ ახალგაზრდებზე დაყრდნობა არ შეიძლება, მათ გვერდში გამოცდილი ფეხბურთელები სჭირდებათ. "ზესტაფონს" სწორედ გამოცდილება დააკლდა.

**- მართალია, ეს დანიელთა პრობლემაა, მაგრამ მაინც გკითხავთ: რის ხარჯზე შეუძლიათ თამაშის გაძლიერება?**

- თავდასხმაში ძალიან ძლიერები არიან და ამიტომ ვცდილობდით, ძალიან უკან არ გვეთამაშა. მათი საყრდენი ნახევარმცველი "ფიორენტინას" ყოფილი მოთამაშე მარტინ იორგენსენია, რომელიც თანაგუნდელებს პასებით ამარაგებდა. ჩემი აზრით, "ორჰუსთან" დაცვაში ჯდომა არ შეიძლება.

**- დანიაში დაკავებული გულშემატკივრების შესახებ რას გვეტყვით?**

- ამის შესახებ არაფერი ვიცოდი და ეს ამბავი მხოლოდ გუშინ გავიგე.

**- დანიელები ცნობილი არიან ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელებითა და ძალისმიერი თამაშით. მათთან ორთაბრძოლა რთული იყო?**

**ლაშა სალუქვაძე**, "დილას" კაპიტანი: - მათ მაღალი მცველები და თავდამსხმელები ჰყავთ და სტანდარტულებს ძალიან კარგად ასრულებდნენ. პირველი გოლი სწორედ კუთხურის ჩამოწოდების შემდეგ გაგვიტანეს. მაგრამ გამოცდილი ფეხბურთელები გვყავს, რომლებმაც საკუთარ თავში ძალა მოძებნეს და თამაში საჩვენოდ შემოვატრიალეთ.

**- დანიაში მოგებამ გუნდი ზედმეტად ხომ არ დაამშვიდა?**

- ჯერ საქმე დასამშვიდებლად ნამდვილად არ გვაქვს. შემდეგ ეტაპზე გასასვლელად სრულად მობილიზებულებმა უნდა ვითამაშოთ და სულაც არა მგონია, რომ დანიაში მოგებით შემდეგ ეტაპზე უკვე გასულები ვართ.

**მერაბ მამულაშვილი**

26.07. პლზენი. 22:00

პლზენი (ჩეხეთი) VS მეტალურგი (რუსთავი)

პირველი მატჩი 3:1

● ეროვნული ჩემპიონატი

## დებულება დამტკიცდა, კალენდარიც მალე გვექნება

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართა, სადაც სფფ-ის სადისციპლინო კოდექსი, ეთიკის კოდექსი და საქართველოს მომავალი ჩემპიონატის დებულება დაამტკიცეს.

უმაღლესი ლიგის კალენდარს უახლოეს დღეებში გაგაცნობთ, მის მონაწილეებს კი კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

ზესტაფონი
მეტალურგი
ტორპედო
დინამო
დილა
კოლხეთი
ზუგდიდი
მერანი
ჩიხურა
ბათუმი
სიონი
ვიტ ჯორჯია



როგორც თავიდანვე ითქვა, პირველი ეტაპი ორი წრისგან შედგება. მეორე ეტაპზე უმაღლესლიგელები ზედა და ქვედა ექვსეულებად დაიყოფიან და მათ პირველი ეტაპის მაჩვენებლები სრულად და უცვლელად გადაჰყვებათ. უმაღლესი ლიგიდან ბოლო ორი გუნდი გავარდება. უმაღლესი ლიგა, სავარაუდოდ, 10 აგვისტოს დაიწყება.

რაც შეეხება პირველ ლიგას, იქ 24 გუნდი იასპარეზებს, რომლებიც ორ ჯგუფად დაიყოფიან. უმაღლესი ლიგის საგზურს ჯგუფების გამარჯვებულები ავტომატურად მოიპოვებენ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რაც საქართველოს ჩემპიონატის ყველა ლიგას ეხება – ქულათა თანაბრობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება არა მოგებათა მეტ რაოდენობას, როგორც აქამდე იყო, არამედ ურთიერთშეხვედრებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● თავისუფალი თემა

## ფერი და ფერომონი

**პირველი არ ვარ, ვინც ამბობს, რომ უმნიშვნელო რაღაცები არ არსებობენ. ცხადია, ასეა ფეხბურთშიც, სადაც ემოციური ფონი ძალიან დიდია, უკიდეგანოა მისი გავლენა ადამიანებზე, ამ დიდი გრავიტაციის შექმნას კი ცოდნა უნდა.**

**ფეხბურთში მთავარი ფეხბურთელია, ისევე როგორც სკოლაში მასწავლებელი და თეატრის სცენაზე მსახიობი.**

მაგრამ არსებობენ დანამატებიც, რომლებიც აძლიერებენ გრავიტაციას და უსულო საგნებსა და ადამიანებს შორის. ეს შეიძლება იყოს ატრიბუტიკაც.

საფეხბურთო კლუბისთვის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტიკა კი მისი ლოგოა, კიდევ ტრადიციული ფერები. ფერებსა და ლოგოს კი პატარა ძალა როდი აქვთ. მე თუ მკითხავთ, ლოგო და ფერი ის ფერომონია, რომელსაც კლუბი გამოჰყოფს.

ზოგადად, ფერომონი ქიმიური ნივთიერებაა, რომელსაც გამოჰყოფენ სულიერი საგნები, რა თქმა უნდა, ადამიანებიც. ფერომონები გავლენას ახდენენ ადამიანის ქცევაზე და ფსიქოლოგიაზე. ფერომონი სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს, ზოგი ფერომონი განგაშსა და სიგნალს აძლიერებს, არსებობენ სასიყვარულო ფერომონებიც. დიდი და ამოუცნობია ფერომონის ზემოქმედების ძალა.

ფერომონი საინტერესო ნივთიერებაა ფსიქოლოგებისთვის, რომლებიც ცდილობენ ამ ჯადოთიც შეასხან ხორცი ადამიანის ძნელად მიმოსახილავ ბუნებას.

არის სხვა მეცნიერული გრძნეულობანიც. ერთ-ერთი ფსიქოლოგის სტატიაში წავიკითხე ევოლუციური მახის შესახებ. თურმე ოდითგანვე ისე ყოფილა, რომ გამხდარი ქალი ფერხორციანზე ბევრად უფრო რეპროდუქტიული გახლდათ, ბევრად უფრო განვითარებული ჰქონია ჰორმონალური სისტემა. ამ ყველაფერმა კი მახეში მოაქცია მამაკაცი, ადამიანმა ევოლუცია განიცადა, მამაკაცს კი სტერეოტიპულად ჩამოუყალიბდა შეხედულება – გამხდარი ქალი ფერხორციანზე უკეთესია. გემოვნებაზე სწორედაც რომ დაობენ, თუმცა ფაქტია, რომ ტანკენარი ქალი ახლაც ბევრად უფრო რესპექტაბელურია მამაკაცთა თუ ქალთა საზოგადოებაში.

შეხედულებები ყალიბდება ფეხბურთშიც, რომელიც ველარ ვითარდება რევოლუციურად და ვითარდება ოდენ ევოლუციურად. აქაც საჭირო ხდება რაღაც მახეების დაგება მიზიდულობის შესანარჩუნებლად და გასაღვივებლად. რაღაც სულ უნდა იყოს და არ იცვლებოდეს, ყველაფრის შეცვლა წარმოუდგენელია.

"დინამო" იყო, არის და იქნება, რადგან ამაზე უკეთესი ქართველებს ფეხბურთში ჯერ არაფერი შეგვიქმნია.

ბოლო დროს "დინამო" კარგად ველარ ბურთაობს, "დინამოს" ლოგოს კი აბურთავებენ.

საქართველო და ქართული ფეხბურთი დამოუკიდებელი გახდა და "დინამოს" ლოგოც შეიცვალა, "დინამო" **ბადრი პატარკაციშვილმა** იყიდა და "დინამოს" ლოგო ისევ შეიცვალა, "დინამო" **რომან ფიფიამ** იყიდა და ლოგო კიდევ ერთხელ შეიცვალა.

რაგინდარა, ლოგოს გამოუჩნდება ოფიციალურად დასაბუთებული და განმარტებული ვერსია, მაგრამ ეს ხელს ვერ შეუწყობს ვერც ფერომონის გამოყოფას და ვერც ევოლუციური მახის დაგებას. ეს რაღაც გაუგებარ ბრძოლას ჰგავს მთელ ამ ფსიქოლოგიურ სიტკბოებაში.

ფსიქოლოგები კლუბებსაც სჭირდებათ – დასკვნების გაკეთება ჟურნალისტის საქმე არ არის, მაგრამ საკუთარი აზრის გამომზეურება ვგონებ, ნებადართული გვაქვს. საფეხბურთო კლუბი ნიადაგ უნდა მოქმედებდეს ფსიქოლოგიურად გულშემატკივარზე, რათა მუდმივ გრავიტაციაში ამყოფოს მასთან. ეს სულაც არ არის მაღალ მატერიებზე ლაყბობა, ძალიან ჩვეულებრივი, ოღონდაც ცოტათი მეცნიერული საკითხია.

ქვეყანა გამეცნიერდაო, ხომ გაგიგიათ?..

"დინამოს" ახალ ლოგოზე ბორდოსფერი რკალი გამოჩნდა. გუნდის სათამაშო ფორმაც ასეთნაირად დაიფერა. სიახლეები, იცოცხლეთ, დიდებულია, ოღონდაც ტრადიციული კლუბის ტრადიციული ფერების შეცვლის რა მოგახსენოთ.

გამოუჩნდება "დინამოს" კიდევ ახალი პატრონი და მერე მასაც დაარწმუნებენ იმაში, რომ არსებული ლოგო არ ვარგა და ახალია საჭირო, რომ კლუბის ლოგო უკვე ბევრჯერ შეიცვალა და დიდი რამე, თუ კიდევ შეიცვლება, ეს ფერომონები და ევოლუციური მახეები კი დიდი სისულელეა და მეტი არაფერი, ფსიქოლოგია კი სულაც არაფრის მომცემი, ზედმეტი, გამოგონილი მეცნიერებაა – ალბათ აქითკენ მივდივრთ.

**დავით თავართქილაძე**

● ლეგიონერები

## ქართულ დაპირისპირებაში თარხნიშვილმა იმარჯვა

ტირასპოლის "შერიფმა" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით მატჩში სომხურ "ულისს" 1:0 სძლია და რაკი ერევანშიც ანალოგიური ანგარიშით ჰქონდა მოგებული, მომდევნო რაუნდის საგზური მოიპოვა.

შეგახსენებთ, ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ **ვაჟა თარხნიშვილი** "შერიფის" სპორტულ დირექტორად დაინიშნა, "ულისის" ლირსება კი ამ შეხვედრაში ორმა ქართველმა დაიცვა – **თენგიზ უგრეხელიძემ** და **შოთა ჯიქიამ** შეუცვლელად ითამაშეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**


ვაჟა თარხნიშვილი

ჩვენი ფეხბურთი. პრესკონფერენცია

## ალექსის პაპასტერგიუსი
# აქ ბევრია ნიჭიერი, მაგრამ ვერ ვითარდებიან

საქართველო უნიკალური ქვეყანაა. იმის გაფიქრებაც კი უცნაური იქნებოდა, ფიზმომზადების სპეციალისტი გუნდის მთავარ მწვრთნელად დაენიშნათ. არადა, ასეთი რამ საქართველოში მომხდარა და არაერთხელ.

თითქოს, ეს ნდობა ამ საქმის სპეციალისტებისადმი დამოკიდებულებას ნიშნავდა. მაგრამ მეორე მხრივ, ევროპის ჩემპიონატის ოთხეულში მოხვედრილ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ფიზმომზადების მწვრთნელი არ ჰყავდა.

"ჩვენი ფეხბურთის" წევრებმა, ლევან ყიფიანმა და ბავშვთა ფეხბურთის ცნობილმა სპეციალისტმა გუბაზ დოლიძემ (ვასილ მაისურაძის 17-წლამდელებში მისი 7 გაზრდილი თამაშობდა) გუშინ "სპორტკაფეში" ორგანიზებულ პრესკონფერენციაზე შვეიცარიაში მცხოვრები სპეციალისტი ალექს პაპასტერგიუსი წარადგინეს, რომელიც სწორედ ამ პრობლემების მოსაგვარებლად ჩამოიყვანეს.

"ციურიხისა" და "სენტ-გალენის" ყოფილი ფიზმომზადების მწვრთნელი პაპასტერგიუსი შვეიცარიის ოლიმპიური კომიტეტის დიპლომის მფლობელია და 2003 წელს საქართველოს ნაკრებში სამი მატჩის განმავლობაში იმუშავა – მაშინ, როდესაც უმწვრთნელოდ დარჩენილი ნაკრები მერაბ ჟორდანიამ და მიხეილ ყაველაშვილმა ჩაიბარეს.


ალექს პაპასტერგიუსი

**ლევან ყიფიანი:** - ალექსი საქართველოს მიშა ყაველაშვილისა და გოჩა ჯამარაულის რეკომენდაციით ესტუმრა, აქ ორი კვირა დაჰყოფს და უშუალოდ შეაფასებს მოთამაშეთა ფიზმომზადების დონეს, ხოლო მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს რჩევებით დაეხმარება. ჩვენი სტუმარი თანამშრომლობს გუბაზ დოლიძესთან, რომელიც ამჟამად საჩხერის "ჩიხურას" დუბლშემადგენლობის მთავარი მწვრთნელია. ბატონი ალექსისის ერთ-ერთი საქმე ტალანტების აღმოჩენაც არის. აქვე გეტყვით, რომ იშვიათად მინახავს ადამიანი, რომელსაც მსგავსი შეფასების უნარი გააჩნია და ვფიქრობ, მასთან თანამშრომლობა ქართულ ფეხბურთს წაადგება.

**გუბაზ დოლიძე:** - ჩვენ ახალს არაფერს ვიგონებთ, მაგრამ ვცდილობთ, ის გზა ავირჩიოთ, რომელზეც მსოფლიოს წამყვან საფეხბურთო ქვეყნებშია აპრობირებული – ფიზმომზადება არის უმნიშვნელოვანესი საკითხი. თუ მოთამაშე ფიზიკურად კარგად არ არის მომზადებული და ბაზისი არ გააჩნია, საერთო წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელია. პაპასტერგიუსი იმიტომ ჩამოვიდა, რომ ჩვენი ბავშვების მდგომარეობაზე წარმოდგენა შეიქმნას და შემდეგ მათი ხარვეზების აღმოფხვრაში დაგვეხმაროს.

**- "ჩიხურასთან" თანამშრომლობას გააგრძელებს?**

- დიახ, მაგრამ ეს თანამშრომლობა უფრო ეფექტური იქნება, თუ ფეხბურთის ფედერაცია მაღალი დონის ფიზმომზადების სპეციალისტებს ჩამოიყვანს და ამ მიმართულებით არსებულ ჩავარდნას გამოასწორებს. საქმეს მარტო "ჩიხურას" ბავშვებთან მუშაობა არ უშველის. არადა, ბევრს არ ესმის, რომ გუნდს ასეთი სპეციალისტი ისევე სჭირდება, როგორც მთავარი და მეკარეთა მწვრთნელები, მენეჯერები და პრეზიდენტი.

**- საქართველოს ნაკრებში მუშაობისას და აქ ყოფნის პერიოდში ქართველების რა ტიპური ნაკლი მოგხვდათ თვალში?**

**ალექს პაპასტერგიუსი:** - კოორდინაცია, არასწორი სირბილი, დისციპლინის პრობლემა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ნაკრებში იგრძნობოდა. ასევე მნიშვნელოვანია არსებული სოციალური ასპექტები. მაგრამ ნებისმიერ გარემოში და თუნდაც მწირ პირობებში შესაძლებელია შედეგის მიღწევა, თუნდაც ინფრასტრუქტურა ხელს არ გიწყობდეს. გონივრული მიდგომით პროგრესის მიღწევა ყველა პირობებში შეიძლება.

მრჩება შთაბეჭდილება, რომ ქართველი მწვრთნელების უმრავლესობას მეტ-ნაკლებად კარგად ესმის ტექნიკურ-ტაქტიკური საკითხები, მაგრამ მომზადება, ანატომია, ფიზიოლოგია და მოთამაშეებთან მიდგომა პრობლემად აქვთ ქცეული. ინგლისში კარგი მინიშნებაა – მენეჯერი და არა მწვრთნელი, რადგან მას არა მხოლოდ ვარჯიში, არამედ ადამიანებთან ურთიერთობა ევალება.

**- აქ ჩამოსული უცხოელების უმთავრესი შეცდომაა, ქართველების მენტალიტეტის შეცვლაზე უფრო მეტს რომ ფიქრობენ, ვიდრე არსებული რესურსის სწორ გამოყენებაზე. თქვენც თუ ამას აპირებთ, გეტყვით, რომ არ იცვლება ეს მენტალიტეტი და სხვაგვარი მიდგომა დაგჭირდებათ.**

- მე ვლაპარაკობ არა მენტალიტეტის შეცვლაზე, არამედ მის განვითარებასა და წარმატების მიღწევის გზებზე. ეს სხვა საქმეა და კარგად მესმის, რომ ყველა ერს თავისებური მენტალიტეტი აქვს. გერმანიის, ინგლისისა და ამერიკის ნაკრებებში განსხვავებული ეროვნების ადამიანები არიან, მაგრამ ეს გუნდური სულისკვეთების ჩამოყალიბებას ხელს არ უშლის.

**- ქართველებს გვეუბნებიან, რომ უნიჭიერესი ბავშვები გვყავს და ბევრს სჯერა, რომ აქ ესპანეთზე არანაკლები ტალანტებია. ვთქვათ, ფიზმომზადებაში მდგომარეობა გავაუმჯობესეთ – თქვენ აქ უკვე იმუშავეთ და აქედან გამომდინარე, მითების ტყვეობაში ხომ არ ვართ, რესურსი არსებობს?**

- აქ მართლაც ბევრი ნიჭიერი ბავშვია, მაგრამ ვერ ვითარდებიან – ესაა ქართული ფეხბურთის პრობლემა. კლინსმანმა გერმანიის ნაკრებში ჩამოიყვანა ამერიკელი ფიზმომზადების მწვრთნელი და შეცვალა ის სისტემა, რომლითაც გერმანელები ამაყობდნენ. საქართველოში კი ეს სისტემა ჩამოსაყალიბებელია.

საქართველოში პერიოდულად ჩამოვალ. შესაძლოა, სხვა სპეციალისტებიც ჩამოვიყვანო და ერთად ვიმუშაოთ არა მხოლოდ "ჩიხურასთან", არამედ ყველა დაინტერესებულ კლუბთან და მწვრთნელთან.

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი


ეროვნული ბიბლიოთეკა
ზვიად ჯელაძე

# გაგრაში ბეჟანა ჩაირიცხა

"გაგრამ" შეკრების პირველი ეტაპი დაასრულა და, სავარაუდოდ, გუნდი 1 აგვისტოს ურეკში გაემგზავრება. თუმცა, კლუბის პრეს-სამსახურის ცნობით, უცხოური შეკრების ორგანიზებაც არ გამოირიცხება.

მანამდე "გაგრა" მუხრანში ემზადება, 27 ივლისს კი ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს - მეტოქეს მთავარი მწვრთნელი **ზვიად ჯელაძე** არჩევს.

შეკრებაზე წამსვლელ ფეხბურთელთა ვინაობა სწორედ ამის შემდეგ გაცხადდება. ერთი რამ კი უკვე ცნობილია: შეკრებაზე გუნდს **ბენჟამინ ოპეიმი ტეიდი** გაჰყვება.

"გაგრაში" ამჟამად ნიგერიელები ისედაც ირიცხებოდნენ: **ჯონ ჯერემია** და **უმარ მაგაჯი**, რომელთაც "გაგრას" ფორმა ოფიციალურ შეხვედრებში არაერთხელ მოირგეს.

ბენჟამინ ტეიდი საქართველოში გაზაფხულზე ჩამოვიდა, გუნდთან ერთად დღემდე ემზადებოდა, მაგრამ მისი განაცხადში შეყვანა ვერ ხერხდებოდა. ახლა კი "გაგრასთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მომავალი სეზონისთვის "ბეჟანაც" (გუნდში ასე ეძახიან) "გაგრას" უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაში დაეხმარება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი


ნუგზარ კვირტია

# კვირტია აზერბაიჯანში ბრუნდება

ქუთაისის "ტორპედო" სეზონისთვის მზადებას აგრძელებს. ცნობილი გახდა, რომ ყველა ის ზუგდიდელი მოთამაშე, რომელთაც ქუთაისელები იწვევდნენ, თურქულ შეკრებაზე „ზუგდიდს" გაჰყვნენ: მცველი **ნიკა აფაქიძე** და ნახევარმცველები **- ზვიად სიხარულია და აკაკი ფარჯიკია.**

შევიტყვეთ, რომ "ტორპედოდან" წამოვიდა აზერბაიჯანის აზალ-ის ყოფილი ნახევარმცველი **ნუგზარ კვირტიაც**. მისი თქმით, "ტორპედოში" ასაკის გამო არ აიყვანეს, ახალგაზრდულ გუნდს ვაშენებთო.

*"შემოთავაზება მქონდა საჩხერის "ჩიხურადანაც", მაგრამ საბოლოოდ ისევ აზერბაიჯანში დაბრუნება გადავწყვიტე. მართალია, ჯერ კონკრეტულ გუნდს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ კონტრაქტს გავაფორმებ",* – გვითხრა კვირტიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

სატრანსფერო ბაზარი

# ზესტაფონში ყველაზე ძვირი კვასხვაძე და დვალი ღირს


ჯაბა დვალი

გერმანულმა ინტერნეტპორტალმა "ტრანსფერმარკტმა" ყველა კლუბის შემადგენლობა განაახლა და შესაბამისად, განახლებულია ფეხბურთელთა პირობითი სატრანსფერო ფასები.

საქართველოს ჩემპიონ "ზესტაფონის" შემადგენლობაში ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელად ისევ რჩება ახალგაზრდა, 23 წლის კიპერი **როინ კვასხვაძე**, რომელიც 700 ათას ევროდაა შეფასებული. მას 500 ათასი ევროთი ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი და გუნდის მთავარი მეგოლე, **ჯაბა დვალი** მოჰყვება. სწორედ ამ ფეხბურთელების ფასია ყველაზე სოლიდური ჩემპიონის რიგებში.

400 ათას ევროდ გამოცდილი **დავით მუჯირი** და **გიორგი ხიდეშელი** არიან შეფასებული. ეს უკანასკნელი დიდი ხანია, ტრავმას იშუშებს და იმედია, მალე დაუბრუნდება მოედანს.

მუჯირსა და ხიდეშელს მცირედით ჩამორჩება **თორნიკე გორგიაშვილი**, რომლის სატრანსფერო ფასიც 375 ათასი ევროა, 300-300 ათასი **მამუკა კობახიძის, ზაალ ელიავასა** და **თეიმურაზ ლონლაძის** ღირებულებაა.

საერთო ჯამში, ზესტაფონელთა სატრანსფერო ფასი 6 მილიონ 75 ათასი ევროა.

საინტერესოა ბაქოს "ნეფთჩის" ფეხბურთელების სატრანსფერო ფასებიც. **ვობაი,** რომელმაც "ზესტაფონს" ორივე მატჩში გაუტანა, 600 ათასი ევრო ღირს. **იმამვერდიევის** სატრანსფერო ფასი 250 ათას ევროს არ სცილდება, რაც შეეხება **კანალესს**, რომელმაც ბაქოურ შეხვედრაში წერტილი დასვა, ისიც 600 ათასი ევრო ღირს.

**მაგდა კლდიაშვილი**


როინ კვასხვაძე

ქართული ფეხბურთი

● ზესტაფონი-ნეფთჩის გამოძახილი




ნეფთჩის ქომაგები ზესტაფონშიც მრავლად იყვნენ

# ერთი კაცის მონდომებით თამაშს ვერ მოიგებ

## ჩემპიონი ნეფთჩისთან შეგვირცხვა

საქართველოს ჩემპიონმა "ზესტაფონმა" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი შეხვედრა ბაქოს "ნეფთჩისთან" შინ 2:2 დაასრულა. **დავით აბაშიძის** სახელობის სტადიონი სრულად გაივსო, თუმცა ცალკე საქმეა, იმსახურებდა თუ არა ასეთ ქომაგობას გუნდი.

მას შემდეგ, რაც სამ წუთში ორი გოლი გაიტანეს იმერლებმა აზერბაიჯანელების კარში, ყველას მიეცა იმედი, რომ სასწაულის მოხდენა რეალური იყო, თუმცა სწორედ ამ მეორე გოლის შემდეგ უპირატესობა დათმეს მასპინძლებმა და ბურთზე კონტროლი ბაქოელებს გადასცეს. რამდენიმე წუთში საჯარიმოში **კობახიძის** შეცდომას გოლი მოჰყვა და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსები შემცირდა.

მატჩის წინა დღეს, პრესკონფერენციაზე, "ზესტაფონის" თავკაცმა **გიორგი ჭიაბრიშვილმა** განაცხადა, 0:3-ის დანარჩენი დრო მხოლოდ იმას ვუყურებდით, როგორ წვალობდა "ზესტაფონი". მეტად რომ მოენდომებინათ აზერბაიჯანელებს, ალბათ შეხვედრის მოგებასაც შეძლებდნენ.

კარგია, რომ 18-19 წლის ბიჭებს თავის გამოჩენის საშუალება ეძლევათ, მაგრამ მათ გამოცდილება ეროვნულ ჩემპიონატში უნდა მიიღონ. პირველი შეხვედრის შემდეგ ლაპარაკობდნენ, ნახევარი გუნდი მოედანზე შეშინებული იყოო. თუკი გამოცდილი ფეხბურთელი ნერვიულობს ასეთი საპასუხისმგებლო თამაშის წინ, რა მოუვა გამოუცდელ და ახალგაზრდა ფეხბურთელს?

ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ამ ორი შეხვედრის განმავლობაში, მხოლოდ ერთეულ ფეხბურთელებს ეტყობოდათ მონდომება. განმეორებით შეხვედრაში, პირველი გაშვებული გოლის შემდეგ, აუტანელი იყო იმის ყურება რაც მოედანზე ხდებოდა. ფეხბურთელების უმეტე-



შემდეგ, ჟურნალისტების ადგილზე უფრო კრიტიკული ვიქნებოდიო. მართალიც იყო - ზესტაფონელებს მედიამ თითქოს, მიუტევა მარცხი, არადა, მუდამ იმის ლაპარაკში ვართ, როგორ ვჯობივართ აზერებს, ფაქტი და რეალობა სულ სხვაა. ადრე თუ სირცხვილი იყო, აზერბაიჯანულ კლუბებთან წაგება, ახლა ეს აღარაა სირცხვილი? ვლაპარაკობთ, აზერბაიჯანელებს ვჯობივართო და იმერლებმა ყურები მაშინვე ჩამოყარეს, როცა წილისყრამ "ნეფთჩი" არგუნა.

პირველ შეხვედრაში დაცვა არადამაჯერებლად გაისარჯა და გუნდი ამის გამო დაისაჯა. განმეორებით შეხვედრაში დაცვის ხაზში ყველაზე გამოცდილი მხოლოდ თეიმურაზ ლონლაძე იყო, დანარჩენი სამი ფეხბურთელის ასაკი კი 19 წელს არ სცილდებოდა.

ბატონო გიორგი, თქვენ მართალი იყავით - ჟურნალისტებმა უნდა გაგაკრიტიკოთ, თქვენ ეს თამაში ტაქტიკურად წააგეთ. სატრანსფერო ბაზარზე პასიურობა უჩვეულო რამაა. მხოლოდ საქართველოში ხდება, რომ ჩემპიონი ხდები და სუსტდები. ორი შეხვედრის ჯამში, "ზესტაფონმა" ღირსეული ფეხბურთი მხოლოდ განმეორებითი შეხვედრის პირველ ოც წუთში ითამაშა, სობას უკვე გათავისებული ჰქონდა, რომ შანსები აღარ არსებობდა. ასეთი სამარცხვინო შეხვედრის შემდეგ ყველაზე მარტივი გამოსავალი ქართველი გულშემატკივრისთვის ამ თამაშის დავიწყება იქნება, რამდენად ადვილი იქნება ეს, თავად განსაჯეთ. ჩემპიონი "ნეფთჩისთან" შეგვირცხვა, თანაც ისე, რომ ბრძოლისა და ჟინის არაფერი ეტყობოდა.

"ნეფთჩიდან" გუნდის კაპიტანზე, **რაილ მალიქოვზე** რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ. ის ერთადერთი იყო, რომელიც მატჩამდე ყველაზე მოკრძალებულ შეფასებებს აკეთებდა, ერთადერთი იყო, რომელმაც ბაქოში ქართველ ქომაგს ტაში დაუკრა, ერთადერთი იყო, რომელმაც თამაშების წინ "ზესტაფონელთა" კაპიტანს უთხრა, რომ ღირსეულს გაემარჯვა ამ შეხვედრებში და მადლობა გადაუხადა ქართველ გულშემატკივარს.

როგორც ვთქვით, ქართველ ფეხბურთელთაგან განმეორებით შეხვედრაში მხოლოდ რამდენიმეს ეტყობოდა მონდომება. უპირველესად, ეს **დავით მუჯირსა და ჯაბა დვალზე** ითქმის.

გავუსწოროთ სიმართლეს თვალი - აზერბაიჯანულმა ფეხბურთმა დიდი ხანია, გადაუსწრო ქართულს.

**მაგდა კლდიაშვილი**




ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

ლელოს ბიბლიოთეკა

# შო, შეტენე ერთი გოლი ჩვენებურად!..

გაგრძელება. დასაწყისი: „ლელო" №110 (13716)

თამაშის შემდეგ ამიხსნეს, რომ ჩრდილოეთ ირლანდია მსოფლიოში კათოლიკეებისა და პროტესტანტების დაპირისპირების ყველაზე ცხელი წერტილია. მეც, ჩემი მხრიდან შევეცადე ამეხსნა, რომ ჩემს რელიგიას არავითარი პრობლემა არა აქვს არც ერთ სხვა არსებულ რელიგიებთან და პირჯვარი მხოლოდ იმიტომ გადავიწერე, რომ ჯანმრთელი და უვნებელი გამოვსულიყავი მინდვრიდან, რომ ჩემს ამ ჟესტს არავითარი კავშირი არა აქვს იქ არსებულ სიტუაციასთან.

გლაზგოში დაბრუნების შემდეგ, თბილისიდან **ალენ ჟირესის** თანაშემწე, **გია გურულმა** დამირეკა და მკითხა, — სანაკრებო კარიერაზე რას ფიქრობო. უჩემოდ საქართველოს ნაკრებს, ჟირესის ხელმძღვანელობით, უკვე რამდენიმე ამხანაგური მატჩი ჰქონდა ჩატარებული. შედეგი ჯერ არ იყო, მაგრამ გუნდი გუნდს ემსგავსებოდა. გურულს ვუთხარი, ჯერ ფორმაში არა ვარ შესული და ამ ეტაპზე გადაჭრით ვერაფერს გეტყვი-მეთქი.

ნელ-ნელა მოვდიოდი ჯანზე. 31 წლის ფეხბურთელისთვის ადვილი არ არის, დიდი პაუზის შემდეგ, მალე შეხვიდე ფორმაში. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოსკოვის ცსკა-სთან მატჩი. რუსეთში გახურებული საფეხბურთო სეზონი იყო, ჩვენ კი ეს-ესაა ვიწყებდით. ეს ფაქტორი უპირატესობას რუსებს აძლევდა. მოსკოვურ მატჩზე კიჟა, აჩი და რეზი ჩამოვიდნენ. ოპერაციის შემდეგ ეს ჩემი პირველი 90 წუთი იყო, მთელი ოჯახი ჩემს გვერდით იდგა, 2:1 წავაგეთ. მუხლს არ შევუწუხებივარ, მაგრამ საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვერ დავრჩი. საპასუხო შეხვედრა 1:1 დასრულდა. ჩემპიონთა ლიგაზე ვერ მოვხვდით და უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გადავინაცვლეთ. თავის გამოჩენა ამ ტურნირშიც შეიძლება. უეფას თასზე ჩვენი მეტოქეები პოლონეთის „ამიკა", ავსტრიის „გრაცერი", საფრანგეთის „ოსერი" და ჰოლანდიის „ალკმაარი" იყვნენ.

2004-2005 წლების სეზონი ჩემთვის არეულ-დარეული გამოდგა. ეს ნამდვილად არ იყო სასიამოვნო დღეები, რამდენიმე ლამაზი გოლი გავიტანე, მაგრამ ცუდი უფრო მეტი იყო. არ მსიამოვნებს ამ ყველაფერზე წერა, თუმცა ეს ამბები ჩემია, ამიტომაც ვერსად გავექცევი, და მინდა, რომ მათ შესახებ თქვენც იცოდეთ.

ევრო 2006-ის შესარჩევში საქართველოს ნაკრებს პირველი თამაში სტუმრად ჰქონდა თურქეთთან. ამ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ჟირესმა დამირეკა და მკითხა, ვიყავი თუ არა განწყობილი ნაკრებში სათამაშოდ. ათწუთიანი საუბრის შემდეგ გადაწყდა, რომ თურქეთთან მატჩისთვის სანაკრებო შეკრებაზე ჩავიდოდი. ამით ისე გავიხარე, თითქოს ნაკრებში პირველად გამომიძახეს. თურქეთს ტრაბზონში ვეთამაშებოდით, იმ ქალაქში, სადაც არაჩვეულებრივი სამი წელი გავატარე და იქ ხალხისთვის ნამდვილი გმირი ვიყავი.

ტრაბზონის აეროპორტში უამრავი ხალხი დაგვხვდა, ბედნიერი სახეები ჰქონდათ. რვა წელი საკმაო დროა იმისთვის, რომ ხალხმა ახალი გმირი მოძებნოს, მაგრამ ტრაბზონში 7-8 წლის ბავშვებიც კი შოთის და აჩის ყვიროდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჩვენი „ტრაბზონსპორში" თამაში არ უნახავთ. ალბათ გადმოცემით იცოდნენ. ძალიან მინდოდა, რომ ეს ყველაფერი ყველა ჩემს ახლობელ ადამიანს ენახა, მათ შორის თამუნას და გიორგუნასაც, რომლებიც, სამწუხაროდ, იქ არ იყვნენ.

ჟირესმა თამაშის წინა დღეს თავისთან მიხმო და მითხრა, სასტარტო შემადგენლობაში არ იქნებიო. არ მესიამოვნა მისი გადაწყვეტილება, ვუთხარი, ჩემთვის რომ გეკითხათ, აუცილებლად მოვითხოვდი სასტარტოში თამაშს, მაგრამ რადგან ასე გადაწყვიტეთ, მაინც თქვენს გვერდით მიგულეთ-მეთქი.

ამ საუბრის შემდეგ თბილისში დავრეკე და ჩემებს ვუთხარი, იქნებ არ ღირდეს ამხელა გზაზე მანქანით მგზავრობა-მეთქი, მაგრამ ის არ მითქვამს, რომ ჟირესი სასტარტოში არ მაყენებდა. ეს მხოლოდ ჯემალს ვუთხარი. ჯემალმა ერთი კარგად შეუკურთხა ჟირესს. მაინც უნდა განეწყო სათამაშოდ, ნახევარ საათს აუცილებლად გათამაშებსო და აბა შენ იციო.

თამაშის დღეს იაშვილი გახდა ავად. სიცხემ აუწია და ჟირესმა ისევ თავისთან მიხმო. ბოდიში მომიხადა, ჯერ კი გითხარი, რომ სასტარტოში არ იქნებოდი, მაგრამ ახლა გეუბნები, რომ პირველი წუთიდანვე ითამაშებო. თამაში, მართლაც ძალიან მინდოდა. „ტრაბზონის" გულშემატკივრებს უნდა ენახათ, რომ შოთა კიდევ თამაშობს და თან კარგადაც.

თურქეთთან თამაში ძნელი გამოდგა, ვაგებდით, მაგრამ შეცვლაზე შემოსულმა **მალხაზ ასათიანმა** თავურით გაათანაბრა ანგარიში და — 1:1!.. ეს ჩვენთვის დადებითი შედეგი იყო; ურიგოდ არ მითამაშია, თუმცა ოპერაციის გამო გაცდენილმა დრომ მაინც დაასვა ჩემს თამაშს დაღი. მატჩის შემდეგ ტრაბზონელმა გულშემატკივრებმა კიდევ ერთი ოვაცია მოგვიწყვეს, მე და აჩი ხელიდან ხელში გადავდიოდით... ზოგს ტრაბზონში ჩვენი პოპულარობის შესახებ მხოლოდ გაგონილი ჰქონდა და ალბათ არ სჯეროდათ ეს ყველაფერი, მაგრამ ნახეს, დარწმუნდნენ, რამხელა სიყვარული შეძლებიათ თურქებს. მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ, — გაგონილი კი გვქონდა, მაგრამ ამისთან, სიყვარულს ნამდვილად არ ველოდითო!.. დიდი მადლობა მათ!

მომდევნო მატჩი ალბანეთთან გვქონდა, უწინდელზე უფრო ორგანიზებულებად გამოვიყურებოდით, რაც პირველ რიგში ჟირესის დამსახურება იყო. მოვიგეთ — 2:0. პირველ საგოლე კომბინაციაში მეც მიმიძღვის წვლილი, გოლები **ალექსანდრე იაშვილმა და გიორგი დემეტრაძემ** გაიტანეს. თამაშის შემდეგ, ჩემთან სახლში, **ჯემალ ჩიმაკაძე** მოვიდა და მუხლებზე მაკოცა. აქამდე ეს არასდროს გაუკეთებია, მაშინაც კი, როცა 3 თუ 4 გოლი გამიტანია. მისგან ჩემი თამაშის ასეთი შეფასება უკვე საკმარისი იყო; რაკი ჯემალი ასე მოიქცა, ესე იგი, მართლა დავიმსახურე.

> ტრაბზონში 7-8 წლის ბავშვებიც კი შოთის და აჩის ყვიროდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჩვენი „ტრაბზონსპორში" თამაში არ უნახავთ



შოთა არველაძე რეინჯერსში თამაშის დროს

> 2004-2005 წლების სეზონი ჩემთვის არეულ-დარეული გამოდგა. ეს ნამდვილად არ იყო სასიამოვნო დღეები, რამდენიმე ლამაზი გოლი გავიტანე, მაგრამ ცუდი უფრო მეტი იყო

გაგრძელება იქნება

ამბები



# ოსკარი ჩელსელია

წუხელ „ჩელსიმ" ბრაზილიელი **ოსკარის** შეძენა დაადასტურა. 20 წლის ტალანტში ლონდონურმა კლუბმა 25 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა. ოსკარი ლონდონშია, ბრაზილიის ნაკრებთან ერთად, რომელიც ოლიმპიადაზე ითამაშებს. ინგლისურმა კლუბმა დრო იხელთა და ოსკარი სამედიცინო შემოწმებაზე გაატარა. როგორც კი ოლიმპიადა დასრულდება, ოსკარი **რობერტო დი მატეოს** განკარგულებაში გადავა. ოსკარი „ინტერნასიონალში" თამაშობდა, მან თავი გამოიჩინა მსოფლიოს 20-წლამდელთა ტურნირზე, ფინალში, პარაგვაელთა კარში ჰეთ თრიკი შეასრულა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# მგლებმა დიეგო თან წაიყვანეს

27 წლის შემტევი ნახევარმცველის, **დიეგო რიბასის** ბედი ჯერ გაურკვეველია - ბრაზილიელი ერთადერთია „ვოლფსბურგში", რომელსაც ჯერ ნომერი არ მისცეს. თითქმის გამოირიცხა ვარიანტი, რომლის მიხედვითაც დიეგოს კარიერა შეეძლო ისევ მადრიდის „ატლეტიკოში" განეგრძო. მართალია, დიეგომ ესპანურ გუნდში შარშან კარგად ითამაშა, მაგრამ ფეხბურთელი „ატლეტიკოს" ხელფასის დაგვიანებას ედავება. არადა, ის ვერც **ფელიქს მაგათთან** რიგდება, მოგეხსენებათ, დიეგოს მაგათის წვრთვნის ხისტი მანერა არ მოსწონს.

და აი, გუშინ გაირკვა, რომ „ვოლფსბურგი" დიეგოს ჩინურ ტურნეზე წაიყვანს. ეს კი მის შანსებს - დარჩეს გერმანულ კლუბში - ზრდის. მოკლედ, დიეგო „მლგების" თვითმფრინავში მოხვდა, დანიელი **სიმონ კიაერი** კი - ვერა. შეგახსენებთ, რომ კიაერსაც ანალოგიური პრობლემები ჰქონდა მაგათთან და ის „რომაში" იყო განათხოვრებული.



დიეგო

ნიკოლოზ ნეფარიძე

# ბრუნო სორიანო სპარტაკში მიდის



გადავა ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი სპარტაკში?

მოსკოვის „სპარტაკის" ხელმძღვანელობა გენერალური დირექტორის, **ვალერი კარპინის** მეთაურობით მუშაობს **ბრუნო სორიანოს** ტრანსფერზე. რუსები „ვილიარეალს" უკვე 12 მილიონ ევროს სთავაზობენ. შესაძლოა, ამ წინადადებამ მოხიბლოს „წყალქვეშა ნავის" ბოსი **ფერნანდო როიგი**. აღსანიშნავია, რომ სორიანო აღარ ვარჯიშობს „ვილიარეალში", ოფიციალური ვერსიით, ამის მიზეზი მცირე ტრავმაა. თუმცა, შესაძლოა, ის სულ მალე ვიხილოთ **უნაი ემერის** განკარგულებაში.

ბრუნო სორიანო 28 წლის ცენტრალური ნახევარმცველია, რომელსაც ესპანეთის ნაკრებში 4 მატჩი აქვს გამართული. ის „ვილიარეალის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილია და სხვაგან არ უთამაშია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ნაპოლი



აურელიო დე ლაურენტისი

# სწორება რეალსა და ბარსაზე

## დე ლაურენტისი: მეგონა ლავეცის სპორტული მოტივაცია ამოძრავებდა

**აურელიო დე ლაურენტისი** ჟურნალისტებთან ურთიერთობას არასდროს გაურბის და თანაც, ყოველთვის საინტერესოდ საუბრობს. "ნაპოლის" პრეზიდენტმა სამომავლო გეგმები გაამხილა:

*"ჩემი მიზანი "ნაპოლისგან" ევროპული მასშტაბის გრანდის ქცევაა და დარწმუნებული ვარ, რომ მალე ასეც იქნება. ორგანიზაციული თვალსაზრისით, მადრიდის "რეალს" და კატალონიურ "ბარსელონას" ვედრებით, რომლებსაც ყველაფერი იდეალურად აქვთ აწყობილი; ამადაც მიაღწიეს უმაღლეს მწვერვალებს და იგივე უნდა გავიმეოროთ ჩვენც; ამისკენ გადადგმული კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი ახალი სტადიონის აშენება იქნება, რომელიც უკვე გადაწყვეტილი გვაქვს. უახლოეს დღეებში, ნეაპოლის მერს შევხვდები და ამ თემაზე დაველაპარაკები. ძველი სტადიონის რეკონსტრუქცია დაახლოებით იმდენივე ჯდება, რამდენიც ახლის აშენება და გამომდინარე აქედან, აქცენტი სწორედ ახალ არენაზე გვაქვს. მთავარია, ადგილი შევარჩიოთ, ნებართვა მივიღოთ და დანარჩენი დროის ამბავია. სწორედ ამ საკითხებზე ვხვდები მერს და დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერს სასიკეთოდ გადავწყვეტთ. აქვე, კიდევ ერთხელ მინდა მივუბრუნდე ლავეცის თემას და დავპირდე გულშემატკივრებს, რომ მისი წასვლა არ დაგვასუსტებს – სიმართლე გითხრათ, ესეკილს ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს სურდა წასვლა, მაგრამ მაშინ გადავაფიქრებინე და დავპირდი, რომ მომდევნო ზაფხულს სრულ თავისუფლებას მივცემდი. როდესაც მითხრა, რომ სხვაგან სურდა გადასვლა, ვიფიქრე სპორტული მოტივაცია ამოძრავებდა, თუმცა რეალობა სხვაგვარი ყოფილა".*

ამასობაში, "ნაპოლისთან" დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა, რომლის მიხედვითაც, სამხრეთული კლუბი უკრაინელი ნახევარმცველის, **ევგენი კონოპლიანკას** გადაბირებით არის დაინტერესებული. 22 წლის შუახაზელი "დნიპროს" ღირსებას იცავს, მსოფლიო საფეხბურთო სამყაროს ყურადღება კი ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობით მიიქცია. კონოპლიანკა ერთ-ერთი საუკეთესო იყო უკრაინელთა რიგებში და ამად არის, რომ "ნაპოლის" გარდა, არაერთი გუნდის ინტერესი დაიმსახურა. თუმცა, თუ "კორიერე დელო სპორტს" ვენდობით, ყველაზე მეტად მაინც ნეაპოლელები აქტიურობენ და დიდია შანსი, შეთანხმება შედგეს კიდეც. კულუარული ინფორმაციით, იტალიელები მზად არიან ევგენის სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო გადაიხადონ და დანარჩენი უკვე უკრაინელთა გადასაწყვეტია.

ლაშა წიკლაური

# „ჩემს ხმაურზე მეუღლე და ბავშვები შემოცვივდნენ, რა ხდებაო...... რაღა რა ხდებოდა?! ხელში ფაქტობრივად, 50 ათასი მეჭირა..."

## ნატახტარის ტრადიციული გათამაშების ყველაზე იღბლიანი რუსთავის მკვიდრია





„62 წლის ვარ, ასეთი სიხარული დიდი ხანია აღარ განმიცდია, დაუჯერებელი იყო, მართლა არ მეგონა ეგ ის იღბლიანი ადამიანი თუ მე აღმოვჩნდებოდი......" – ემოციებს ვერ მალავდა ჩვენთან საუბრისას „ნატახტარის" ტრადიციული გათამაშების გამარჯვებული ოლეგ ღვინიანიძე, რომელიც „ნატახტარის გათამაშების" მთავარი პრიზის - 50 ათასი ლარის მფლობელი გახდა.

ცხოვრობს ქალაქ რუსთავში, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. როგორც თავად ამბობს ლუდის სიყვარულმა ბედს აზიარა.: "ლუდი ძალიან მიყვარს, „ნატახტარი" ყველაზე მეტად. დღე არ გავა ლუდი არ დავლიო. ეს საბედისწერო დღეც ასე დაიწყო. სამსაუხრიდან დაღლილი დავბრუნდი, ისეთი დაღლილი მალაზიაში შევლაც კი დავიზარე, მეგობარს ვთხოვე ლუდი ეყიდა და ფული მივეცი. რა ვქნა 2 ლიტრიანი არ იყო და 2,5 ლიტრიანი ვიყიდეო. უფრო მეტი ლუდი შეგვხდება მეთქი – გავეხუმრე. სახლში ავედით, კათხები შევავსეთ და უკვე უნდა მომესვა, თავსახური ავილე და გავიფიქრე, ორჯერ 20 ლარი მოვიგეთ და აბა, მესამედ რას გვიმზადებს ნატახტარი. 50 რომ დავინახე, თავდაპირველად მეგონა ბოთლი მოვიგე, თვალებს არ ვუჯერბდი, ჩემს ხმაურზე მეუღლე და ბავშვები შემოცვვიდნენ, რა ხდებაო...... რაღა რა ხდებოდა?! ხელში ფაქტობრივად, 50 ათასი მეჭირა."

**– პირად ცხოვრებაშიც ასე გაგიმართლათ?**

–ნამდვილად გამიმართლა. მყავს ოჯახი, რომელიც ძალიან მიყვარს. დღემდე შეყვარებული ვარ. უცნაური ხასიათი მაქვს. არ მინდოდა ჩემს მეუღლეს ემუშავა, სურვილი მქონდა ის მარტო დიასახლისი ყოფილიყო და ყველაზე დიდი დრო ოჯახისთვისა და ბავსშვებისთვის დაეთმო. ასეც მოხდა. ძალიან კარგი დიასახლისი და ოჯახის მოსიყვარულე ადამიანია.

გარადა ამისა, ისედაც იღბლიანი ვარ. ადრე ავარიაში მოვყევი, ჩემთან ერთად ვინც იყო, ყველა საავადმყოფოში მოხვდა, მე ერთი ნაკაწრიც არ მქონდა. ალბათ თავიდანვე მფარველი მყავს ზემოთ.

**– 50 ათასის მოგებასაც თქვენს იღბალს მიაწერთ?**

– რა თქმა უნდა. ჩემს იღბლას და ლუდის სიყვარულს. თუმცა არ მეგონა ასეთი რამე თუ რეალურად ხდებოდა. არც მეზობლები და ახლობლები იჯერებდნენ.

**– თქვენ 20 ლარი ორჯერ მოიგეთ ამ გათამაშების ფარგლებში...**

– ესეც მოუდლონელი იყო, ჯერ ჩემმა შვილმა და შემდეგ მე. მეუღლეს ვთხოვე გაეხნა ბოთლი, და გახარებულმა აბა, გამოიცანი ხელში რა მიჭირავსო. არ ვუჯერებდი, 20 ლარი რომ დამანახა, გამეცინა. ვუთხარი "ნატახტარის" სახელზე ტყემალი გაეკეთებინა და ვაჩუქე. საკმაოდ გემრიელი ტყემალი გამოგვივიდა.

**– თავად როგორი მზარეული ხართ?**

– მიუხედავად იმისა რომ, ჩემი მეუღლე საუკეთესო დიასახლისია, მეც მიყვარს სამზარეულოში ყოფნა და საკმაოდ გემრიელი კერძები გამომდის. თუმცა მინდა ვაღიარო, ამას მაშინ ვინდომებ, როცა სახლში ქალი არ არის.

**– ერთი სიტყვით ყველაფერი გეხერხებათ, რა პროფესიის ხართ?**

– მთელი ცხოვრება ვმუშაობ, ზოგჯერ თავად ვიგონებ სამუშაოს, რომ უქმად არ ვიყო. პროფესიით ელექტრიკოსი ვარ, სტაბილური სამსახური არ მაქვს, ამიტომ ძირითადად სხვადასხვა კომპანიებთან ვთანამშრომლობ. ღორების საკუთარი ფერმა მაქვს, შრომა არ მეზარება, ერთი სიტყვით არ ვჩერდები.

**– მოგებული თანხის დახარჯავს სად და როგორ აპირებთ?**

– ფერმის გაფართოებაზე ვოცნებობდი, ბედმა გამიღიმა და შანსი მომცა. ალბათ თანხის ძირითად ნაწილს მას მოვახმარ. დანარჩენს ოჯახის წევრებს გადავუნაწილებ, მათაც გაუჩნდა გეგმები და სურვილები, რაზეც უარს ვერ ვეტყვი.

R



# უცხოური ფეხბურთი

ამხანაგური მატჩი. ბაიერნი

## ვალი ფანების წინაშე

**ბეიჯინ გუანი–ბაიერნი 0:6**

**ბაიერნი:** ნოიერი (46. შტარკე), ბოატენგი (46. ვაიზერი), ვან ბუიტენი (46. ბადშტუბერი), დანტე, კონტენტო, ტიმოშჩუკი (46. ჩანი), კროოსი (46. გუსტავო), რობენი (46. მიულერი), შაჩირი, რიბერი (46. მანჯუკიჩი), პისარო (46. გომესი)

**გოლები:** 0:1 ჩუნჟე (8 ს.კ-ში), 0:2 რობენი (11), 0:3 პისარო (44), 0:4 მიულერი (74), 0:5 მანჯუკიჩი (78), 0:6 გომესი (80)

სანამ აღნიშნული მატჩი შედგებოდა, "ბაიერნის" ფეხბურთელებმა სპონსორული კონტრაქტით მათზე დაკისრებული მოვალეობები შეასრულეს და გულშემატკივრებთან ფოტოების გადაღების გარდა, ავტოგრაფებიც ბლომად არიგეს. ჩინური ტურნეს პირველი მატჩი 24 ივლისს გაიმართა, სადაც მასპინძელი "ბეიჯინ გუანი" მიწასთან გასწორდა. პირველი რაც გულშემატკივარს წესით თვალში უნდა მოხვედროდა, ეს რეკორდმაისტერის განახლებული შემადგენლობა იყო. ვფიქრობთ, მატჩის დეტალების მოყოლა აზრს მოკლებულია, რადგან მე-11 წუთზე უკვე ცხადი იყო, რომ გერმანელები ამხანაგურ შეხვედრაში ფრეზე განწყობილნი არ იყვნენ. პირველი ნახევრის სამბურთიანი სხვაობით მოგების შემდეგ გერმანიის ვიცეჩემპიონებს მეორეშიც დიდი აფეთქება დასჭირდათ, რათა საბოლოო ანგარიში დაეფიქსირებინათ. 74-დან მე-80 წუთამდე ჩინელებმა სამი ბურთი მიიღეს და ყველაფერი ასე დამთავრდა. "ბაიერნი" მომდევნო მატჩს დღეს "ვოლფსბურგთან" ამავე ქვეყანაში ჩაატარებს.

### მეფე ოტმარი ეგოისტების წინააღმდეგ

**ოტმარ ჰიტცფელდს** "ბაიერნის" ისტორიაში განსაკუთრებული როლი აქვს ნათამაშები და სრული უფლება აქვს, რეკორდმაისტერის შესახებ როცა უნდა თავისი მოსაზრება მაშინ დააფიქსიროს. 63 წლის მწვრთნელის მტკიცებით, შარშანდელი წარუმატებლობების გამო ბაიერნელები გულშემატკივართა წინაშე ვალში არიან და ვითარების გამოსასწორებლად საკუთარი ეგოიზმის გვერდზე გადადება მოუწევთ. *"ბაიერნი" ვალდებულია, წარმატებას მიაღწიოს. ამისთვის კი გუნდის ინტერესებზე ფიქრია საჭირო და არა იმაზე, თუ თავად რა გვაწუხებს. ის, რომ "დორტმუნდი" ზედიზედ ორი წელია ბუნდესლიგის ჩემპიონი ხდება, იმის თქმის საფუძველს მაძლევს, რომ "ბაიერნი" ვერცხლის სინს აუცილებლად დაიბრუნებს. სხვანაირად ვერც კი წარმომიდგენია,"* – აცხადებს ჰიტცფელდი.

**ლევან ბიბილაშვილი**



ბაიერნელები პისაროს მესამე გოლს ზეიმობენ

ლივერპული

## ალენი მალე განითლდება

GOALCOM-ის ინფორმაციით, "სუონსის" 22 წლის ნახევარმცველი ჯო ალენი მალე "ენფილდ როუდზე" განაგრძობს კარიერას. "წითლებს" ეს გარიგება 13,5 მილიონი ფუნტი (17,22 მლნ ევრო) უჯდებათ. საკითხს წერტილი უახლოეს დღეებში დაესმება. აღსანიშნავია, რომ უელსელ შუახაზელს კონტრაქტში საკომპენსაციო თანხა 15 მილიონი ფუნტი ეწერა, მაგრამ მერსისაიდელებმა მათ 1,5 მლნ დააკლებინეს. შარშან ყველა ტურნირში ერთად ალენმა 44 შეხვედრა ჩაატარა და 4 გოლის გარდა ამდენივე საგოლე გადაცემაც მიითვალა.



ლივერპულის ახალწვეული ჯო ალენი

### ახალი სპონსორი

მერსისაიდელებმა ამერიკული ავტონარმოების გიგანტ "შევროლესთან" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმეს. კომპანიის ლოგო გამოსახული იქნება "ენფილდ როუდზე", საწვრთნელ ბაზაზე და რაც მთავარია, ლივერპულელი ფეხბურთელები ამერიკელების სარეკლამო კამპანიაში ჩაერთვებიან. კონტრაქტის ფინანსურ დეტალებზე მხარეები არაფერს იუწყებიან.

### ჯო კოულის ოცნება

"ლივერპულის" 30 წლის ნახევარმცველმა **ჯო კოულმა** კლუბის ვებგვერდს მისცა ინტერვიუ, სადაც გუნდში საკუთარ პერსპექტივაზე ილაპარაკა. ფეხბურთელს ჯერჯერობით ერთადერთი პრობლემა აწუხებს, არ იცის, თუ რომელ პოზიციაზე აპირებს **ბრენდან როჯერსი** მის გამოყენებას. პირველ ამხანაგურ შეხვედრაში ჯო მარჯვენა ფლანგზე იყო გამწესებული. *"საწვრთნელი პროცესი შესანიშნავად მიდის. ფორმას ნელ-ნელა ვკრეფ და ვემზადები, რომ გუნდის განუყოფელ ნაწილად ვიქცე. სასიამოვნო შეგრძნებაა, როცა თავდაუზოგავად ვარჯიშობ და შენს საუკეთესო ფეხბურთს აჩვენებ. პირველად, როცა "ენფილდზე" ფეხი შევდგი, მსურდა, რომ ამ დიდი კლუბის ისტორიაში ჩამეწერა ჩემი სახელი. მას მერე არაფერიც არ შეცვლილა. ეს ამბიცია ჯერ კიდევ ცოცხალია. ვეცდები, რომ გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო ტიტულების მოპოვებაში,"* - ამბობს ფეხბურთელი.

**ლევან ბიბილაშვილი**

ტრანსფერები



ჯეფრი კონდობია პრეზენტაციაზე

## სევილია ფრანგული ტალანტით გამდიდრდა

**მიჩელის** „სევილიაში" შევსებაა - ანდალუსიურმა კლუბმა ფრანგი ნახევარმცველი **ჯეფრი კონდობია** დაიმატა. სამშაბათს 19 წლის ფეხბურთელმა აუცილებელი სამედიცინო შემოწმება გაიარა, მეორე დღეს კი 5-წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. კონდობია ხირონაში დაბანაკებულ „სევილიას" შეუერთდება და მიჩელის განკარგულებაში გადავა, სადაც ანდალუსიელები ადგილობრივ „ხირონასთან" ამხანაგური მატჩისთვის ემზადებოდნენ (ეს შეხვედრა წუხელ გვიან გაიმართა).

ჯეფრი კონდობია 2004 წლიდან „ლანსის" აკადემიაში ვარჯიშობდა და ამ კლუბის აღზრდილია. საყრდენ ნახევარმცველს საფრანგეთის ყველა ასაკის ნაკრებში აქვს ნათამაშები, მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. გასულ სეზონში „ლანსში" მან 34 მატჩი ითამაშა. „სევილიას" ნიჭიერი ნახევარმცველი უფასოდ ერგო, როგორც თავისუფალი აგენტი.

### ალამო სარაგოსასთვის გაისვრის




ხავი ალამო

„სარაგოსა" და „უელვა" შეთანხმდნენ, **ხავი ალამო** ამიერიდან არაგონულ კლუბში ითამაშებს. „სარაგოსას" ფეხბურთელი 500 ათას ევროზე ოდნავ მეტი დაუჯდა. 23 წლის ფორვარდს „უელვა" მილიონზე მეტად აფასებდა, მაგრამ შემდეგ ლა ლიგის კლუბს დაუთმო, ერთი პირობით - მომავალი გაყიდვიდან ანდალუსიელებს წილი ერგებათ. ხავი ალამო ბოლო სეზონში სეგუნდა დივიზიონის საუკეთესო ახალბედად დაასახელეს. „სარაგოსასთან" ფორვარდმა 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. მოკლედ, გრძელდება გუნდის ახალი თავკაცის, **მანოლო ხიმენესის** მიერ დაწყებული საკადრო რევოლუცია „სარაგოსაში".

ხავი ალამო კანარის კუნძულების მკვიდრია, მან 2009 წლამდე სამოყვარულო კლუბებში ითამაშა, შემდეგ კი „მალიორკაში" გადავიდა, თუმცა ან სარეზერვო გუნდში იყო - ან განათხოვრებული („უნიონში"). გასულ სეზონში მან „უელვაში" 37 მატჩში 6 გოლი გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

### პორტსმუთი სულს ღაფავს

"პორტსმუთის" დროებითი მმართველობის შეფი ტრევორ ბირჩი დარწმუნებულია, რომ იმ მდგომარეობიდან გამოსავალი, რომელშიც ამჟამად კლუბი იმყოფება, არ არსებობს და 10 აგვისტომდე მიცემული ვადა პრობლემების გადასაჭრელად, მხოლოდ და მხოლოდ ფორმალობაა. მათი პროგნოზით, ამ დღეს "პორტსმუთის" ლიკვიდაციის შესახებ გაკეთდება განცხადება. "პომპებს" 1949 და 1950 წლებში მიჯრით ორჯერ აქვთ მოგებული ინგლისის ჩემპიონის ტიტული, ასოციაციის თასს კი 1939 და 2008 წლებში ფლობდნენ.

### ანრი მწვრთნელად არსენალში?

"ნიუ იორკ რედ ბულსის" 35 წლის ფრანგი ვარსკვლავი **ტიერი ანრი** კარიერის დასრულების შემდეგ "არსენალში" შესაძლო დაბრუნებაზე ალაპარაკდა. *"ფეხბურთელის რანგში "ემირიტსზე" დაბრუნებას აღარ ვაპირებ. ეს ნაბიჯი შარშანაც მოულოდნელად გადავდგი. შევიტყვე, რომ შამახი და ჟერვინიო აფრიკის თასზე გაემგზავრნენ და გუნდს დახმარება სჭირდებოდა. მკითხეს, შემეძლო თუ არა ამ საქმის გაკეთება. უმალ დავთანხმდი. სულ ეს იყო. რა იქნება მომავალში, ამის წინასწარ თქმა არ შემიძლია. ერთადერთი, რაც ახლა მინდა კარიერის ღირსეულად დასრულებაა. შემდეგ ალბათ "არსენალში" მწვრთნელად დავბრუნდები, რაც ძალიან მაგარი იქნება. დიახ, ეს პროფესია ძალიან მაინტერესებს, თუმცა მასზე ამ წუთას არ ვფიქრობ,"* – განუცხადა ანრიმ "დეილი ტელეგრაფს".



ტიერი ანრი

### ტოტენჰემს ვარსკვლავები დაუშავდა

"ტოტენჰემს" ამერიკული ტურნეს პირველივე დაპირისპირებაში "ლოს ანჯელეს გალაქსის" წინააღმდეგ (1:1) ორი ფეხბურთელი დააკლდა. ესენი არიან **რაფაელ ვან დერ ვაარტი და კაილ უოლკერი.**

*"საშიში არაფერია. ფეხბურთელები 3-4 დღით დაისვენებენ. ბუნებრივია, მათ მდგომარეობას მუდმივად გავაკონტროლებთ. ვან დერ ვაარტს წინა კვირაშიც ჰქონდა უსიამოვნო შეგრძნებები კუნთზე, უოლკერმა კი კოჭი ოდნავ გადაიბრუნა,"* - განუცხადა goal.com-ს **ანდრე ვილაშ ბოაშმა.**

აქვე გთავაზობთ იმ შემადგენლობას, რომლითაც "დეზებმა" ამერიკის მოქმედ ჩემპიონთან ფრედ ითამაშეს: კუდიჩინი, უოლკერი (ნოტონი 65), კაბული (დოუსონი 65), ფერტონგენი, ბასონგი (ასუ ეკოტო 46), ლივერმორი (ჰადლსტოუნი 74), სიგურდსონი (კეროლი 76), ტაუნსენდი (ლენონი 46), ვან დერ ვაარტი (ჯენასი 36), ბეილი (ბენტლი 76), დეფო (კეინი 65). **გოლი:** ბეილი 17 წთ.

### დუტი ზამერის ნაცვლად

"ფრაიბურგისა" და "ლევერკუზენის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი **რობინ დუტი** გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულ დირექტორად დაინიშნა. ინფორმაციას აღნიშნული ორგანიზაციის ვებგვერდი ავრცელებს. მხარეთა შორის ხელშეკრულება 2016 წლამდე გაფორმდა. სპეციალისტის თქმით, ის მოუთმენლად ელის ახალ თანამდებობაზე მუშაობის დაწყებას და აინტერესებს, რამდენად იოლად შეძლებს **იოახიმ ლიოვის** გვერდით ეფექტურად თანამშრომლობას. შეგახსენებთ, რომ დუტამდე ამ პოსტზე **მათიას ზამერი** მუშაობდა. მას 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ლიოვთან და მის შტაბთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, რადგან ფინალური მატჩის წაგების შემდეგ ნაკრების მწვრთნელების ინიციატივით გამართული საზეიმო ცერემონიალი სასტიკად გააკრიტიკა.

**ლევან ბიბილაშვილი**



რობინ დუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ალექს ფერგიუსონი

# გამბედავი ადამიანი

## ეშმაკების ტრადიცია: დაბრუნება მწვერვალზე



**სერ ალექს ფერგიუსონის ინტერვიუ იმდენად იშვიათი ხილია, რომ მისი ხელიდან გაშვება არ ღირს. მით უფრო, 70 წლის შოტლანდიელი მომდევნო სეზონისთვის გუნდის მზადებას უკვე შეუდგა. *„იუნაიტედს" ერთი უმთავრესი ღირსება აქვს – ის არასოდეს ნებდება. ჩვენ ყოველთვის ვბრუნდებოდით მწვერვალზე. წარსულში სულ ასე ხდებოდა. ნამდვილად ვერ ვხედავ მიზეზს, თუ რატომ არ უნდა მოხდეს ეს ამჟამად,"* – აცხადებს ის.**

**- აქამდე განუხებთ შარშანდელ სეზონში განცდილი მარცხის ჯავრი?**

- დიახ, წყობილებიდან გამოვდივარ, როცა ამაზე ვფიქრობ.

**- მტკივნეული უფრო იმიტომაა, რომ ტიტული „მანჩესტერ სიტიმ" წაგართვათ?**

- როცა ტიტულს კარგავ იმ სიტუაციაში, რომელშიც ეს ჩვენ გავაკეთეთ, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ წაგართმევს გამარჯვებას. ამ დროს შენს თავს უნდა უთხრა, არა უშავს, მომავალ წელს კიდევ ვიბრძოლებო. ვისაც უნდა ეგონოს, რომ მომავალი სეზონის მთავარი ფავორიტი „სიტია", ამ აზრს არასოდეს დავეთანხმები.

**- როდის დაკარგეთ ტიტულის მოპოვების შანსი?**

- „ევერტონთან". მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე 4:2-ს ვიგებდით და ბოლოს ფრედ ვითამაშეთ. ამ შეხვედრამ საჩემპიონო რბოლის ჩარხი სხვა მხარეს შეაბრუნა. შეიძლება, ასე ყველა მატჩის დაწვრილებითი ანალიზი ჩავატაროთ, მაგრამ იმ ფაქტს ვერსად გავექცევით, რომ ტიტული მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობის გამო დავთმეთ.

**- რას ფიქრობთ „ტოტენჰემსა" და „ლივერპულში" მომხდარ ცვლილებებზე?**

- თავის დროზე ძალიან გამიკვირდა, როცა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ნაკრების პოსტი როი ჰოჯსონს შესთავაზა. ჩემთვის მთავარი ფავორიტი ჰარი რედნაპი იყო. რედნაპს დენიელ ლევისთან იდეალური ურთიერთობა არასოდეს ჰქონია, მაგრამ მას შემდეგ, რაც მწვრთნელმა ნაკრებში მუშაობის სურვილი დაადასტურა, მათ შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა. რალაც ამის მსგავსი მოხდა კენი დალგლიშის სიტუაციაშიც. მათ ჩათვალეს, რომ კენის გუნდი სხვა მიმართულებით მიჰყავდა.

> რიო ნაკრებში აღარ ითამაშებს, მას მხოლოდ იუნაიტედი აინტერესებს

**- ფიქრობთ, რომ სუარესისადმი მხარდაჭერამ მას პოსტი შეურყია?**

- არ შემიძლია იმის მტკიცება, რომ ეს გადამწყვეტი მომენტი გახლდათ, მაგრამ ერთ-ერთი წინაპირობა ნამდვილად იყო.

**- არ გაგაკვირვათ ლუის სუარესის საქციელმა, რომელმაც კიდევ ერთხელ გაიხსენა პატრის ევრასთან ინციდენტი?**

- დიახ, გავიგე, რომ მან ეს თემა ხელახლა წამოწია. თუ საჭიროა, არც მე დავიხევ უკან.

**- სუარესმა თქვა, რომ „იუნაიტედს" საკმარისი გავლენა აქვს ასოციაციაში, რომ მას სასურველი გადაწყვეტილება მიაღებინოს.**

- მის სიტყვებს რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. ლუისი ყველაფერს მხოლოდ ევრასთან მომხდარი უსიამოვნების გამო ლაპარაკობს.

**- სუარესის გარდა რასისტულ სკანდალში იყო გახვეული ჯონ ტერიც, ვის წინააღმდეგაც სასამართლო პროცესი ცოტა ხნის წინ დასრულდა.**

- არ მგონია, რომ ჩვენს ფეხბურთს რასიზმის საფრთხე ემუქრებოდეს. მას მერე, რაც მე აქ მოვედი სამუშაოდ, დიდი ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით. ის, რაც ტერიმ ანტონ ფერდინანდს აკადრა, ყველამ შეიტყო, მაგრამ მაინც არ მგონია, რომ ეს გლობალური პრობლემა იყოს.

**- ჰო, მაგრამ ნუთუ არ არის პრობლემა ის, რომ რიო ფერდინანდი ნაკრებში არ გამოიძახეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მეწყვილე ტერი უნდა ყოფილიყო.**

- არ ვარ დარწმუნებული, რომ ნაკრებს მილმა რიოს დარჩენის მიზეზი ნამდვილად ეს იყო. თუმცა, ვფიქრობ, რომ შეიძლებოდა კიდეც, ყოფილიყო.

**- რიო ნაკრებში კიდევ ითამაშებს?**

- ვერ წარმომიდგენია, რომ ეს მოხდეს. ფერდინანდი უკვე 34 წლისაა და მხოლოდ „იუნაიტედში" სურს თამაში.

**- ფერდინანდს თუ შესთავაზეთ ხელშეკრულების გაგრძელება, რომელიც მას ერთ წელიწადში უმთავრდება?**

- მისი ასაკის ფეხბურთელებთან ხანგრძლივვადიანი კონტრაქტების გაფორმება ცოტა სარისკოა. ჩვენ დიდი ხანია ვეტერანებს მხოლოდ თითო წლით ვუგრძელებთ ხელშეკრულებებს. თუკი ის ჯანმრთელი იქნება და ფორმასაც შეინარჩუნებს, ნამდვილად შეძლებს 37 წლამდე თამაშს. რიო იოგას ვარჯიშებითაა დაკავებული, რაც ძალიან შველის. მან წინა სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. ბოლო წლებისგან განსხვავებით, როცა ტრავმები ტანჯავდა, სერიოზული დაზიანება თითქმის არ მიუღია. მან და ჯონი ევანსმა ერთად მრავალი კარგი მატჩი ჩაატარეს.

**- პატრის ევრა ბოლო 5 წელია, პრაქტიკულად, შეუცვლელად თამაშობს. ფაბიო და სილვა არენდით გაუშვით. ეს ნიშნავს, რომ ახალი მცველი გჭირდებათ?**

> მინდა, გიგზმა კიდევ ორიოდე სეზონი ითამაშოს

- ჩვენ ამ პოზიციაზე ორი კარგი ახალგაზრდა გვყავს, რომელთაც „ამაზულუსთან" ითამაშეს და თავიც გამოიჩინეს.

**- ეს სეზონი ალბათ უკანასკნელი იქნება სქოულზისა და გიგზის კარიერაში.**

- პოლისთვის დიდი ალბათობით ჰო, აი, გიგზს რაც შეეხება, იმედია, ის ჩვენთან კიდევ ორიოდე სეზონით დარჩება.

**- მაისის ბოლოს გულშემატკივრები შეშფოთებულები იყვნენ, როცა ცხვირიდან სისხლდენის გამო საავადმყოფოში მოგათავსეს. მოგვიყევით ამ ამბის შესახებ.**

- ეს ჩვეულებრივი სისხლდენა იყო, მეტი არაფერი. მიზეზი ალბათ ის იყო, რომ იმ პერიოდში ძალიან ბევრს დავფრინავდი. ექიმმა ამიხსნა ყველაფერი და მე მის დაკვნას დავეთანხმე. ვშიშობდი, რომ სამხრეთ აფრიკამდე 12-საათიანი ფრენაც აისახებოდა ჩემს ჯანმრთელობაზე, მაგრამ არაფერი საშიში არ მომხდარა.

**- თქვენ ნამდვილად გამბედავი ადამიანი ხართ.**

- დამიჯერეთ, ძალიან ბევრი ადამიანი მოიძებნება, ვინც სულითა და გულით არ დაგეთანხმებიან თქვენს დასკვნაში.

ნიუკასლი

# პარდიუს პესიმიზმი

## და 19 წლის ვუნდერკინდის მოლოდინი

„ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელის **ალან პარდიუს** თქმით, კლუბს რამდენიმე ახალი ფეხბურთელის გადაბირება სურს, მაგრამ ჯერჯერობით ამას ვერ ახერხებს. შეგახსენებთ, რომ „კაჭკაჭებმა" აქამდე ორადორი კაცი დაიმატეს - **რომან ამალფიტანო** „რეიმსიდან" და **გაელ ბიგირიმანა** „ქოვენთრიდან". ამბიციური პრემიერლიგელისთვის ეს შენაძენები საკმარისი რომ არ არის, ალბათ ეჭვი არავის ეპარება. ჩრდილოინგლისელებს ჩემპიონატის, ლიგისა და ასოციაციის თასების გარდა ევროპა ლიგის მატჩები ელით, რაც ფეხბურთელებისგან მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვს. პარდიუ აღიარებს, რომ თუკი გუნდი ამ უკანასკნელს მაქსიმალურ ყურადღებას მიაქცევს, ჩემპიონატში პრობლემებს გადაეყრება.

„ნიუკასლს" „ტვენტედან" **დუგლასისა** და „ლილიდან" **დებუშის** შეძენა სურს. ჯორდები „ლივერპულიდან" **ენდი კეროლის** დაბრუნებასაც აპირებენ და ყოფილ ფეხბურთელში 16 მილიონს იხდიან. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რომელიმეზე იმის თქმა, თუნდაც 99%-ით გადაწყვეტილიაო, გადაჭარბებული იქნებოდა. აი, რას აცხადებს კეროლის ტრანსფერზე გუნდის თავკაცი: *„ლივერპულთან" მოლაპარაკებებში არანაირი პროგრესი არ შეინიშნება. ფინანსურ მხარეზე შეთანხმება ვერ ხერხდება".* სამაგიეროდ პარდიუ კმაყოფილია ფენერბაჰჩესთან საკონტროლო შეხვედრაში **პაპის სისეს** დაბრუნებით: *„სისეს სათამაშო დრო მივეცი, რადგან მან დამიმტკიცა, რომ ამისთვის უკვე მზად იყო. თურქებთან მან ფანტასტიკურად ითამაშა".*

### ახალი სახეების მოლოდინში

„ნიუკასლის" კაპიტან **ფაბრისიო კოლოჩინის** იმედი აქვს, რომ კლუბი უახლოეს მომავალში შეძლებს ახალი ფეხბურთელების გადაბირებას. არგენტინელის თქმით, გუნდში **ატემ ბენ არფასა** და **იოან კაბაის** დაბრუნებამ ფეხბურთელები ამაღლებულ განწყობაზე დააყენა. *„ჩვენ ცოტა ხანი კიდევ მოგვიწევს მოცდა, რომ ახალწვეულები ვიხილოთ. ეს პროცესი ძალიან საინტერესო იქნება. „ფენერბაჰჩესთან" მინდორზე დაბრუნება ძალიან სასიამოვნო იყო მიუხედავად იმისა, რომ მინდორი წვიმის გამო საკმაოდ დამძიმებული გახლდათ. ზოგადად გერმანული შეკრება ნაყოფიერი გამოდგა,"* – აცხადებს 30 წლის არგენტინელი.

### სავარაუდო შენაძენები

ზემოთ უკვე მოგახსენეთ დუგლასითა და დებუშით დაინტერესების შესახებ. ბრაზილიელისა და ფრანგის გარდა ჯორდებს სხვა მოთამაშეებიც აინტერესებთ. ერთ-ერთი მათგანია ავსტრალიური „მელბურნ ჰარტის" 19 წლის ცაცია ცენტრალური მცველი **კერტის გუდი**.



კერტის გუდმა ნიუკასლთან ხელშეკრულება გააფორმა

„დეილი მეილის" ცნობით, კლუბებს შორის უკვე ყველაფერი შეთანხმებულია. ტრანსფერის ხორცშესხმას მხოლოდ ფეხბურთელის სამედიცინო შემოწმება და კონტრაქტზე ხელის მოწერაღა აკლია. ავსტრალიელმა ინგლისის შრომის სამინისტროსგან ქვეყანაში მუშაობის უფლება უკვე მიიღო და კუნძულს უახლოეს 24 საათში ეწვევა. გუდმა პირველი პროფესიული კონტრაქტი 1,5 წლის წინ, 2011 წლის თებერვალში გააფორმა და მას მერე გულშემატკივართა კერპად გადაიქცა. კერტისის ამჟამინდელი დამრიგებელი **ჯონ ალოიზი** (მკითხველს ის შეიძლება „სტანდარდის", „პორტსმუთის", „ქოვენთრის" ან „ალავესის" შემადგენლობიდან ახსოვდეს) აცხადებს: *„კერტისისთვის ეს წარმოუდგენლად დიდი შანსია. „ნიუკასლი" პრემიერლიგაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კლუბია, სადაც მას პროფესიული ზრდის დიდი შანსი მიეცემა. კერტისს, რა თქმა უნდა, საუკეთესო სურვილებით ვშორდებით".*

ესპანური AS-ის ცნობით, „კაჭკაჭები" „ხეტაფედან" ფრანგული წარმოშობის მაროკოელის, 23 წლის **აბდელ ბარადას** შეძენას აპირებენ. დაცვითი ტიპის ნახევარმცველმა შარშანდელ ლა ლიგაში 32 შეხვედრაში 4 გოლის გატანა მოახერხა. გამოცემა ფეხბურთელის სავარაუდო ფასად 5-6 მილიონ ევროს ასახელებს.

**P.S.** *მოგვიანებით ბრიტანულმა პრესამ დაადასტურა, რომ კერტის გუდმა კონტრაქტი უკვე გააფორმა. „ნიუკასლს" მისი შეძენა 600 ათასი ავსტრალიური დოლარი დაუჯდა.*

ამბები

### გინებისთვის დასჯება

ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია „არსენალის" 20 წლის ნახევარმცველ **ემანუელ ფრიმპონგს** ტვიტერში ატეხილი ალიაქოთისთვის დასჯის. გამოძიების დაწყების საფუძვლად ის იქცა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელს „ტოტენჰემის" მავანმა ფანმა დაუწერა, ვლოცულობდი, რომ ორივე ხელი და ფეხი მოგეტეხაო, რაზეც ფრიმპონგმა მეტისმეტად უხეში პასუხი გასცა. ემანუელს შესაძლოა, ორიოდე თამაშით აუკრძალონ პრემიერლიგაში ასპარეზობა.

### სიტის ბერი დააკლდება

„დეილი მეილის" მტკიცებით, ორიოდე თვის წინ საზარდულზე ოპერაციაგადატანილი **გარეთ ბერის** მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და დიდი შანსია, 18 აგვისტოს ფეხბურთელმა პრემიერლიგის პირველ ტურში „საუთჰემპტონთან" საშინაო დაპირისპირება გამოტოვოს. *„საზარდულზე ოპერაცია მიუნხენში გამიკეთეს. პრობლემები ჯერ კიდევ სეზონის მიწურულს დამეწყო, სანაკრებო შეკრებაზე კი მდგომარეობა იმდენად აუტანელი გახდა, რომ იძულებული გავხდი, შინ დავბრუნებულიყავი,"* – იხსენებს ფეხბურთელი.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

● ბარსელონა

# ჟერარდის პირველი გადამწყვეტი

## გერმანელები წუხან, ბარსას სარეზერვო გუნდიც კი გვჯობს!



ბარსელონელები დანი ალვეშის (მარცხნივ) გოლს ხარობენ

| ჰამბურგი–ბარსელონა | 1:2 |
|---|---|

**ჰამბურგი (4-2-3-1)**: ადლერი - დიკმაიერი (46. ბეშიჩი), ბრუმა (76. ნორგაარდი), მანსიენი (87. კრისანტუსი), აოგო (46. ილიჩევიჩი) - ვესტერმანი (46. სტაინმანი), სკიელბრედი (46. სალა) - სონი (46. ბაისტერი), არსლანი (46. ტეში), იანსენი - ბერგი (46. რუდნევსი).

**ბარსელონა (4-3-3)**: პინტო (70. ოლასაბალი) - დანი ალვეში (46. ბალიუსი), ბარტრა (46. მუნიესა), მასკერანო, ადრიანო (46. გომესი) - ჯოვანი დოს სანტოსი (46. პლანასი), რობერტო, ესპინოსა (46. ილიე) - სანჩესი (46. რომანი), აფელაი (46. ლობატო), დეულოფეუ (46. რაფინია).

**გოლები**: 0:1 დანი ალვეში (5), 1:1 არსლანი (21), 1:2 დეულოფეუ (38)

„ბარსელონამ" პირველი სპარინგი გამართა, შედგა **ტიტო ვილანოვას** არაოფიციალური დებიუტიც მთავარი მწვრთნელის პოსტზე - „ბარსამ" გერმანიაში „ჰამბურგს" 2:1 მოუგო, გამარჯვების გოლი **ჟერარდ დეულოფეუს** ანგარიშზეა. „იმტეხ არენაზე" ყველა, 57 ათასი ადგილი, შეივსო. თამაშს კატალონიელები აკონტროლებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან „ჰამბურგიც" ქმნიდა მომენტებს. ტიტო ვილანოვას გუნდი ექსპერიმენტული შემადგენლობით იყო, 11-ეულიდან მხოლოდ **დანი ალვეშს** თუ აქვს გარანტირებული მომავალ სეზონში სასტარტოს როლი.

არ უთამაშიათ **ლიონელ მესის** (ტრავმა), **ჩავის**, **ინიესტას**, **დავიდ ვილიას** (ტრავმა), **პიკეს**, **ვალდესსა** და სხვებს. მოკლედ, ეს ის „ბარსელონა" სულაც არ იყო, რომელსაც მივეჩვიეთ, თუმცა პირველი თამაში მაინც საგანგებოდ ალსანიშნავია.

მატჩი „ჰამბურგის" დაარსების 125 წლისთავს მიეძღვნა. მესის რომ ეთამაშა, მასპინძლებს დამატებითი თანხა უნდა გადაეხადათ (ხელშეკრულების თანახმად), ასე რომ, ლეოს მცირე ტრავმამ გერმანელ ორგანიზატორებს დაახლოებით 400 ათასი ევრო დაუზოგა.

ტიტომ 4-3-3 სისტემით ათამაშა გუნდი, რომელშიც შემტევი ტრიოს ფლანგები **ალექსის სანჩესმა** და ჟერარდ დეულოფეუმ დაიკავეს, ხოლო **იბრაჰიმ აფელაი** ცრუ ცენტრფორვარდად გაამწესა.

„ბარსელონას" მხრიდან მთავარი საშიშროება ჩილელი ალექსის სანჩესის ფლანგიდან მოდიოდა. მე-5 წუთზე **დენის აოგო** ვერ გაუმკლავდა მარცხნიდან ჩამონოდებულ ბურთს და ჩილელმაც იქვე მყოფ დანი ალვეშს დაუგორა, ბრაზილიელმა უძლიერესად დაარტყა, ისე რომ **რენე ადლერს** შანსი არ დაუტოვა.

მასპინძელთაგან თუ ვინმეს გამორჩევა შეიძლებოდა, უპირველესად ეს 20 წლის კორეელი **ჰეუნ-მინ სონია**. 21-ე წუთზე აზიელის დარტყმული **ხოსე პინტომ** კი მოიგერია, მაგრამ **თოლგაი არსლანმა** დაამატა - 1:1.

ამის შემდეგ ისევ ალექსის სანჩესი აქტიურობდა, ერთხელ გოლიც გაიტანა, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობა დაფიქსირდა, მალე მას გერმანიის ნაკრების ყოფილმა გოლკიპერმა აუღო. შესვენებამდე 7 წუთით ადრე ადლერის კარი ესპანელებმა მაინც დალშაქრეს, დანი ალვეშმა მოედნის ცენტრში აართვა მეტოქეს ბურთი, აფელაის დარტყმული მეკარემ მოიგერია, მაგრამ იქვე 18 წლის ჟერარდ დეულოფეუ გაჩნდა - 1:2.

შესვენებაზე ვილანოვამ 9 ფეხბურთელი შეცვალა, ხოლო „ჰამბურგის" თავკაცმა **ტორსტენ ფინკმა** - 7. ბუნებრივია, ამან თამაში მთლიანად არია. გამოვყოფთ შეცვლაზე შემოსული **ანტიონ რუდნევსის** აქტიურობას. მეორე ტაიმში ერთი ძალზე უსიამოვნო ეპიზოდი მოხდა - **მარკ მუნიესამ** ტრავმა მიიღო, მან ბრძოლა ველარ გააგრძელა. ამიტომ მოედანზე **მარკ ბარტრა** დაბრუნდა. 28 ივლისს „ბარსელონას" მორიგი სპარინგი მაროკოულ „რაჯა კლუბ ატლეტიკთან" ექნება.

### მოგვატყუეს!

*„ბარსას" B გუნდიც კი ძლიერია „ჰამბურგისთვის", ასეთი სათაურით გამოვიდა გერმანული „ბილდი". „57 ათასი მაყურებელი განაწყენებული დარჩა. ბოლო მომენტში არ ითამაშა მესიმ. ეს იყო „ბარსელონას" B გუნდი. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გერმანიაში არც ჩასულა. ამბობენ, რომ მას მცირე ტრავმა აქვს. ნეტარ არიან მორწმუნენი...", - წერს „ბილდი".*



მარკ მუნიესა შინ ასე დაბრუნდა

### მუნიესას უიღბლობა

მარკ მუნიესას ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა - მან მუხლის ჯვარედინი იოგები დაიზიანა. ეს კი თვეობით იძულებით უქმად ყოფნას ნიშნავს. ცენტრალურმა მცველმა პირველად ითამაშა როგორც „ბარსელონას" პირველი გუნდის სრულუფლებიანმა წევრმა და უკვე მე-7 წუთზე (ის მეორე ტაიმში ჩაერთო თამაშში) მუხლი მძიმედ დაიშავა. 20 წლის ცენტრალური მცველი მალე შეიტყობს, საჭირო იქნება თუ არა მუხლზე ოპერაცია და რამდენ ხანს დაისვენებს ფეხბურთისგან. წლეულს მისი თამაში ალბათ ძალზე საეჭვოა.

ეს პირველი სერიოზული ტრავმა არ არის მუნიესასთვის, როცა მარკი 16 წლის იყო, მან მუხლი ისე დაიზიანა (მაშინ მარცხენა მუხლი), რომ 10 თვე ფეხბურთი ვერ ითამაშა.

### ტიტო: ასისტენტი არც ვიყავი

ტიტო ვილანოვა თავისი დებიუტით კმაყოფილი დარჩა. *„ზაფხულის შესვენების შემდეგ ეს მატჩი დაგვეხმარა, გავიხსენოთ ჩვენი ფეხბურთი. საერთო ჯამში, კარგად ვითამაშეთ, ბურთს ჩვენ ვაკონტროლებდით და მუდამ მათ ნახევარზე ვიყავით"*, - განაცხადა მან. ვილანოვას მუნიესას ტრავმამ გული დაწყვიტა: *„ძალიან ცუდი ამბავია. ტრავმები, ყველაზე მეტად მათი თავიდან აცილება უნდა შევძლოთ წინასასეზონო მატჩებში, ჩვენ კი პირველივე მატჩში დავზარალდით. მარკი შესანიშნავ ფორმაში იყო. ახლა ყველანი გვერდში უნდა დავუდგეთ მას მძიმე სიტუაციაში".*

*„პეპის გარეშე პირველად გავიყვანე გუნდი. ადრე ყოფილა შემთხვევა, რომ მხოლოდ მე ვიჯექი სათადარიგოთა სკამზე, მაგრამ გვარდიოლა ტრიბუნაზე იყო. ახლა კი მხოლოდ მე უნდა გადამეწყვიტა ყველაფერი. სიმართლე გითხრათ, არ გამჭირვებია, რადგან გვარდიოლას დროს თავს ასისტენტად არ ვგრძნობდი, ყველაფერში ვმონაწილეობდი და პეპი 99% შემთხვევებში ჩემს აზრზე იყო"*, - განაცხადა „ბარსას" ახალმა თავკაცმა.

**ჟერარდ დეულოფეუ** (ბარსელონა): *„იმედი მაქვს, რომ ტიტოს სარეზერვო გუნდის ფეხბურთელებსაც აკვირდება. ძალიან გახარებული ვარ, რომ პირველ გუნდთან ერთად ვარ, მოვიგეთ და გოლი მე გავიტანე. მოკლედ, მზად ვარ, რასაც ტიტო მეტყვის, ყველაფერი შევასრულო".*



სერხიო არაუხო ბოკადან ბარსაში აღმოჩნდა

**ხავიერ მასკერანო** (ბარსელონა): *„ყველაფერი მუნიესას ტრავმის გამო გაუფერულდა, თუმცა ახლა მხოლოდ პოზიტიურ მომენტებზე უნდა ვიფიქროთ. რაც შეეხება ჩემს ახალ კონტრაქტს, ის თითქმის მზადაა. იმედია, ბარტრასთან ერთად კარგი დუეტი გამომივიდა".*

### ჩინოს ბარსა გამოაჩენს

მოკლედ კლუბში მომხდარ სხვა ამბებსაც მოვყვებით. უკვე საბოლოოდ შეთანხმდა - არგენტინელი **სერხიო არაუხო** მომავალ სეზონს „ბარსელონაში" გაატარებს. გუშინ მან სამედიცინო შემოწმება გაიარა. „ბოკა ხუნიორსის" 20 წლის შემტევი სეზონს „ბარსელონას" სარეზერვო გუნდში გაატარებს. არაუხოს მეტსახელია „ჩინო".

ამას წინათ შეგატყობინეთ, რომ „ბარსას" სარეზერვო გუნდმა ლისაბონის „სპორტინგიდან" **ედგარ იე** დაიმატა. პორტუგალიელ ფეხბურთელს ბარსელონაში მარცხენა ფეხზე მცირე ოპერაცია ჩაუტარეს, რის გამოც ის პირველ სამ თვეს გამოტოვებს.

● რეალი

# ოვიედომ ახლები გამოაჩინა: ლუკასი, დენისი...

## რეალმა აღიარა, რომ კაკა აღარ უნდა და მოდრიჩი სურს

| ოვიედო–რეალი | 1:5 |
|---|---|

**რეალი**: ადანი - ხუანფრანი, მატეოსი, ივანი, კასადო - ალექს ფერნანდესი, მოსკერა, გრანერო - ჩერიშევი, მორატა, ლუკასი.

**შეცვლაზე შევიდნენ**: ხესუსი, დიარა, დი მარია, ვარანი, კალეხონი, რიოსი, ნაჩო, იგუაინი, პაჩეკო და ალვარო.

**გოლები**: 0:1 ლუკასი (9), 0:2 ჩერიშევი (38), 0:3 გრანერო (40), 1:3 მარტინსი (52), 1:4 დი მარია (55), 1:5 დი მარია (74)

პირველი სპარინგი გამართა ესპანეთის ჩემპიონმა „რეალმაც". კატალონიელთაგან განსხვავებით, „სამეფო კლუბი" ოვიედოში ჩავიდა, სადაც ადგილობრივ „რეალს" შეხვდა და 5:1 აჯობა. ისევე როგორც „ბარსელონას", **ჟოზე მოურინიოს** გუნდსაც ექსპერიმენტულს ვუწოდებთ.

ამ თამაშში თავი გამოიჩინეს ახალგაზრდებმა **ლუკას ვასკესმა** და **დენის ჩერიშევმა**. ოვიედოში მატჩს 20 ათასი მაყურებელი დაესწრო, მათ განსაკუთრებით ლუკასმა მოაწონა თავი, რომელმაც გახსნა კიდევაც ანგარიში.

ჟოზემ 4-3-3 ფორმაციის „რეალი" შემოგვთავაზა, რომელშიც ცენტრფორვარდის როლი **მორატას** მიენიჭა. მე-9 წუთზე ლუკასმა **ივანისგან** შორეული პასი მიიღო და **დანი ბარიოს** აჯობა. ამის შემდეგ ორი მომენტი მორატას შეექმნა, მაგრამ მან ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გაიტანა. 38-ე წუთზე მორატამ მარჯვენა ფლანგზე დენისი გაიყვანა და ესპანეთის მოქალაქე რუსი ფეხბურთელიც იოლად გაუმკლავდა მასპინძელთა გოლკიპერს. ორ წუთში მესამეც გავიდა, ლუკასი მარცხენა ფრთაზე **კრიშტიანო რონალდოსთვის** დამახასიათებელ სტილში ამოქმედა, მისი ჩაწოდებული კარში **გრანერომ** გადაგზავნა თუ „ოვიედოს" მცველმა **პასკალმა**, ძნელი სათქმელია, თანაც ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

მეორე ტაიმის დასაწყისში „ოვიედომ" მოულოდნელად გაიტანა, **მარტინსმა** წინ გამოვარდნილ **ხესუსს** დაასწრო - 1:3. ამის შემდეგ ძველი გვარდიის დროც დადგა - **ანხელ დი მარიამ** მეკარეს ბურთი „მოპარა", ხოლო მანვე **იგუაინის** დარტყმულს დაამატა. პარასკევს „თეთრები" მეორე ამხანაგურ მატჩს ლისაბონში „ბენფიკას" წინააღმდეგ გამართავენ, მერე კი „რეალის" ამერიკული ტურნე იწყება.

### მოურინიოს ლისაბონი ელის

პარასკევს ლისაბონში „ბენფიკასთან" მატჩის გარდა ჟოზე მოურინიოს დაჯილდოებაცაა. მწვრთნელს „პრესტიჟიო ფერნანდო სორომენიოს" პრიზს გადასცემენ. ეს პორტუგალიის სპორტულ ჟურნალისტთა მიერ დაწესებული მთავარი პრიზია.

„ოვიედოსთან" მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს მოურინიოს თანაშემწე **აიტორ კარანკა** წარუდგა: *„გოლები ძალიან კარგია, მაგრამ საუკეთესო იქნება, თუ ჩვენ წინასასეზონო მატჩებში ავაწყობთ გუნდის იმ თამაშს, რომელიც შემდეგ სეზონის განმავლობაში უნდა შევთავაზოთ მაყურებელს. „რეალის" ახალგაზრდული აკადემია ძლიერ კადრებს ზრდის. ჩვენ ყოველთვის გვჯეროდა ამ აკადემიის".*

კარანკა სატრანსფერო საკითხებსაც შეეხო: *„რაც შეეხება კაკას საკითხს - ჩვენ ვცდილობთ მისთვის და კლუბისთვის საუკეთესო გამოსავალი გამოვნახოთ. მწვრთნელის გადაწყვეტილებით ის ისევ კლუბთან ერთად არის. რაც შეეხება მოდრიჩს - მგონი, არ არსებობს კლუბი, რომელსაც არ ენდომება მოდრიჩი გუნდში. ის ძალიან კარგი და უკვე გამოცდილი ფეხბურთელია. „რეალი" კი ყოველთვის ცდილობს საუკეთესო ფეხბურთელები ათამაშოს".* როგორც ხედავთ, ოფიციალურად პირველად დადასტურდა, ის რაზეც ამდენ ხანს იწერება პრესაში - **კაკა** მიდის, ხოლო **მოდრიჩის** ყიდვა სურთ.

**ესტებან გრანერო** (რეალი): *„ძალიან მიხარია, რომ კაპიტნის სამკლავური მე მეკეთა, მაგრამ არც ის მავიწყდება, რომ ეს მხოლოდ წინასასეზონო შეკრებაა".*

**ალვარო მორატა** (რეალი): *„ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ პირველ გუნდში თამაშის შანსი მეძლევა და მენდობიან. მწვრთნელმა იცის, რომ თავს არ დავზოგავ, რომ ძირითად გუნდში თავი დავიმკვიდრო".*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ანხელ დი მარია (მარცხნივ) და გონსალო იგუაინი

ლეგენდა

# ინძაგი ახალ ამპლუაში

## მიზანი: ჩემპიონთა ლიგის მოგება

**ფილიპო ინძაგიმ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა. 38 წლის ფორვარდს შეთავაზებები ნამდვილად არ აკლდა, მაგრამ ყველა უარით გაისტუმრა და მწვრთნელობა დაიწყო – დიახ, სუპერპიპო "მილანის" 17-წლამდელთა გუნდს ჩაუდგა სათავეში და პირველი ნაბიჯი გადადგა ახალ პროფესიაში. ამ ყველაფერზე მსოფლიო ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ ბრიფინგზე ისაუბრა:**

### გადაწყვეტილება

არაერთი მაცდური შეთავაზება მქონდა და ბევრიც ვიფიქრე, მაგრამ ბოლოს კარიერის დასრულება გადავწყვიტე. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ჩემი სამსახურით იყო დაინტერესებული. მაგალითად, ინგლისის პრემიერლიგის გუნდი 2+1-წლიან ხელშეკრულებას მთავაზობდა, რაც ჩემი ასაკის ფეხბურთელისთვის ნამდვილად იშვიათი მოვლენაა და შესაძლოა, უპრეცედენტოც კი. ამაზე უარის თქმა იოლი არ იყო, მაგრამ მივხვდი, რომ "მილანის" გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელია – ჩემი სახლი აქაა და მსურს, ამ კლუბს კიდევ მრავალი წელი ვემსახურო. გადაწყვეტილება საბოლოოა და გადახედვას არ ექვემდებარება – მე "როსონერის" 17-წლამდელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი ვიქნები. ვეცდები, ახალგაზრდა ფეხბურთელებს ჩემი გამოცდილება გავუზიარო და მაქსიმუმალურად ბევრი ვასწავლო. ერთი სული მაქვს, როდის შევუდგები საქმეს.

### მიზანი

ახალ პროფესიად მწვრთნელობა ავირჩიე და მინდა, რომ ამ საქმეშიც ისეთივე წარმატებული ვიყო, როგორც ძველში. მსურს მსოფლიო მასშტაბის მწვრთნელი გავხდე და უამრავი ტიტული მოვიგო. ბავშვობიდან მიზანსწრაფული ვარ და მჯერა, რომ ეს ასეც მოხდება. ჩემი გეგმები "მილანს" უკავშირდება და დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან მთავარი გუნდის მესაჭე გავხდები. ოცნებად მაქვს ქცეული, რომ "როსონერის" მთავარი მწვრთნელის რანგში ჩემპიონთა ლიგა მოვიგო და იმედია, ისევე ამისრულდება, როგორც ფეხბურთელობის პერიოდში.

იმედია, ჩემს სიტყვებს არასწორი ინტერპრეტაცია არ მიეცემა – მასიმილიანო ალეგრის უდიდეს პატივს ვცემ და ვფიქრობ, რომ დღეს სწორედ ის უნდა იყოს გუნდის მთავარი მწვრთნელი. თუმცა, აქვე არც ჩემს მიზანს ვმალავ და ყველაფერს ხმამაღლა ვამბობ.

### სამწვრთნელო ფილოსოფია

ახალ საქმეში პირველ ნაბიჯებს ვდგავ და ჯერ გამიჭირდება იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ ფეხბურთს ითამაშებენ ჩემი გუნდები. თუმცა, ერთი თამამად შემიძლია ვთქვა – ერთი ტაქტიკა-სტრატეგიის მძევალი არ გავხდები და ვეცდები, რომ როგორც მწვრთნელი, ყოველთვის ამოუცნობი ვიყო მეტოქეთათვის. ისეთ დიდ სპეციალისტებთან მქონდა ურთიერთობა, როგორებიც კარლო ანჩელოტი და მარჩელო ლიპი არიან – მათგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, რომლებსაც აუცილებლად გამოვიყენებ.



ფილიპო ინძაგის ჩემპიონთა ლიგა ფეხბურთელის რანგში მოგებული აქვს

მილანი



ურბი ემანუელსონმა "შალკეს" გამარჯვების გოლი გაუტანა

# ალეგრი მხრებში გაიმართა

## გალიანი: კაკას გადაბირება პრიორიტეტია

"მილანმა" მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა და როგორც იქნა, გამარჯვება მოიპოვა. ლომბარდიული გრანდის მეტოქე "შალკე" იყო, თამაში კი **ურბი ემანუელსონის** გოლის წყალობით, 1:0 დასრულდა. დიახ, ერთადერთი გოლი სწორედ ურბიმ გაიტანა, რომელიც მარცხენა ფლანგზე იყო გამწესებული... შეტევის წინა ხაზზე **რობინიო** და **ელ შაარავი** მოქმედებდნენ (უკანასკნელმა გუშინ „მილანთან" 2017 წლამდე გააფორმა კონტრაქტი), გამთამაშებლის პოზიციაზე კი **კევინ პრინს ბოატენგი** მოქმედებდა.

თამაში იტალიელთა უპირატესობით წარიმართა და ლოგიკური შედეგით დასრულდა. თუმცა, მილანელებს მეტის გატანაც შეეძლოთ და სიზუსტე რომ გამოეჩინათ დამაგვირგვინებელ ფაზაში, კიდევ მინიმუმ 2-3 გოლს გაიტანდნენ. მოკლედ, "ტროფეო ტიმ-ზე" შერცხვენის შემდეგ, ლომბარდიელებმა კარგი სპარინგი გამართეს და ცოტა მხრებშიც გაიმართნენ – ეს **მასიმილიანო ალეგრის** კომენტარიდანაც ჩანს:

*"შეგირდების თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ და შედეგითაც, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ამხანაგური შეხვედრა იყო. ეს გამარჯვება ძალიან გვჭირდებოდა, რადგან ბოლო დროს მუდმივად გვაკრიტიკებდნენ, ბუნებრივია, ეს ყველაფერი ფეხბურთელთა ფსიქოლოგიურ განწყობაზე მოქმედებს და პირველ რიგში ამიტომ გამიხარდა მოგება. "შალკე" ძლიერი გუნდია და კარგი სპარინგი გამოვიდა, მთლიანობაში ძალიან კმაყოფილი ვარ. დარწმუნებული ვარ, მომდევნო სეზონს უმაღლეს დონეზე ჩავატარებთ – არადა, უმეტესობა სრულიად საპირისპირო პროგნოზს აკეთებს. "მილანი" უდიდესი გუნდია და რამდენიმე ფეხბურთელის წასვლით, ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. ყველაფერი კარგად იქნება, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული".*

ამასობაში კიდევ ერთხელ ამოტივტივდა **კაკას** "მილანში" შესაძლო დაბრუნების თემა – მილანელებსა და მადრიდელებს შორის რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს, ეს თვით **ადრიანო გალიანიმ** დაადასტურა:

*"კაკას გადაბირება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია და იმედი მაქვს, რომ მოლაპარაკების პროცესი შეთანხმებით დასრულდება. რამდენიმე დღის წინ ფეხბურთელის მამას ვესაუბრე და ვიცი, რომ თავად კაკასაც სურს "როსონერიში" დაბრუნება. მთავარია, მადრიდელებთან მივაღწიოთ შეთანხმებას და ყველაფერი კარგად იქნება. ესპანელები წინააღმდეგნი არ არიან ბრაზილიელს შეელიონ, მთავარი თანხაა და ვნახოთ, როგორ წარიმართება მოლაპარაკებები. პირადად, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. სატრანსფერო ბაზარზე გასვლას არ ვაპირებთ, მაგრამ ზლატან იბრაჰიმოვიჩის და ტიაგო სილვას გასხვისებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა, რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი გვჭირდება და ეს კარგად გვაქვს გაცნობიერებული".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

რომა

# ჯალოროსის ახალი პრეზიდენტი ეყოლება

## დი ბენედეტო პოსტს ტოვებს



ტომას დი ბენედეტო

2011 წლის სექტემბერში "რომას" საკონტროლო პაკეტი იტალიური წარმოშობის ამერიკელმა ბიზნესმენმა **ტომას დი ბენედეტომ** შეიძინა და პრეზიდენტის პოსტიც მანვე დაიკავა. ერთი ხანობა, მისტერ ტომასი მუდმივად იმას გაიძახდა, რომ კლუბის საქმეებს პირადად გაუძღვებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, მალე შეიცვალა პოზიცია. "გაძეტა დელო სპორტში" გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "რომას" მალე ახალი პრეზიდენტი ეყოლება, რომლის სახელი და გვარი **ჯეიმს პალოტა** გახლავთ, რომელიც ასევე ამერიკელია და ასევე იტალიური წარმოშობის. მომავალი პრეზიდენტის შესახებ თავად ტომას დი ბენედეტომ ისაუბრა:

*"ჯეიმსი შესანიშნავი მენეჯერია და დარწმუნებული ვარ, რომ კლუბის საქმეებს ბრწყინვალედ წარუძღვება. დროის დიდ ნაწილს ამერიკაში ვატარებ და გამომდინარე აქედან, პრეზიდენტის პოსტზე უარი განვაცხადე. მაქსიმალურად ვეცდები, რომ კლუბის საქმეებში ბოლომდე ჩართული ვიყო და ვნახოთ, რამდენად გამომივა. როგორც არ უნდა იყოს, პალოტაში 100%-ით დარწმუნებული ვარ და ვიცი, რომ თავის საქმეს შესანიშნავად გაუძღვება".*



ხელბურთი

# ეს საქართველოს გამარჯვებაა



მარცხნიდან: ირაკლი კეკელიძე, სერგო დათუკაშვილი, შოთა თევზაძე, გიორგი გოდაბრელიძე და არჩილ ფრანგიშვილი

ევროპის პირველ საუნივერსიტეტო თამაშებში, რომელსაც ესპანურმა კორდობამ უმასპინძლა, შესანიშნავად იასპარეზეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთელებმა, რომლებმაც, როგორც გაუწყეთ, ზედიზედ დაამარცხეს პორტუგალიის (34:33), პარიზის (38:21), ლიტვის (36:22) უნივერსიტეტების გუნდები, ესპანური „მალაგა“ (39:36), ჰოლანდიის „ნაიმეგენი“ და ფინალში გავიდნენ, იქ კი იოლად აჯობეს ხორვატიის „ოსიეკს“ (37:24) და ოქროს მედლები მოიპოვეს.

ესპანეთიდან დაბრუნებულ ჩემპიონებს (**ირაკლი ჩიქოვანი, შოთა თევზაძე, აკაკი ტალახაძე, უჩა მაისურაძე, ვლადიმერ რუსია, გია ტორონჯაძე, რევაზ ჭანტურია, გიორგი გვაზავა, სერგო დათუკაშვილი, რატი მსხვილიძე, ილია გოგალაძე, ლევან ბერძენიშვილი, რობერტ ბეჟანიშვილი, უჩა გამზარდია,** მთავარი მწვრთნელი **ირაკლი კეკელიძე,** მწვრთნელი **ბექარ ორჯონიკიძე**) გუშინ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. საუნივერსიტეტო თამაშების გმირებს მიესალმნენ სტუ-ს რექტორი **არჩილ ფრანგიშვილი,** საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **გიორგი გოდაბრელიძე,** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმთა მინისტრის მოადგილე **გია გალდავა.**

**გიორგი გოდაბრელიძე:** - თამაშებზე ჩვენი გუნდის ასეთ წარმატებას არავინ მოელოდა. მართალი გითხრათ, არც ჩვენ ვფიქრობდით ჩემპიონობაზე, თუმცა ჯგუფიდან გასვლა კი გვქონდა დაგეგმილი. მას შემდეგ, რაც პირველ ორ ტურში, ფაქტობრივად, ფავორიტებს ვძლიეთ, ამბიციები გაგვეზარდა. მხოლოდ სტარტზე გაგვიჭირდა - პორტუგალიის მინიოს უნივერსიტეტის ხელბურთელებს ერთი ბურთის სხვაობით ვძლიეთ. შემდეგ ამ გუნდმა ყველა შეხვედრა მოიგო და მესამე ადგილზე გავიდა. ფინალისთვის ბიჭები ისე იყვნენ შემართული, მათი შეჩერება არავის შეეძლო. - გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ხორვატებს 13 ბურთით ვაჯობეთ და ჩემპიონობა მოვიპოვეთ. ამ წარმატებას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს: ბიჭებმა იმედი ჩაგვისახეს, ქართულ სპორტს ხელბურთი დაუბრუნეს. მოგეხსენებათ, 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება, რომლის პროგრამაში ხელბურთიც შედის. უკვე ჩამოვაყალიბეთ ნორჩ ხელბურთელთა გუნდები და ტალანტების გამოსავლენად შიდა შეჯიბრებებს ვმართავთ. ევროპის საუნივერსიტეტო თამაშებში გამარჯვება იმ მოზარდებისთვისაც მაგალითი და სტიმული იქნება. ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთელთა გუნდის ბაზაზე დაკომპლექტდება ეროვნული ნაკრები, რომელიც სხვა შეჯიბრებებთან ერთად გაისად ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდშიც ჩაებმება. როგორც ამჯერად, იმ მნიშვნელოვან ტურნირშიც სტუ-ს ხელმძღვანელობის თანადგომის იმედი გვაქვს.

ორიოდე კვირის წინათ ბათუმმა ქვიშის ხელბურთში ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატს სანაქებოდ უმასპინძლა. იმდენად მოიხიბლნენ სტუმრები, რომ უცხოელმა კოლეგებმა გვთხოვეს, შავი ზღვის ღია ჩემპიონატი დავაფუძნოთ და საასპარეზოდ აუცილებლად გვეწვევიან. ამ საგულისხმო პროექტზეც აუცილებლად ვიმუშავებთ.

**არჩილ ფრანგიშვილი:** - უპირველესად, ყველას მინდა მივულოცო ჩემპიონობა - ფედერაციას, მწვრთნელებს, ხელბურთელებს, ჩვენს უნივერსიტეტს. ეს საქართველოს გამარჯვებაა. ევროპული წარმატება ყოფილი გეპეელების იმ თაობის დამსახურებაცაა, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში ხელბურთის განვითარების მდიდარ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი - ბატონ ჯანო ბაგრატიონსა და მის თანაგუნდელებს ვგულისხმობ: შეუდარებლად ძლიერები იყვნენ, მათს ფესვებზე ღირსეული ცვლაც ამოიზარდა. მიხარია, რომ გამარჯვებებს არ უჩანს ბოლო. ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთელ ვაჟთა გუნდი ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში საქართველოს 19-გზის ჩემპიონია, 12-ჯერ ქვეყნის თასს ფლობდა, 1992 წლიდან უნივერსიადების უცვლელი გამარჯვებულია. ევროპის საუნივერსიტეტო თამაშების ჩემპიონობა კი ჩვენი წარმატებების გვირგვინია. თუმცა მიღწეულს არ დავჯერდებით და მომავალშიც გავახარებთ სპორტის ქომაგებს.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ლონდონი 2012. მსაჯი




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთადერთი ოლიმპიადაზე

## მაჩაიძე: თუ ძლიერი ხარ, ვერავინ დაგჩაგრავს

**ედიშერ მაჩაიძე ერთადერთი ქართველი მსაჯია, რომელიც ლონდონის ოლიმპიადაზე იმსაჯებს - ის მოჭიდავეთა ტურნირს მოემსახურება. ყოველი თამაშების წინ დიდი ინტერესით ვითვლით ლიცენზიებს, ოლიმპიელთა რაოდენობას და სულ ვცდილობთ, წინაზე უკეთესი მაჩვენებელი გვქონდეს, რასაც ვაღწევთ კიდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, მსაჯთა კორპუსი გეომეტრიულ რეგრესს განიცდის - ათენში თუ 4 მსაჯი გვყავდა, პეკინში მათი რაოდენობა განახევრდა, ახლა კი ერთზე ჩამოვედით... გულს იმით თუ დავიმშვიდებთ, რომ მაჩაიძე ლონდონში რიგითი არბიტრი არ იქნება - ლეიბის ხელმძღვანელად 12 რჩეულთა შორისაა. ჩვენდა სამწუხაროდ, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია უხარისხო მსაჯობით გამოირჩევა და ამდენად, მაჩაიძესთან სასაუბროდ უამრავი თემა გამოიკვეთა, რაზეც ჩვენმა რესპონდენტმა საინტერესოდ ილაპარაკა.**

**- ბუნებრივია შეკითხვა, რა კრიტერიუმებით არჩევენ მსაჯებს ოლიმპიადისთვის, რა გზა უნდა გაირონ მათ თამაშებზე მოსახვედრად?**

- შერჩევისას გადამწყვეტია ოთხწლიანი ოლიმპიური ციკლის ბოლო ორი სეზონის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები. სწორედ აქ ყალიბდება კანდიდატთა ძირითადი ბირთვი, დაახლოებით 70-75 მსაჯი, თუმცა შარშან 67 ვიყავით. როგორც წესი, ეს რიცხვი ოლიმპიური წლის ევროპის ჩემპიონატზე 60-მდე დადის. თან წლეულს იმ ტურნირებს 3 სალიცენზიო შეჯიბრებაც დაემატა, რომელთაგანაც 1-ში უნდა მიგეღო მონაწილეობა, მაგრამ მე გუნდის ინტერესებისთვის მეტში გამოვედი. ცხადია, ეს ზედმეტი რისკი იყო, რადგან როცა მოხვედრილი ხარ ოლიმპიადაზე, არ უნდა გარისკო, თორემ შეიძლება, რაღაც შარში გაეხვე და დაკარგო ადგილი, რაც რამდენიმე მსაჯს დაემართა კიდეც. მაგალითად, ჩემს მეგობარს, ძალიან კარგ იტალიელ მსაჯ ქალბატონ ედიტა დოჩის, რომლის მეუღლე იტალიური ფედერაცის ვიცე-პრეზიდენტი და ჩემი ძალიან ახლობელია - ის სიიდან ბოლო სალიცენზიოზე ამოვარდა ჰელსინკში. ფინეთშივე დაკარგეს ადგილი უკრაინელმა კოლენკოვმა, რომელმაც წინა თამაშებზეც იმსაჯა და კიდევ ორმა ინსტრუქტორმა, რომლებიც ლონდონში კი იმსაჯებენ, მაგრამ ჩამოაქვეითეს - მხოლოდ რიგითი არბიტრები თუ იქნებიან, ლეიბის ხელმძღვანელები კი - ვერანაირად. საბოლოოდ 57 დავრჩით. ოლიმპიადაზე ოთხი ლეიბი იქნება და მე იმ 12 კაცში ვარ, რომლებიც ერთ-ერთ ლეიბს უხელმძღვანელებენ.

**- ფინეთის ტურნირმა რატომ შეიწირა ამდენი მსაჯ-ინსტრუქტორი, ნუთუ მხოლოდ ისაა მიზეზი, რომ ბოლო სალიცენზიო შეჯიბრება იყო? ან არბიტრები რატომ მიდიან ასეთ რისკზე?**

- ალბათ, მართლაც ესაა მიზეზი - ცოტა დაინტერესება, იქ ცალკეული ქვეყნების სურვილი, აილონ ლიცენზია... თუმცა ძლიერი თუ ხარ, ვერავინ დაგჩაგრავს. დაჩაგვრა მაშინ ხდება, როცა ძალთა ბალანსი 50/50-ზეა. ბუნებრივია, მსაჯთა სიმპათია ყოველთვისაა და მეტსაც გეტყვით - საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი რაფაელ მარტინეტი არასოდეს მალავს სიმპათიებს თანამემამულე შვეიცარიელებისადმი, ღიად ქომაგობს მათ, მაგრამ როცა მეტოქეს აშკარად აჯობებ, ვერავინ წაგართმევს მოგებას. თუ ძალები თანაბარია, მაშინ მსაჯსაც შეუძლია, თავისი სურვილისამებრ მოიქცეს. ცხადია, არბიტრთა ისეთი კატეგორიაც არსებობს, რომელსაც სინდის-ნამუსი არ აწუხებს და ჰგონია, რადგან მსაჯია, ყველაფრის უფლება აქვს, მაგრამ მასეთები 2-3 წელიწადი კი ასრულებენ ვილაცის დაკვეთას და მერე უკვალოდ ქრებიან.

» მე-11 გვერდზე

მემორანდუმი

# სპორტის დედოფალს მფარველი გამოუჩნდა

ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, სპორტული ღონისძიებების, კერძოდ, მარათონების, ნახევარმარათონებისა და სხვადასხვა დისტანციაზე გარბენების დამკვიდრება საქართველოში, საზოგადოების მასობრივი ჩართვა ამ პაექრობებში - აი, მოკლე ნუსხა იმ ღონისძიებებისა, რომლებსაც ჰაიდელბერგცემენტისა და საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ითვალისწინებს. დოკუმენტს გუშინ სასტუმრო „ჰოლიდეი ინ თბილისში“ ხელი მოაწერეს „ჰაიდელბერგცემენტის“ გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორმა **აკაკი ჩხაიძემ** და მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსი ახვლედიანმა.**

**აკაკი ჩხაიძე**: ჩვენი კომპანია თავს ვალდებულად მიიჩნევს, ხელი შეუწყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდას და მის განხორციელებას. ეს კომპანიის სტრატეგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მძლეოსნობის ფედერაციასთან გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით ისეთ ღონისძიებებს ჩავატარებთ, რომლებშიც ასაკის გათვალისწინებით საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მაქსიმალურად ჩაერთვება. პირველ ასპარეზობას, ფედერაციასთან შეთანხმებით, სექტემბრის მიწურულს ჩავატარებთ - ნახევარმარათონში საერთაშორისო შეჯიბრებით საშვილიშვილო ტრადიციას ჩავუყრით საფუძველს. ყოველი ღონისძიება მიმართული იქნება როგორც მძლეოსნობის, ასევე, ზოგადად საქართველოში სპორტის გასავითარებლად. მემორანდუმის ძირითადი არსიც ეს არის.

**ალექსი ახვლედიანი:** - ჰაიდელბერგცემენტი მთელ მსოფლიოში სამშენებლო მასალების მწარმოებელი ერთ-ერთი უდიდესი კომპანიაა 2500 საწარმოთი. ამდენად, მასთან




ალექსი ახვლედიანი (მარცხნივ) და აკაკი ჩხაიძე

ხელშეკრულების დადება ჩვენთვის დიდი პატივია. მადლობა კომპანიის მესვეურებს თანადგომისთვის. მემორანდუმი სამი წლით გავაფორმეთ. პირველი შეჯიბრება, როგორც ბატონმა აკაკიმ ბრძანა, სექტემბრის მიწურულს თბილისის ზღვაზე გაიმართება. მომავალი წლიდან ეს ტურნირი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში შევა. ოფიციალურ ასპარეზობებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მასობრივ ღონისძიებებს ფართო მასებისთვის - ყველა ადამიანს ექნება საშუალება, უქმე დღეები ჯანსაღ გარემოში სასიამოვნოდ გაატაროს.

**ვაჟა დანელია**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ჭადრაკი

# ჩემპიონი ლიდერს გაუთანაბრდა

სომხურ ჯერმუკში გუშინ მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის გათამაშების მე-4 ეტაპის მე-8 ტურის პარტიები გაიმართა. საქართველოს ნაკრების წევრი **ნინო ხურციძე** რუს ნადეჟდა კოსინცევას 71-ე დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ ერთპიროვნული ლიდერი ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი) და ბათჰუიაგ მონგონთუული (მონღოლეთი), ელინა დანიელიანი (სომხეთი) და ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი). ჩინელმა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ჰოუ იფანმა თანამემამულე ლუფეი რუანი მე-40 სვლაზე დაამარცხა, 5,5 ქულას მოუყარა თავი და ვენძიუნთან ერთად პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებს. საგრძნობლად გამოასწორა სატურნირო მდგომარეობა კატერინა ლაგნომ (უკრაინა), რომელმაც შავი ფიგურებით ჰამფი კონერუს (ინდოეთი) სძლია, ჟაო სიუმ (ჩინეთი) მასპინძელ ლილით მკრტიჩიანს აჯობა.

რვა ტურის შემდეგ: ვენძიუნი, ჰოუ იფანი-5.5-5.5, ლაგნო, ჟაო სიუ, რუანი-4.5-4.5, კოსინცევა, დანიელიანი, კონერუ-4-4, მკრტიჩიანი-3.5, კოვალევსკაია, მონგონთუული-3-3, ხურციძე-2 ქულა.

დღეს მე-9 ტურში ითამაშებენ: ჟაო სიუ-ვენძიუნი, კოვალევსკაია-ჰოუ იფანი, კოსინცევა-დანიელიანი, ლაგნო-ხურციძე, მონგონთუული-კონერუ, მკრტიჩიანი-ვენძიუნი.

**ვაჟა დანელია**

წყალხტომა



# სიჭინავას ოქრო

რომში გრძელდება ახალგაზრდა წყალმხტომელთა საერთაშორისო ტურნირი. 16-წლამდელებში 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში **თამარ სიჭინავამ** 310,85 ქულით ოქროს მედალი მოიპოვა. გამარჯვებულს 20,20 ქულით ჩამორჩა ნორვეგიელი ანა ვილდე თექსენი, რომელსაც ვერცხლი ერგო, 284 ქულით მესამე იყო იტალიელი ფრანჩესკა ზაგალდინი.

**ვაჟა დანელია**

« მე-10 გვერდიდან

თუმცა ვართ კატეგორია, დაახლოებით 15-20 კაცი, რომლებიც საერთაშორისო ფედერაციის - FILA-ს სინდის-ნამუსი ვართ. თუ რამეა, FILA მუდამ ჩვენ გვიყენებს მაგალითად, აი, როგორი მსაჯები მყავსო. ჩვენს გადაწყვეტილებებს არ ასაჩივრებენ, რადგან გვენდობიან. მათ შორის - იმ თანაბრობის დროსაც, როცა ჩვენც საკუთარი შეხედულებით ვმოქმედებთ, მაგრამ იციან, ობიექტურ გადაწყვეტილებას მივიღებთ.

**- ძალიან კარგი, მაგრამ გავიხსენოთ, როგორ წააგებინეს მანუჩარ ცხადაიას 2009 წელს მსოფლიოს პირველობის ფინალი აზერბაიჯანელ ფარიდ მანსუროვთან, ან - დავით მარსაგიშვილს ევროპის შარშანდელი ფინალი რუს ანზორ ურიშევთან. არადა, მაშინ ყველაფრიდან ეტყობოდა, რომ მსაჯი ჩემპიონად გამოსაცხადებლად ჩვენებურს ამზადებდა, მაგრამ ლეიბის ხელმძღვანელმა სხვანაირი გადაწყვეტილება მიიღო. ამის შემდეგ მსაჯის გაკვირვებული სახეც კარგად ჩანდა.**

- სწორედ ამიტომ მაგ შეხვედრის მსაჯები - ვენესუელელი გონსალესი, რომელიც ცხადაიასთან იყო, და გერმანელი ებერჰარტი, ვინც მარსაგიშვილის ფინალი იმსაჯა, აღარ არიან ოლიმპიურ კატეგორიაში და არც ლონდონში იქნებიან. არადა, იმ დროს ორივე ვარსკლავი იყო და ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრებიც იმსაჯეს. ცხადია, მათ მაშინ ბინძური შეკვეთა შეასრულეს, რასაც მოგვიანებით სხვა შეცდომებიც დაემატა და დღეს ისინი ოლიმპიადაზე არ არიან. ებერჰარტი ძალიან კარგი არბიტრია, ერთ-ერთი ავტორიტეტული, რომელმაც წინა წელს „ოქროს სასტვენი" მიიღო. არ შეიძლებოდა, მას ასეთი შეცდომა მოსვლოდა, მაგრამ ალბათ, ესეც ვიღაცის გავლენით დაუშვა. მათ კატეგორია ჩამოაკლდათ - I-მდე ჩამოაქვეითეს და არათუ ოლიმპიადას, უკვე ევროპა-მსოფლიოსაც ვერ იმსაჯებენ. ახლა მათ თავიდან უნდა გაიარონ იგივე გზა და ხელახლა მოიპოვონ ოლიმპიური კატეგორია.

**- მაშინ რატომაა გარიგებები ასეთი ხშირი, რაზეც ჩვენი მწვრთნელები ლამის მუდმივად ლაპარაკობენ?**

- ძლიერ ფალავანთან რომ ვერაფერს ჩაანყობენ, ეს უკვე გითხარით, მაგრამ გაიხსენებთ ისეთ შემთხვევას, როცა მოიგეს და თქვეს, რომ მსაჯები მიეხმარნენ? ერთ მაგალითსაც თუ გამახსენებთ, ბოდიშს მოვუხდი ყველას. სამაგიეროდ, ყველა წაგებაზე მსაჯები არიან დამნაშავენი. მე სულ ვთავაზობდი მათ და ახლაც ვთავაზობ - ნებისმიერი ტურნირის ვიდეოჩანაწერებს გადავხედოთ და ვნახოთ, რამდენჯერ მიეხმარნენ არბიტრები ჩვენს ფალავნებს, რამდენჯერ შეიძლებოდა ქულის მეტოქისთვის მიცემა და ასე შემდეგ... 10 შემთხვევიდან თუ 9-ჯერ ჩვენებს მიეხმარნენ, მაგრამ მაინც ის ერთი შემთხვევა ხდება სალაპარაკო, რა გაეწყობა... მე მუდამ შეჯიბრების კომპლექსურად ანუ მთლიანობაში განხილვის მომხრე ვიყავი და არა ცალკეული შეხვედრებისა.

**- ამბობენ, რომ გარიგებები მსაჯებისა და FILA-ს გვერდის ავლითაც ხდება, საკუთრივ გუნდებს შორის. ასეთი შემთხვევები ხშირია?**

- გუნდეებს შორის რა ხდება, ამის გაკონტროლება მართლაც ძნელია. ნაკრებების თუ ფედერაციების ხელმძღვანელობა 20-30 წელიწადია, ერთმანეთს იცნობს და ძნელია, განჭვრიტო, რას იზამენ ერთმანეთში. ამას ისიც ემატება, რომ ბოლო წლებში ჩრდილოკავკასიელები მთელ მსოფლიოს მოედვნენ ანუ სანაცნობო წრე გაფართოვდა, სპორტსმენებიც მეგობრობენ ერთმანეთში. ერთადერთი, რაც მართლაც „აქილევსის ქუსლია" FILA-ში, ესაა კუბელთა პრობლემა. ისინი მართლაც ძლიერები არიან, მაგრამ დიდი ეჭვია, რომ უმეტესობა ყიდის შეხვედრებს. ყოველ შემთხვევაში, როცა ყველამ იცის, რომ მათ უნდა მოიგონ, იქ აგებენ. არადა, სადაც მოინდომებენ შედეგს, იქ დადებენ - ოლიმპიადა იქნება თუ მსოფლიოს პირველობა, თუ მიიჩნიეს, რომ სჭირდებათ მოგება, იგებენ კიდეც. შეიძლება, უბრალოდ, გარიგებას ვერ უმტკიცებ მათ. ვერ გეტყვი, რატომ ყიდიან შეხვედრებს. შეიძლება იმიტომ, რომ კუბაში ბევრს არ უხდიან, ამ დროს კი იაფი ქვეყანაა, ცოტა დოლარიც კი დიდ ფულად ითვლება.

**- ძიუდოში იგეგმება ეგრეთ წოდებულ ელიტურ მსაჯთა გამოყოფა საერთო რეიტინგიდან, რომლებიც უმაღლესი რანგის ტურნირებზე ხელფასის სახით სოლიდურ ფულად ანაზღაურებას მიიღებენ. FILA-ც ხომ არ აპირებს ანალოგიურს? ეს მსაჯთა გარიგებებსაც შეამცირებდა, რადგან ხელფასს მოუფრთხილდებოდნენ.**

- ასე კონკრეტულად ეს საკითხი არ დგას, მაგრამ ეგ აზრი ჩვენთანაც მუსირებს. მაგალითად, მე მსოფლიოზე და ევროპაზე საქართველოს ფედერაცია მაფინანსებს, ეს კი რაღაც დოზით ნეიტრალურობას გამორიცხავს. არადა, ეს ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. არ იქნები ობიექტური და შენი ფედერაცია არ დაგაფინანსებს მომდევნო შეჯიბრებაზე. აი, სწორედ ამას ვეუბნებით FILA-ს და არის იდეა, ეს 60-70 არბიტრი 40-45-მდე შეზღუდონ და რაღაც მაგვარი ფორმატით აუნაზღაურონ, მაგრამ ეგ ოლიმპიადის მერე თუ იქნება.

**- წესებში ხომ არ იგეგმება ცვლილებები?**

- ბოლო ორი წელიწადია, FILA გამოსავალს ლევანი ეძებდა - წესებიც დაეხვეწა და ჭიდაობაც სანახაობრივი გამხდარიყო. დროის შემცირებამ ილეთის გაკეთების ალბათობაც შეამცირა, რადგან მეტი ტექნიკის საჩვენებლად მეტი დრო გჭირდება, როგორც ტაქტიკისთვის. ვითომ დაილალა, ვითომ პასიურობს, ხელით იჭერს, მაგრამ ამ დროს ფალავანი ილეთს ამზადებს, მაგრამ დრო არ ჰყოფნის. რასაც ადრე 5 წუთში აკეთებდა, ახლა 2-ში უნდა ჩაატაროს. ამიტომ FILA გამოსავალს ეძებდა. ორი წლის წინ მოსკოვში გამართულ მსოფლიოს პირველობას სოკ-ის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებიც FILA-ს ხელმძღვანელებთან ერთად განიხილავდნენ, რამდენად სანახაობრივი იყო ახალი წესები, მაყურებლისთვის რამდენად მიმზიდველია და ასე შემდეგ. წესები პრაქტიკულად საბოლოოდ ლონდონში დაიხვეწა ტესტებზე, სადაც ყველა ვმონაწილეობდით. უკმაყოფილო არავინ დარჩენილა.

**- კვალიფიკაციის მიხედვით რამდენ ჯგუფად იყოფიან მსაჯები და მსურველებმა ოლიმპიური კატეგორიის მოსაპოვებლად რა გზა უნდა გაიარონ?**

- ოლიმპიადიდან ერთ თვეში ტაილანდში მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობაა. სადაც I კატეგორიის არბიტრებს შეუძლიათ კვალიფიკაციის ამაღლება. წლის განმავლობაში 3-4 ასეთი ტურნირია, სადაც მათ შანსი აქვთ.

კატეგორიებში უმაღლესია ოლიმპიური, რომელსაც რანგის მიხედვით მოსდევს I, II და III. ამჟამად საქართველოში I კატეგორიის 4 არბიტრი გვყავს - თემურ ყაზარაშვილი, მალხაზ ჯორბენაძე, ზაზა ჯიბლაძე და გელა ჯანელიძე. II კატეგორიის იყო ვაჟა გოგიაშვილი, რომელიც გარდაიცვალა, III-ში კი გია კოტიშაძე და კიდევ ორი ახალგაზრდა გვყავს, რომლებმაც ახლახან მიიღეს ეს კატეგორია, და ჯერ ოფიციალურად არც დამტკიცებულა. ამდენად, რაოდენობას თანდათან ვზრდით და არც ხარისხი დაიწუნება - I კატეგორიის 4 მსაჯი ცოტა ნამდვილად არაა. ამათგან ყველას შეუძლია ოლიმპიურის რანგში ასვლა, თუმცა ეს ლიმიტირებულია - ქვეყანას 3-ზე მეტს არ აძლევენ ამ კატეგორიას და ვერც ოლიმპიადაზე იმსაჯებს ქვეყნიდან სამზე მეტი. მსოფლიოზე რამდენი ლეიბიცაა, იმდენი არბიტრის წაყვანა შეგიძლია, თუმცა იქაც ძირითადად სამი ხალიჩაა.

**- დაბოლოს, თქვენი პროგნოზი ლონდონის ოლიმპიადასთან დაკავშირებით...**

- ოლიმპიადა ისეთი რამეა, ბევრი გვახსოვს მსოფლიოს 4-5-გზის ჩემპიონები, რომლებიც 2-3 ოლიმპიადაზე გამოსულან და მედალიც ვერ აუღიათ, ან - მაქსიმუმ ბრინჯაო. ეს არაორდინალური ღონისძიებაა, რომელიც არამარტო შეჯიბრებაა, არამედ - დიდი ემოციაცაა. ამიტომ შეიძლება, ვისგანაც მედალს ველოდებით, იმან ვერაფერი იხეიროს და სრულიად მოულოდნელმა წარმომადგენელმა მოიპოვოს. ჩვენ ნაკრებებზე ლოგიკურად რომ ვთქვათ, ორივე გუნდი იმდენად ძლიერია, რომ მედლები უნდა მოიპოვონ. ჩემი აზრით, შედარებით უფრო ძლიერი „თავისუფალთა" ნაკრებია, სადაც ახალგაზრდები არიან და ოლიმპიადის დატვირთვამ თუ არ დააბნია... მათ წინ კიდევ ელოდებათ ანალოგიური თამაშები, რადგან ასაკი ხელს უწყობთ. ოღონდ წარმატებისთვის აუცილებელია, რომ თავად მოჭიდავეები ახალი ტექნიკური მარაგით ჩავიდნენ ლონდონში, თორემ რასაც აქამდე აკეთებდნენ, ეს უკვე ყველამ იცის. ბერძნულ-რომაულში უფრო დალვინებული ფალავნებია, საჩემპიონო და საპრიზიორო ხალხი კი ორივეს ჰყავს. თუმცა აქ ბევრი რამეა დამოკიდებული წილისყრაზეც და სხვაზეც. აქვე ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ გია ნაცვლიშვილზეც უნდა ვთქვა, რომელმაც ახლო საქმიანი ურთიერთობა დაამყარა მარტინეტისთან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფედერაციის პრეზიდენტის გარდა საერთაშორისო ფედერაციასთან სეოკ-ის პრეზიდენტსაც ასე ახლო ურთიერთობა აქვს.

**ირაკლი თავაძე**

● ლიცენზიატი

# მოთმინებით ლონდონამდე



## ნუგზარ (ბაჩო) ტატალაშვილი

(ძიუდო, 73 კგ)

**დაიბადა:** 1990 წლის 20 მარტს. გორში

დიდებში - გუნდურ ჩათვლაში ევროპის ჩემპიონი (2012) და მესამე პრიზიორი (2011), თბილისის მსოფლიო თასის (2012) გამარჯვებული, მადრიდის მსოფლიო თასის მესამე პრიზიორი (2010), ახალგაზრდებში - ევროპის მესამე პრიზიორი (2009), თურქეთის და უნგრეთის ევროპის თასების გამარჯვებული.

**მწვრთნელები:** ნიკო ბიბილაშვილი, ანზორ თენაძე

**ჰობი:** სპორტული ავტომანქანები

ოლიმპიადის დებიუტანტი

მეექვსე წელიწადია, რაც 22 წლის **ნუგზარ (ბაჩო) ტატალაშვილი** საქართველოში ცხოვრობს და გორში ვარჯიშობს. ადრე მისი ოჯახი ჩელიაბინსკში იყო და ტატამთან მისი ნაცნობობა სწორედ რუსეთის ამ ქალაქში დაიწყო. მშობლიურ გორში საცხოვრებლად დაბრუნებულმა **გურამ პაპიტაშვილის** სახელობის დარბაზს მიაშურა, სადაც მისი დაოსტატება **ანზორ თენაძემ და ნიკო ბიბილაშვილმა** ითავეს. „ჩვენთან მოსვლისას ბაჩოს საჭიდაო არსენალში ფანდების სიმწირე შევნიშნეთ, თუმცა შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობა თავიდანვე არ აკლდა. ზუსტად ამ ელემენტებზე დაყრდნობით შევუდექით მასთან მუშაობას", - იხსენებს ნიკო ბიბილაშვილი. მაშინ, ალბათ ოცნებაც კი გაუჭირდებოდათ მწვრთნელებს, რომ ბაჩო ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებდა. 16 წლის ჭაბუკისთვის უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევის პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვნად მოჩანს, ამასთან გორის ძიუდოს სკოლას კარგა ხანს ძლიერი ფალავნების გაზრდის ტრადიციაც აღარ გააჩნდა. ბაჩო ტატალაშვილი იყო პირველი, რომელიც ნაკრებში გორის განახლებული ძიუდოს სკოლიდან თავის წონით კატეგორიაში პირველ ნომრად დააყენეს.

იქამდე ბაჩომ ახალგაზრდულ პირველობებზე ისახელა თავი. 2009 წელს ზაფხულში (ივლისი, აგვისტო) უნგრეთისა და თურქეთის ევროპის თასებზე ზედიზედ მოიპოვა გამარჯვება, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე კი კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ასვლა იკმარა. სეზონის მიწურულს ტატალაშვილი საქართველოს ჩემპიონატზე დიდებში ასევე ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა. მაშინ სამივე საპრიზო ადგილზე თვითონ და მისი თანადარბაზელები (ჩემპიონი **დილებაშვილი** გახდა, მეორე იყო **ხმიადაშვილი**) გავიდნენ. ნაკრების იმდროინდელმა თავკაცმა **ამირან ტოტიკაშვილმა** არჩევანისთვის სამივე გამოცადა ჯერ ჩვენს დედაქალაქში და შემდეგ უცხოეთის არენებზე. თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ბაჩო გორში დაბადებულ **იოსებ ფალელაშვილთან** (ისრაელი) დამარცხდა, რომელთანაც მომდევნო წელიწადს პარიზში მიალწია რევანშს. თუმცა პარიზშივე 2010 და 2011 წლებში მის რისხვად იქცა კორეელი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **კი ჩუნ ვანგი.** ტიტულოვანმა აზიელმა 2010 წელს ეს ტურნირი რომ მოიგო, პირველ წრეში ზუსტად ტატალაშვილი დაამარცხა, მაგრამ საგულისხმოა, რომ მხოლოდ მას სძლია გაფრთხილებებით, სხვა დანარჩენი ოთხი მოწინააღმდეგე კორეელმა წმინდა გამარჯვებებით ჩამოიცილა გზიდან. მომდევნო წელს ვანგი პარიზში, ამჯერად მეოთხედფინალში გადაეყარა ქართველს და ისევ მოუგო. ასე თუ ისე, ესოდენ ტიტულოვან ფალავანთან წაგება ახალბედა ძიუდოისტს ნაკრების მწვრთნელებმა ტრაგედიად არ შეუფასეს. მით უფრო, რომ უცხოურ ასპარეზზე ბაჩომ თავის წონაში მაინც სხვებზე უკეთ წარმოაჩინა თავი და 73 კგ-ში ლიდერობა ანდეს. დიდებში ბაჩოს პირველი მნიშვნელოვანი წარმატება მადრიდის მსოფლიო თასზე მოპოვებული ბრინჯაოს მედალია.

„მჯერა, ეს პირველი საფეხურია უკეთეს მიღწევებამდე. დიდი გამარჯვებები ყველას უნდა, მაგრამ საამისოდ მოთმინების უნარი უნდა ჰქონდეს სპორტსმენს. ბევრი შრომა მმართებს და რწმენა იმისა, რომ მიზნის მიღწევა შესაძლებელია! შთამბეჭდავ შედეგს ხომ უმალ ვერავინ იმკის", - გვითხრა მადრიდიდან დაბრუნებულმა ტატალაშვილმა.

მოთმინების და ამასთან ძლიერი ფიზიკური ვარჯიშების ატანის უნარი რომ მართლაც ჰქონდა, შარშანაც გამოჩნდა. საქართველოს ნაკრების ავსტრიელი თავკაცის **პეტერ ზაიზენბახერის** უმკაცრესი რეჟიმი და ვარჯიშები ნაკრების წევრთა გარკვეულმა ნაწილმა ვერ აიტანა. ზოგმა ტრავმა მიიღო და ზოგიც ფიზიკურად „გამოიფიტა". ჩვენი წერილის გმირს კი ეს პრობლემა არ შეხებია. სულ შეკრებებზე მყოფი ტატალაშვილი გორში სანახავადაც სანატრელი გაუხდათ. მახსოვს, გურამ პაპიტაშვილის დარბაზში იშვიათი სტუმრობისას როგორ შემოეხვეოდნენ თანადარბაზელები და უამრავ კითხვას დააყრიდნენ ხოლმე მონატრებულ თანაგუნდელს.

მიმდინარე სეზონი თბილისის მსოფლიო თასის მოგებით დაიწყო. „თბილისის მსოფლიო თასის მოგება ჩემი წლევანდელი მიზნებიდან პირველი იყო, რომელსაც მივაღწიე. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი მოვიგო. რომელიც ჩემი ბავშვობის ქალაქში, ჩელიაბინსკში ტარდება. უპირველესი მიზანი კი რასაკვირველია ოლიმპიური თამაშები და იქ წარმატებული ასპარეზობაა", - გვითხრა ტატალაშვილმა თბილისი ტურნირის მერე. ამ მოგებით და შემდეგ ობერვარტის (ავსტრია), დიუსელდორფის (გერმანია) ტურნირებზე ჩამთვლელი ქულების მოპოვებით მან ოლიმპიურ რეიტინგში საჭირო ქულები დააგროვა. ევროპის ჩემპიონატზე პირად პირველობაშიც არ უასპარეზია ურიგოდ, მართალია გუნდურში, მაგრამ ოქროს მედლის გარეშე ხომ მაინც არ დაუტოვებია დარბაზი, სადაც ძიუდოში პირველი ნაბიჯები გადადგა. წლეულს მისი მესამე და უმთავრესი მიზანიც, ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობისა შესრულებულია, თუმცა თავად მხოლოდ ამით დაკმაყოფილებას არ ფიქრობს. „მონდომება არ მაკლია და კარგ სპორტულ ფორმაშიც ვარ. თავს არ დავზოგავ იმისათვის, რომ ოლიმპიადიდან მშობლიურ საქართველოს მედლით დავუბრუნდე".

ლონდონში მას საკმაოდ ძლიერი კონკურენტები ეყოლება - კორეელი ვანგი, იაპონელი **ნაკაია**, ფრანგი **ლეგრანი**, რუსი **ისაევი** და უკრაინელი **სოროკა**.

**ვასილ ბალახაძე**

*დავით ასპანიძის ფოტო*

● ფოტომატიანე



საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები 1960-იან წლებში წარმატებით ასპარეზობდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში, რჩეულთა შორის რჩეულნი კი მაღალ სპორტულ მწვერვალებს იპყრობდნენ საერთაშორისო სარბიელზე. ეს მიღწევები პირდაპირ კავშირში იყო სახელოვან ფალავანთა თაობების აღმზრდელ მწვრთნელთა მაღალ პროფესიონალიზმთან. 1969 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში დიდი უპირატესობით ბრწყინვალედ მოიგო საქართველოს ნაკრებმა. სურათზე, რომელსაც დღეს გთავაზობთ, სწორედ ეს გუნდია აღბეჭდილი მწვრთნელებთან ერთად.

მარცხნიდან: პირველ რიგში - ფარვიზ გაგუა, ნოდარ მოდებაძე, როლანდ მოსეშვილი, თამაზ მიქელაძე, ალექსანდრე მენაბდე, ლევან თედიაშვილი, მარლენ ოსიყმაშვილი, ზაურ შეყრილაძე, ტარიელ ალიბეგაშვილი;

დგანან - შოთა პაპაშვილი, ნოდარ ხოხაშვილი, ილია ჩხარტიშვილი, ვასილ ილურიძე, შალვა ნოზაძე, მიხეილ თიკანაძე, გიორგი როსტიაშვილი, შოთა ლომიძე, ივანე ალიხანოვი, გივი ყვარელაშვილი.

**გურამ სალარაძე**

*მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში*

## კალათბურთი

ტრანსფერი




# კინგი: კემპმა გადაწყვიტა

## შენგელია ნაკრებს შეუერთდა

**თორნიკე შენგელიას** „ბრუკლინ ნეთსში" ჩარიცხვის შესახებ განვლილ კვირას გაცნობეთ. მისმა მენეჯერმა, **ლევან მიქელაძემ** გვითხრა, ყველაფერი გადაწყვეტილია, კონტრაქტიც გაფორმებულია, „ნეთსის" ხელმძღვანელობა უახლოეს დღეებში ოფიციალურად გამოაცხადებს შენგელიას „ბრუკლინში" ჩარიცხვის ამბავსო.

გუშინ კლუბის ვებ-საიტზე ერთ-ერთ მთავარ თემას ასეთი სათაური ჰქონდა: „თორნიკე შენგელიამ „ბრუკლინთან" კონტრაქტი გააფორმა". შემდეგ ვკითხულობთ:

„20 წლის ქართველ ფორვარდთან ხელშეკრულების გაფორმების ამბავი საზოგადოებას „ნეთსის" გენერალურმა მენეჯერმა **ბილი კინგმა** გააცნო.

*- თოკომ საზაფხულო ლიგა შთამბეჭდავად ჩაატარა, რამაც მისი გუნდში აყვანა გადაგვაწყვეტინა.*

ხელშეკრულების დეტალები არ ხმაურდება. შენგელია 2012 წლის დრაფტზე 54-ე ნომრად „ფილადელფიამ" აიყვანა, საიდანაც „ბრუკლინმა" გამოისყიდა. იგი 2011 წელს საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე გამოდიოდა (8.8 ქულა, 4.6 მოხსნა), გასული სეზონი კი ბელგიის „შარლერუაში" გაატარა, შიდა პირველობაზე საშუალოდ 18.4 წუთში 8.9 ქულასა და 5.2 მოხსნას აგროვებდა, ხოლო ევროლიგაზე 8.3 ქულასა და 4.3 მოხსნას.

თორნიკე შენგელიამ ივლისში ორლანდოს საზაფხულო ლიგაზე „ბრუკლინის" შემადგენლობაში ითამაშა. მისი მონაგარი ასეთი იყო: 21.2 წუთი, 10.2 ქულა, 3.6 მოხსნა."

ჩვენი მხრიდან შეგახსენებთ, რომ თორნიკემ „ნეთსთან" ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. იგი საქართველოს ნაკრებისთვის ამერიკაში ემზადებოდა, თუმცა გუშინწინ ევროპაში გადმოფრინდა და ეროვნულ გუნდს ავსტრიის ქალაქ შტაინბურნში შეუერთდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

თემიდა

# კუპატაძე მთა[illegible]

ქართველმა არბიტრმა **მაკა კუპატაძემ** 16-წლამდელ გოგონათა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 9 მატჩი იმსაჯა და ყველა მათგანში მთავარი მსაჯი იყო. როგორც ყველაზე გამორჩეულ არბიტრს, კუპატაძეს ფინალური შეხვედრის განსჯის პატივი ერგო, რომელსაც მან თავი კარგად გაართვა. აი, რა უთხრა ევროპირველობიდან დაბრუნებულმა მაკა კუპატაძემ კალათბურთის ფედერაციის საიტის ჟურნალისტს:

- მთავარი მსაჯი აქამდეც ვყოფილვარ, მაგრამ პირველად მოხდა, რომ ტურნირის განმავლობაში ყველა შეხვედრაზე პირველი არბიტრი ვიყავი.

ფინალურ მატჩს რომ იმსაჯებდა, თამაშის წინა დღით შეიტყო.

- გადაწყვეტილება ინსტრუქტორებმა და კომისრებმა მიიღეს. ფინალში დანიშვნას ყველა მსაჯი ელის. ეს არის იმ სამუშაოს შეჯამება, რომელიც ჩემპიონატის განმავლობაში გასწიე. თუ ფინალზე დაგნიშნავენ, გაღიარებენ, რომ საუკეთესოდ მსაჯობდი. ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარ. აქამდეც მიმსაჯია ფინალში, მაგრამ დამხმარე ვიყავი. სხვათა შორის, დღემდე ფინალში სამივე ქალი არბიტრი არასდროს ყოფილა. ორგანიზატორები თავიდან ცოტა ორჭოფობდნენ და ამბობდნენ, ვრისკავთო, მაგრამ ფინალის შემდეგ ყველა კმაყოფილი იყო. სამივემ კარგად ვიმსაჯეთ, ისე, რომ საყვედური არავისგან მიგვიღია. სამსაჯო კორპუსის ხელმძღვანელებმა თქვეს, მომავალში, ალბათ, ხშირი იქნება პრეცედენტი, როცა მატჩებს მთლიანად ქალთა ბრიგადა მოემსახურებაო. აღსანიშნავია, რომ ტურნირზე სულ 24 მსაჯი იყო, საიდანაც 18 მამაკაცი გახლდათ.

მაკა კუპატაძე შეჯიბრების მსვლელობისას არბიტრთა რეჟიმზეც ლაპარაკობს:

- დილის საუზმის შემდეგ ერთსაათიანი თათბირები გვქონდა, სადაც წინა დღეს გამართული მატჩების განხილვა ეწყობოდა. ინსტრუქტორები ამონტაჟებდნენ კლიპებს, სადაც საკამათო ეპიზოდები და შეცდომები იყო თავმოყრილი. გვაძლევდნენ ინსტრუქციებს, კონკრეტულ სიტუაციაში როგორ უნდა მოვქცეულიყავით. კარგია, რომ სერიოზული შეცდომები, რომლებმაც მატჩზე გავლენა იქონიეს, არ მომხდარა. თუ ვინმეს აშკარა შეცდომა მოუვიდა, იხილავენ ეპიზოდს და არბიტრს გამომწვევ მიზეზებზე მიუთითებენ. ეს ხდება პრევენციის მიზნით, რომ ანალოგიურ სიტუაციაში მსაჯს შეცდომა აღარ გაეპაროს.

მაკა კუპატაძისთვის ყველაზე პრინციპული და დაძაბული არა ფინალი, არამედ მეოთხედფინალი ყოფილა.

- მეოთხედფინალში რუსეთი ჩეხეთს შეხვდა. მანამდე რუსეთის მატჩებზე არ მნიშნავდნენ, ითვალისწინებდნენ პოლიტიკურ მომენტს. შინაგანად ვღელავდი, არ მინდოდა, საბაბი მიმეცა რუსებისთვის - მსაჯი ქართველი იყო და უსამართლოდ მოგვექცაო. საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მატჩის შემდეგ თავად რუსებმაც მადლობა მითხრეს სამართლიანი მსაჯობისთვის.

საინტერესოა, კოლეგებში როგორი რეპუტაცია აქვთ ქართველებს...

- ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, რომ ფიბა-ს სამსაჯო კომიტეტმა დამაფასა. კოლეგებთან მეგობრული დამოკიდებულება მაქვს, რომლებმაც მეტსახელიც მომიგონეს: „კამიკაძე". ეს უფრო ჩემი გვარის გამო შემარქვეს, თორემ მოედანზე თავის მოკვლა ნამდვილად არ მიცდია.

შეჯიბრებიდან მოცალეობის ჟამს მსაჯები უქმად არ ყოფილან.

- ყველა ტურნირისას ეწყობა ექსკურსია მსაჯებისთვის, რომლის დროსაც ქვეყნის ღირსშესანიშნავ ადგილებს გვათვალიერებინებენ. ამჯერად უნგრეთის ღვინის ცნობილი სარდაფები მოვიარეთ, სადაც 2 საუკუნის ღვინო ინახება. საშუალება მოგვეცა, გაგვესინჯა ეს უნიკალური სასმელი. უნგრეთი სხვა მხრივაც საინტერესო ქვეყანაა.

კუპატაძე უახლოეს გეგმებზეც მსჯელობს:

- საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებს ბოსნიაში მივყვები და B დივიზიონის მატჩებს განვსჯი, რის შემდეგაც, ევროტურნირების დაწყებამდე დავისვენებ.

მაკა კუპატაძე 6 წელია, რაც საერთაშორისო კატეგორიის არბიტრია და ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა კონტინენტის 15 ასაკობრივ პირველობაზე უმსაჯია.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ამერიკელი ევროპაში



დარელ დოუკინსი და თენგიზ პაჭკორია

# ო, ჯორჯია!

კალათბურთის სტაჟიანი ქომაგებისთვის NBA-ს ვეტერანის **დარელ დოუკინსის** სახელი კარგად არის ცნობილი. ის 1970-80-იან წლებში 14 სეზონის განმავლობაში გამოდიოდა NBA-ს სხვადასხვა კლუბში. მისი მეტსახელია „შოკოლადის რისხვა". დოუკინსი რეგულარულად მონაწილეობს სხვადასხვა შოუ-წარმოდგენაში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეწევა კალათბურთის პოპულარიზაციას.

ამ დღეებში ის იმყოფებოდა ლიტვაში. ვილნიუსის ცენტრალურ, გედიმინასის გამზირზე ახალგაზრდა კალათბურთელების შეჯიბრება გაიმართა, რომელშიც NBA-ს ვეტერანმა მიიღო მონაწილეობა. მან დიდი სითბო და იუმორი გამოიჩინა ადგილობრივი საზოგადოების მიმართ.

შოუს ჩვენც ვესწრებოდით და ყურადღებით ვუყურებდით წარმოდგენას, სამ სხვადასხვა მოედანზე დოუკინსი ლიტველ ახალგაზრდებთან ერთად რა ოსტატურად ისროდა ბურთს. ერთ-ერთ მომენტში 55 წლის დარელმა 101-კილოგრამიანი ქართველი შემამჩნია, მაისურზე წარწერით „ჯორჯია სოხუმი" და შორიდან შეგვძახა – ოოო, ჯორჯია! თავიდან ვიფიქრე, საქართველო ამერიკულ შტატ ჯორჯიაში ხომ არ შეეშალა-მეთქი, მაგრამ მან თვითონ მკითხა – როგორ ხართ საქართველოშიო. ჩანს, ჩვენი ქვეყნის შესახებ საკმარისად იცოდა. მან საქართველოს წარმატება უსურვა და სამახსოვრო სურათებიც გადავიღეთ.

**თენგიზ პაჭკორია,**
*ვილნიუსიდან*
*სპეციალურად ლელოსთვის*

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები

# ნარინჯისფერი მარცხი

| 25 ივლისი | |
|---|---|
| საქართველო-ჰოლანდია | 53:76 |

10:16, 14:20, 12:22, 17:18

**საქართველო:** ბობილევი (22 წთ, 4ქ, 3მ), ისიანი (26 წთ, 4ქ, 5მ), გოგალაძე (20 წთ, 8ქ, 2პ), გუგეშაშვილი (17 წთ, 5ქ, 4მ), ცინცაძე (6 წთ), რევაზაშვილი (9 წთ, 2ქ), ზაქრაძე (27წთ, 7ქ, 2პ), პეტრიაშვილი (11 წთ, 6ქ, 2ჩ), გოგობერიშვილი (17 წთ, 3ქ, 3მ), ლომიძე (19 წთ, 6ქ), მაჭავარიანი (21 წთ, 8ქ, 7მ), მასხულია (6 წთ).

**ჰოლანდია:** ბუტერი (3ქ), დე ჰაასი (5ქ), ოვერდევესტი (15ქ), უაითბერდი (2ქ), ლიემი (2ქ), ფრანკე (14ქ), ბოეზემანი (6ქ), მორენი (20ქ, 9მ), დიიკსტრა (6ქ).

H ჯგუფი

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 2 | 1 | 1 | 131/119 | 3 |
| 2. საქართველო | 2 | 1 | 1 | 108/127 | 3 |
| 3. შვეიცარია | 1 | 1 | 0 | 66/55 | 2 |
| 4. რუმინეთი | 1 | 0 | 1 | 51/55 | 1 |

*ცხრილში გათვალისწინებული არ არის რუმინეთი-შვეიცარიის მატჩის შედეგი.*

ქართველი კადეტები B დივიზიონში მეცხრე ადგილისთვის იბრძვიან. ისინი ერთ ჯგუფში არიან შვეიცარიასთან, რუმინეთთან და ჰოლანდიასთან. რუმინელებთან ჩვენმა კადეტებმა პირველ ეტაპზე გაიმარჯვეს და ის შედეგი ამ ჯგუფშიც გადმოჰყვათ. გუშინ კი, ჰოლანდიელებს დაუპირისპირდნენ და ვერაფერი გააწყვეს - ნარინჯისფრებმა ჩვენს კადეტებს პირველივე პერიოდში 6 ქულით გაასწრეს, ხოლო დიდი შესვენების წინ სამქულიანი ტყორცნით 36:24 დაწინაურდნენ. **გია კაზანჯიანის** შეგირდებმა ვერც მესამე პერიოდში შეძლეს გარდატეხის შეტანა და საბოლოოდ 53:76 დამარცხდნენ.




სტატისტიკას თუ გადავხედავთ, მოგვიწევს აღიარება, რომ ჰოლანდიელებმა დამსახურებულად მოიგეს. მათ მოხსნებშიც გვაჯობეს (43:31), რეალიზებულ ორქულიანებშიც (19:13), სამიანებშიც (10:5) და ჩვენზე ნაკლები შეცდომაც დაუშვეს - 10:18.

დღეს საქართველოს ნაკრები დაუპირისპირდება შვეიცარიას, რომელმაც პირველ ეტაპზე ჰოლანდიას 66:55 მოუგო.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ლეგიონერები



მარჯვნივ ზურაბ ჟვანია



დავით ქუბრიაშვილი პატარა ქომაგს ავტოგრაფს აძლევს

# ჟვანიამ პარიზელთა ქვართი მოირგო

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა გუნდები დიდი ხანია ახალი სეზონისთვის სამზადისს შეუდგნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ახლახან საწვრთნელი შეხვედრის გამართვაც მოასწრო.**

ფოთის „რაინდების" აღზრდილი **ზურაბ ჟვანია**, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში ქუთაისის „აიას" ღირსებას იცავდა, ფრანგული რაგბის ერთ-ერთ გრანდში, პარიზულ „სტად ფრანსეში" წლეულს გადავიდა. თუმცა ჩვენებური ამ გუნდს მიწვეული ჯერ კიდევ შარშანდელი სეზონის დაწყებამდე ჰყავდა. მაშინ „სტად ფრანსეს" ფინანსურად გაუჭირდა, რის შედეგადაც კლუბში ახალი პრეზიდენტი მივიდა. ყოველივე ამის პარალელურად ჟვანიას საფრანგეთის საკონსულომ ვიზა არ მისცა.

ამჯერად კლუბსაც ყველაფერი წესრიგში აქვს და ქართველი შერკინების ბურჯის პარიზში გამგზავრებაც მოხერხდა. „სტად ფრანსემ", რომელმაც ბოლო ორ სეზონში პოზიციები დათმო, პირველი საწვრთნელი შეხვედრა ბასკურ „ბაიონთან" გამართა და 38:18 მოიგო. პარიზელებმა ორი ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშეს. ზურაბ ჟვანია თამაშში მეორე ტაიმში ჩაერთო.

„სტად ფრანსე" მორიგ საწვრთნელ შეხვედრას 27 ივლისს **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონთან" გამართავს.

აქტიურად ემზადება ახალი სეზონისთვის საფრანგეთის ჩემპიონი, **აქვსენტი გიორგაძისა** და **ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზი". ჩვენებურთა გუნდმა გუშინ ორმხრივი ღია შეხვედრა გამართა, რომელსაც ბევრმა გულშემატკივარმა მიადევნა თვალი.

„ტულუზი" ორ ჯგუფად გაიყო. თუმცა თუ შემადგენლობას გადავხედავთ, ძნელი სათქმელია, რომელია ძირითადი და რომელი სათადარიგო.

**წითლები: კლერი, ბეზი, ლაკომბი, ნიკოლასი, მონტე, ნიანგა, მაკა, დავიდი, ბოქსი, ანდრე, პუჟოლი.**

**თეთრები: დონგი, პუატრენო, ჯოზიონი, დუსოტუარი, ბუილუ, ბარჯესი, დუსენი, ბოთა, ბუკერუ, პუ, გიორგაძე.**

თამაში, რომელიც პაპანაქება სიცხეში მიმდინარეობდა, ერთ საათს გაგრძელდა (ორი 30-წუთიანი ტაიმი). დიდი ყურადღება ეთმობოდა სტატიკური ფაზების დამუშავებას. მიუხედავად გაუსაძლისი სიცხისა, ტემპი საკმაოდ მაღალი, იყო, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მორაგბეები ტრავმებს ერიდებოდნენ.

ქომაგები კმაყოფილნი დარჩნენ **იანიკ ნიანგას** გარღვევებითა და **ტიერი დუსოტუარის** კარგი სათამაშო ფორმით. შესანიშნავად გამოიყურებოდა **კლემან პუატრენო.** აღსანიშნავია, რომ ორმხრივ თამაშში მწვრთნელების ფუნქციას ყოფილი ტულუზელები, **ჟან-ბატისტ ელისალდი** და **ვილიამ სერვა** ასრულებდნენ.

„ტულუზის" წინასასეზონო მზადებაში არ მონაწილეობს **ჯაბა ბრეგვაძე,** რომელმაც ოპერაცია გაიკეთა და აღდგენით პროცედურებს გადის.

ტულუზელები პირველ საწვრთნელ შეხვედრას ხვალ „პერპინიანთან" გამართავენ.

გუშინწინდელი ორმხრივი საწვრთნელი თამაშის შემდეგ დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა და ლევან ჩილაჩავას „ტულონი" პატარა ქომაგებს შეხვდა. ჩვენებურთა გუნდის მორაგბეები 10-12 წლის ბავშვებს გულლიად ესაუბრებოდნენ და სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის დაბეჭდილ პლაკატებზე ავტოგრაფს უტოვებდნენ.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ღონისძიების ორგანიზებას კლუბის ხელმძღვანელობა სეზონის დაწყებამდე კიდევ სამჯერ გეგმავს.

**დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი" კი მზადებას კლუბის საწვრთნელ ბაზაზე განაგრძობს. აღსანიშნავია, რომ გასულ სეზონში ამ კლუბში სამი ქართველი ირიცხებოდა. შერკინების ბურჯმა **გიორგი ჯაშიტაშვილმა**, რომელიც ესპუართა ანუ სათადარიგო გუნდში ირჯებოდა, კლუბი დატოვა და ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „მონლუსონში" გადაბარგდა.

ჯაშიტაშვილის სანაცვლოდ „ვულკანების" ხელმძღვანელებმა შერკინების კიდევ ერთი ახალგაზრდა ბურჯი **გიორგი შარაბიძე** იხმეს, რომელიც ასევე ესპუარებში ითამაშებს.

### 27 ივლისი

**ბორდო-დაქსი, ბიარიცი-აჟენი, კასტრი-კარკასონი, ლა როშელი-გრენობლი, მონპელიე-ბაიონი, ტულონი-სტად ფრანსე, პერპინიანი-ტულუზი, ორიაკი-ალბი, პობეზიე.**

### 3 აგვისტო

**აჟენი-ბრისტოლი, ბაიონი-ბიარიცი, ტულონი-ბორდო, კასტრი-გლაზგო, კლერმონი-ლიონი, ბრივი-ტულუზი, ალბი-ბეზიე, პო-ბრედფორდი.**

### 4 აგვისტო

**გრენობლი-მეტრო რასინგი, მონ დე მარსანი-დაქსი, პუმასი-სტად ფრანსე, მაკონი-ოიონაქსი.**

### 9 აგვისტო

**ორიაკი-ოში, გრენობლი-ლიონი, ბაიონი-ალსტერი, ბრივი-ბორდო, კასტრი-ჰარლიქვინზი, ტულონი-მონ დე მარსანი, ტულუზი-მეტრო რასინგი, ბეზიე-კარკასონი.**

### 10 აგვისტო

**ბიარიცი-ნიუპორტი, კლერმონი-ოსფრიზი, პერპინიანი-მონპელიე, ალბი-ექსი, პო-კოლომიე, ნარბონი-პლანეპლი.**

### 11 აგვისტო

**დაქსი-ტარბი, ლაროშელი-მანსტერი, ოიონაქსი-ბურგუენი.**

ამბები

# სამხრეთაფრიკელს უელსში თამაში სურს

**სამხრეთაფრიკელმა მეორეხაზელმა ჯორჯ ერლმა ახლახან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა უელსურ „პლანეპლისთან", რაც შესაძლებელია, ამ ქვეყნის ნაკრებში მისი თამაშის უფლების მიღების საფუძველი გახდეს.**

იოჰანესბურგის „ლაიონზისა" და ბლუმფონტეინის „ჩიტაზის" ყოფილი მორაგბე უელსური რაგბის დიდი ქომაგია.

*„ჩემთვის დიდი პატივი იქნება, თუ უელსის ნაკრებში თამაშის საშუალება მომეცემა. ეს ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა იქნება ჩემს ცხოვრებაში. როცა „წითელი ურჩხულების" შემადგენლობაში ასპარეზობის უფლებას დამრთავენ 28 წლის ვიქნები. იმედი მაქვს, იმ დროისთვის უფრო დახვეწილი რაგბის თამაშს შევძლებ.*

*შარშან ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში უელსის ეროვნულ გუნდს ვქომაგობდი, რომელსაც ნახევარფინალში საფრანგეთი აუცილებლად უნდა დაემარცხებინა. ასევე უნდა მოეგო ავსტრალიის ნაკრებთან მატჩი ივნისის ტესტებზე. ძალიან მომწონს უელსელთა თამაშის სტილი. ისინი გაშლილად, ლამაზად ბურთაობენ და ფიზიკურად შესანიშნავად არიან მომზადებულნი.*

*მიმაჩნია, რომ უელსის ეროვნულ გუნდს მსოფლიოში საუკეთესო უკანა ხაზი ჰყავს. არანაკლებ კარგი მოთამაშეები არიან მორკინალებიც - სემ ვერბარტონი, ალან ვინ ჯოუნზი და ბრედლი დევისი. დიდი ინტერესით დაველოდები იმ დროს, როცა მათ წინააღმდეგ მომიწევს ბრძოლა „პლანეპლის" შემადგენლობაში.*

*დარწმუნებული ვარ, რომ უელსური რაგბი ახლა აღმასვლას განიცდის, რაც ძალიან მახარებს,"* - თქვა ჯორჯ ერლმა.

# ოლ ბლექსს კონრად სმიტიც გამოაკლდა

**ახალი ზელანდიის ნაკრების შუამარბი კონრად სმიტი ოთხი ერის გათამაშების მინიმუმ პირველ ორ მატჩს გამოტოვებს. მან ზე რაგბის ერთ-ერთ მატჩში თვალი დაიშავა და ოპერაცია გაიკეთა.**

კონრად სმიტი „ოლ ბლექსის" ვეტერანია, რომელმაც ეროვნულ გუნდში 58 კეპი მოიხვეჭა. ოპერაციის შემდეგ მკურნალობა კიდევ დასჭირდა. *„მარცხენა თვალზე ორი პროცედურა ჩაუტარეს, რის შემდეგაც თავს კარგად გრძნობს. კონრადი კლინიკიდან მეორე დღესვე გავწერეთ და ახლა რეაბილიტაციის კურსს შინ გადის. ამჟამად მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სმიტი ვარჯიშს ექვსი კვირის შემდეგ შეძლებს",* - თქვა მისმა მკურნალმა ექიმმა **იან მერფიმ.**

ერთი სიტყვით, „ოლ ბლექსის" 30 წლის შუამარბი ოთხი ერის ორ საწყის შეხვედრას გამოტოვებს ავსტრალიის ნაკრებთან სიდნეისა და ოქლენდში. ეს დანაკლისი ახალი ზელანდიის ნაკრებისთვის დიდი დარტყმაა. სმიტის გარდა გუნდს სხვადასხვა მიზეზით ვერ დაეხმარებიან: **რიჩარდ კაჰუი, ტამატი ელისონი** და **სონი ბილ ვილიამსი.** ახალზელანდიელთა თავკაცი 28-კაციან გაფართოებულ შემადგენლობას 5 აგვისტოს დაასახელებს.

სმიტის ტრავმის გამო ეროვნულ გუნდში მოხვედრის შანსი გაუჩნდათ **რობი ფრუანს, რაია კროტის** (ორივე-კრუსეიდერზი), **ბენ სმიტს** (ჰაილენდერზი) და **ტიმ ბატმენს** (ჰარიკენზი).

# უელსს ტესტებზე კრიზისი ემუქრება

**უელსის ნაკრები შემოდგომის ტესტებზე ოთხ მატჩს გამართავს. ბოლო შეხვედრა „წითელ ურჩხულებს" 1 დეკემბერს აქვს, რაც IRB-ს ოფიციალურ სანაკრებო ფანჯარას არ ემთხვევა.**

უელსელების თავკაცს **უორენ გეთლენდს** ამის გამო სერიოზული პრობლემა შეექმნება, რადგან ის რამდენიმე წამყვანი მორაგბის გამოძახებას ვერ შეძლებს, რადგან ამ დროს კლუბები საშინაო ჩემპიონატების მატჩებს მართავენ. ეს მორაგბეები არიან **გეთინ ჯენკინსი, მაიკ ფილიპსი, ჯეიმზ კრუკი, ლუკ ჩარტერისი** და **ჰიუ ბენეტი**, რომლებიც ფრანგულ გუნდებში ირჯებიან.

არადა, უელსის ნაკრებს ძალიან უნდა ივნისის ტესტებზე განცდილი მარცხის გამო რევანში აიღოს.

*„ეს საკმაოდ სერიოზული პრობლემაა. არ შეიძლება ეროვნულ ნაკრებსა და კლუბებს შორის კონფლიქტი წარმოიქმნას. ჩვენ ყველა მორაგბეს სათითაოდ უნდა დავუკავშირდეთ და გავარკვიოთ, აქვთ თუ არა კონტრაქტში რაიმე ხელმოსაჭიდი, რათა ავსტრალიის ნაკრებთან თამაში შეძლონ.*

*ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ „ვოლაბებთან" თამაშის გამოტოვება გუნდის, დაახლოებით, ათ წამყვან მორაგბეს მოუწევს. ეს კი გავლენას მოახდენს ნაკრებში გამოძახებულთა სიაზე და მუშაობის დაგეგმვაზე.*

*თუ ბოლო, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თამაშში ვერ ითამაშებს, რა აზრი აქვს სხვა დანარჩენ შეხვედრებში ასეთი მორაგბის გამოყენებას? ერთი სიტყვით, სერიოზული დილემის წინაშე ვდგავართ",* - თქვა უელსის ნაკრების თავკაცმა უორენ გეთლენდმა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



# london 2012

ეროვნული ბიბლიოთეკა




## 107 უარყოფილი

ცნობილი გახდა, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე 107 სპორტსმენი ვერ შეძლებს გამოსვლას. საქმე ისაა, რომ მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ ზაფხულის თამაშების წინ სპორტის სხვადასხვა სახეობის 107 წარმომადგენელს არ მისცა შესარჩევ ტურნირებში გამოსვლის უფლება, - წერს სააგენტო AP.

დადებით დოპინგ-სინჯებზე ინფორმაცია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე სააგენტოს ხელმძღვანელმა **ჯონ ფეიჰიმ** წარმოადგინა. მისი სიტყვებით, რამდენიმე სპორტსმენი, რომელიც აკრძალული პრეპარატების მიღებაში გამოიჭირეს, მაინც ვერ გაივლიდა კვალიფიკაციას.

წესის დამრღვევი სპორტსმენების გამოვლენაში, მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს გარდა, სპორტის სახეობების საერთაშორისო ფედერაციები და ლონდონის თამაშების ორგანიზატორები მონაწილეობდნენ. არაფერს იტყობინებიან იმის შესახებ, რამდენი ქვეყნის სპორტსმენს აუკრძალეს ოლიმპიადაზე გამოსვლა.

იმ სპორტსმენებმა, რომლებიც დოპინგს იყენებენ, უნდა იცოდნენ, რომ მათ დოპინგ-კონტროლიორების მოტყუების მინიმალური შანსი აქვთ, - აღნიშნა ფეიჰიმ.

### ბრაზილიამ ძირითადი მეკარე დაკარგა

ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა - ბრაზილიის ნაკრებმა ძირითადი მეკარე **რაფაელ კაბრალი** დაკარგა. „სანტოსის" გოლკიპერმა ტრავმა ერთ-ერთი ვარჯიშის დროს მიიღო და იძულებული გახდა, სამშობლოში დაბრუნებულიყო.

ბრაზილიელთა დამრიგებელმა **მანუ მენეზეშმა** უკვე გამოაცხადა, რომ რაფაელს ძირითად შემადგენლობაში სარეზერვო მეკარე, „ფიორენტინას" წევრი **ნეტუ** შეცვლის.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიამ ორი დღის წინ საწვრთნელი შეხვედრა ჩაატარა ბრიტანეთის ნაკრების წინააღმდეგ და 2:0 გაიმარჯვა.

ოლიმპიადის ჯგუფურ ეტაპს ბრაზილია ხვალ, ეგვიპტესთან მატჩით გახსნის. C ჯგუფში მისი მეტოქეები ასევე არიან - ბელარუსი და ახალი ზელანდია.

### ლონდონი პოლიგონს ემგვანება

ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად, ბრიტანეთის მთავრობა აძლიერებს ლონდონში უსაფრთხოების ზომებს. კერძოდ, ქვეყნის თავდაცვის სამინისტრომ დამატებით 1200 ჯარისკაცი გამოყო ბრიტანეთის დედაქალაქის ქუჩებში პატრულირებისთვის. მანამდე იგივე მისია დაეკისრა 3500 სამხედრო მოსამსახურეს.

შეგახსენებთ, უსაფრთხოების უზრუნველყოფაში სამხედროების ჩართვა მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც იმ კერძო ფირმამ, რომელიც პასუხისმგებელი იყო ამ საკითხების მოგვარებით, საკონტრაქტო ვალდებულებები არ შეასრულა. კერძოდ, მან ვერ შეძლო საჭირო რაოდენობის მცველების მობილიზება.

### ოლიმპიური სოფლის ნაცვლად ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო

ამერიკის საჩოგბურთო ნაკრების წევრებმა ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ არ დასახლდებიან ოლიმპიურ სოფელში და ზაფხულის თამაშების დროს უიმბლდონის კორტებთან ახლოს, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში იცხოვრებენ.

გარდა ამისა, ამერიკელებმა ჯერ ვერ გაარკვიეს დუეტების შემადგენლობა წყვილთა და შერეულ წყვილთა თანრიგში. შეგახსენებთ, რომ აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში ბევრი ვარსკვლავია - **სერენა** და **ვენუს უილიამსები**, **ენდი როდიკი**, აგრეთვე მამაკაცებს შორის ერთ-ერთი უძლიერესი წყვილი **ბობ** და **მაიკ ბრაიანების** შემადგენლობით.

### უკრაინელთა ჰონორარი: 100 ათასი და ახალი ბინა

უკრაინის მთავრობამ დაადგინა პრემიალური თანხის ოდენობა, რომელიც ამ ქვეყნიდან ლონდონის თამაშების ჩემპიონს გადაეცემა. პეკინის ოლიმპიადასთან შედარებით, ჰონორარის ოდენობა არ შეცვლილა - ოქროს მედლის მფლობელს 100 ათასი დოლარი გადაეცემა, ვერცხლისმედალოსანი 75 ათასს მიიღებს, ბრინჯაოსი - 50 ათასს. ეს ინფორმაცია უკრაინის სპორტის სახელმწიფო სამსახურმა გაავრცელა.

ფულადი პრემიის გარდა, მთავრობა ოლიმპიურ ჩემპიონს ახალ ბინასაც გადასცემს.

## ფინალის რეპეტიცია დრიმ თიმს დარჩა

ამერიკის საკალათბურთო ნაკრებმა დაასრულა მზადება ლონდონის ოლიმპიადისთვის. 2012 წლის „დრიმ თიმმა" ხუთი საწვრთნელი შეხვედრა ჩაატარა და ხუთივე მოიგო.

გუშინ, შედგა ლონდონის თამაშების ფინალის რეპეტიცია - ბარსელონაში ესპანეთის ნაკრებმა ამერიკას უმასპინძლა. როგორც იცით, ეს გუნდები ოთხი წლის წინ, პეკინის ფინალშიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და მაშინ ამერიკელებმა გაჭირვებით გაიმარჯვეს. ესპანელებმა ვერ შეძლეს რევანშის აღება.


კარმელო ენტონი

არადა, მასპინძლებმა მატჩი კარგად დაიწყეს და პირველი მეოთხედის დასრულებამდე წუთითა და 15 წამით ადრე - 20:13 დაწინაურდნენ.

ამერიკელებმა სიტუაცია მეორე მეოთხედში გამოასწორეს. ეს **კარმელო ენტონის** დამსახურებაა - მან სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო შეხვედრა, პირველ ტაიმში ხუთი სამქულიანი ჩააგდო და 23 ქულა მიითვალა.

სწორედ მან დაიწყო 20:6 გაქცევა, რომლის შემდეგაც ანგარიში გახდა 42:32 ამერიკის სასარგებლოდ. საბოლოოდ, პირველი ტაიმი სტუმრებმა რვა ქულის სხვაობით მოიგეს - 48:40.

ესპანეთის ნაკრები ამ შოკიდან მატჩის ბოლომდე ველარ გამოვიდა. მეორე ტაიმში სხვაობა მხოლოდ იზრდებოდა და მალე ანგარიში 60:46 გახდა. ამას მოჰყვა **რასელ უესტბრუკის** ზედიზედ შვიდი ქულა და მესამე მეოთხედის დასრულებამდე 4 წუთით ადრე სტუმრები 69:48-ს იგებდნენ.

თამაშის სურათიდან გამომდინარე, მეოთხე მეოთხედი ფორმალობად იქცა. თუმცა ესპანეთმა სცადა გაბრძოლება და ერთხელ 14 ქულამდე დაიყვანა ჩამორჩენა, მაგრამ **ლებრონ ჯეიმსის** ზედიზედ ორი ორქულიანით ამერიკამ ისევ მოიპოვა დიდი უპირატესობა.

სწორედ ლებრონი გახდა 25 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე. ესპანელთა რიგებში, როგორც წესი, ყველაზე შედეგიანი იყო პაუ გასოლი 19 ქულით.

საბოლოოდ, საფინალო სირენასთან ერთად დაფიქსირდა მატჩში ყველაზე დიდი სხვაობა - ამერიკამ 22 ქულით გაიმარჯვა - 100:78.

მატჩის დასრულების შემდეგ, ამერიკელი რეპორტიორები ააფორიაქა მარკ გასოლმა, რომელიც ტრავმის გამო არ გასულა მოედანზე. „მემფისის" კალათბურთელმა განაცხადა, რომ აშშ-ის დღევანდელ ნაკრებს შანსი არ ექნებოდა 1992 წლის „დრიმ თიმის" წინააღმდეგ. *„თავისი ყველაზე უარესი თამაშით, ის გუნდი დღევანდელს 15-20 ქულის სხვაობით მოუგებდა*, - განაცხადა მარკმა. - *„ამერიკის ნაკრებმა ძალიან უნდა მოინდომოს ამ ოლიმპიადის მოსაგებად, მაგრამ მაინც არ ვარ დარწმუნებული, რომ ისინი ოქროს მედალს მოიპოვებენ"*.

**ესპანეთი-აშშ 78:100**

**23:21, 17:27, 19:26, 19:26**

ე: პ. გასოლი (19), იბაკა (16), ნავარო (11), ფერნანდესი (8), კლავერი (7), რეიესი (7), კალდერონი (4), სადა (3), სან ემეტერიო (2), ლიული (1).

ა: ენტონი (27), ჯეიმსი (25), დურანტი (13), უესტბრუკი (9), ჰარდენი (7), ბრაიანტი (6), პოლი (5), უილიამსი (4), ჩენდლერი (2), ლავი (2).

## დევიდი მაინც დააფასეს


დევიდ ბექჰემი

ცნობილია, რომ **დევიდ ბექჰემი** არ შეიყვანეს ბრიტანეთის ოლიმპიურ ნაკრებში, მაგრამ გუშინ გაირკვა, რომ ინგლისელი ნახევარმცველი მაინც იქნება ჩართული ოლიმპიადაში - კერძოდ, ის მონაწილეობას მიიღებს გახსნის ცერემონიაში.

*"გახსნის ცერემონიაზე გარკვეული როლი მექნება. ეს დიდი პატივია ჩემთვის. ამასთან, მე ერთ-ერთი ვარ იმ ადამიანებს შორის, რომელმაც შვიდი წლის წინ ხელი შეუწყო ლონდონისთვის ოლიმპიადის მიღებას.*

*თამაშების დროს ამერიკაში გავემგზავრები და შემდეგ ისევ დავბრუნდები. შევეცდები მაქსიმალურად ბევრ ტურნირს დავესწრო*, - განაცხადა ბექჰემმა.

ვარაუდობენ, რომ დევიდი მონაწილეობას მიიღებს ცნობილი პიროვნებების ალლუმში, რომელიც ოლიმპიური ცეცხლის ანთების რანგში გაიმართება.

სხვათა შორის, ბრიტანული პრესა ვარაუდობდა, რომ სწორედ ბექჰემს დაანთებინებდნენ მთავარ ოლიმპიურ ცეცხლს. მაგრამ დევიდმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ეს მისია მხოლოდ ოლიმპიურ ჩემპიონს უნდა დაეკისროს.

## პოლიტიკური თამაშები

ბელარუსის პრეზიდენტს **ალექსანდრ ლუკაშენკოს** 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის აკრედიტაციაზე უარი უთხრეს. შესაბამისი გადაწყვეტილება თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ლუკაშენკო ბელარუსის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტიცაა, მაგრამ ამანაც არ უშველა აკრედიტაციის მიღებაში. ცნობილია, რომ ბელარუსი ევროსაბჭოს მხრიდან სანქციების ობიექტი გახდა ქვეყანაში განხორციელებული რეპრესიებისა და ადამიანთა უფლებების დარღვევების გამო.

ჯერჯერობით უცნობია ოფიციალური მინსკის რეაქცია ლონდონის თამაშების ორგანიზატორთა ამ გადაწყვეტილებაზე. არც ისაა ცნობილი, აპირებდა თუ არა ლუკაშენკო ლონდონში გამგზავრებას.

■ ■ ■

არგენტინის პრეზიდენტი **კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერი** არ დაესწრება ლონდონის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიას. მის ქვეყანასა და ინგლისს შორის ფოლკლენდის კუნძულების საკითხზე გაზრდილი დაძაბულობის გამო არგენტინის მთავრობის არც ერთი წარმომადგენელი არ ჩავა ბრიტანეთის დედაქალაქში.

როგორც ადრე ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებდა, ლონდონის ოლიმპიადა ისტორიაში სახელმწიფოთა მეთაურების ყველაზე დიდ რაოდენობას შეკრებს.

■ ■ ■

მძლეოსანი **პარასკევა პაპახრისტუ** საბერძნეთის ოლიმპიური ნაკრებიდან გარიცხეს. ამის მიზეზი გახდა „ტვიტერის" სოციალურ ქსელში მისი რასისტული რეპლიკები.

*„იმ განცხადების გამო, რომელიც ეწინააღმდეგება ოლიმპიურ ფასეულებებსა და იდეალებს, საბერძნეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ეროვნული გუნდიდან გარიცხოს პარასკევა პაპახრისტუ"*, - იტყობინება საბერძნეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, თუმცა ინციდენტის დეტალებს არ ამხელს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


ალექსანდრ ლუკაშენკო

## ფეხბურთი

ქალები. ჯგუფური ეტაპი. I ტური london 2012

# ფავორიტებმა დაგეგმილი გამარჯვებებით დაიწყეს


მარტამ დუბლი შეასრულა

ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონია ხვალ გაიმართება, მაგრამ ქალთა საფეხბურთო ტურნირით ლონდონი-2012 გუშინ დაიწყო. დღეიდან საქმეში კაცი ფეხბურთელებიც ჩაერთვებიან და ფეხბურთისა და სპორტის ქომაგებსაც მალე მოსაწყენად აღარ ეცლებათ.

თუკი ახლო წარსულში ქალთა ფეხბურთს ბევრი ალმაცერად უყურებდა, ბოლო წლებში სუსტი სქესის თამაშის ხარისხი საგრძნობლად ამაღლდა და ამაში გუშინდელმა საღამომაც დაგვარწმუნა – ბრიტანეთის სტადიონებზე საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთი ვიხილეთ და ლამაზი გოლების მომსწრენიც გავხდით.

აღსანიშნავია, რომ ტურნირი ყველა ფავორიტმა გამარჯვებით დაიწყო – აშშ-მ, ბრაზილიამ, შვედეთმა და მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა იაპონიამ დაგეგმილი სამი ქულა მოიპოვეს და მეორე ტურისთვის ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე მოემზადებიან.

მასპინძელ ბრიტანელებს ტურნირის გახსნით მატჩში ახალზელანდიელებთან დიდი ჯაფა დაადგათ, მაგრამ მეორე ტაიმში გამარჯვების გოლი მაინც გაიტანეს და მეოთხედფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს. ბრაზილიელებმა კი კამერუნელებს წარმატების იოტისოდენა შანსიც არ დაუტოვეს, რაშიც ლომის წილი მათმა ლიდერმა **მარტამ** დაიდო. ბრაზილიელთა გარდა, შვედთა უხვგოლიანი გამარჯვებაც აღსანიშნავია.

იქიდან გამომდინარე, რომ ორი ჯგუფიდან მეოთხედფინალში თამაშის უფლებას სამ-სამი გუნდი მოიპოვებს, უშანსოდ, ალბათ, არც ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის შემდეგ დარჩება ვინმე, რაც იმის გარანტიას გვაძლევს, რომ მატჩების აბსოლუტური უმრავლესობა საინტერესო და უკომპრომისო ორთაბრძოლაში ჩაივლის. სანახაობა კი გუშინ ნამდვილად კარგი იყო და დარწმუნებულები ვართ, წინ კიდევ უფრო შინაარსიანი ფეხბურთი გველის.

**E ჯგუფი**

**ბრიტანეთი–ახალი ზელანდია 1:0**

**გოლი:** 1:0 ჰაუტონი (64)

**კამერუნი–ბრაზილია 0:5**

**გოლები:** 0:1 ფრანსიელი (7), 0:2 კოშტა (11), 0:3 მარტა (73. პენ.), 0:4 კრისტიანა (80), 0:5 მარტა (88)

**28 ივლისი**

ზელანდია-ბრაზილია
ბრიტანეთი-კამერუნი

**F ჯგუფი**

**იაპონია–კანადა 2:1**

**გოლები:** 1:0 კავასუმი (33), 2:0 მიიამა (44), 2:1 ტანკრედი (55)

**შვედეთი–ს. აფრიკა 4:1**

**გოლები:** 1:0 ფიშერი (7), 2:0 დალკვისტი (20), 3:0 შელინი (21), 3:1 მოდისე (60), 4:1 შელინი (63)

**28 ივლისი**

იაპონია-შვედეთი
კანადა-ს. აფრიკა

**G ჯგუფი**

**აშშ–საფრანგეთი 4:2**

**გოლები:** 0:1 ტინი (12), 0:2 დელი (14), 1:2 ვემბეჩი (19), 2:2 მორგანი (32), 3:2 ლოიდი (56), 4:2 მორგანი (66)

**კოლუმბია–ჩრდ. კორეა 0:2**

**გოლები:** 0:1 სონ-ჰუი კიმი (39), 0:2 სონ-ჰუი კიმი (86).

**28 ივლისი**

აშშ-კოლუმბია
საფრანგეთი-ჩრ. კორეა

**ლევან ჯანეზაშვილი**

● კალათბურთი

# მაიამი–ბოსტონით დაიწყება

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 2012-13 წლების სეზონის კალენდარი ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ამერიკულმა სპორტულმა ვებგვერდებმა გაარკვიეს, რომ NBA-ის ახალი ჩემპიონი - „მაიამი ჰიტი" რეგულარულ ჩემპიონატს „ბოსტონთან" საშინაო მატჩით გახსნის. მატჩი American Airlines Arena-ზე 30 ოქტომბერს გაიმართება.

ასევე ცნობილი გახდა, რომ შობაზე „ჰიტი" „ოკლაჰომას" შეხვდება, 17 იანვარსა და 10 თებერვალს კი ის „ლეიკერსს" დაუპირისპირდება.

სეზონის სრულ კალენდარს ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია ამ კვირის ბოლოს გამოაქვეყნებს.

■ ■ ■

NBA-ის რამდენიმე კლუბის გენერალურმა მენეჯერმა განაცხადა, რომ „ორლანდოს" ხელმძღვანელობა არ აპირებს წელს თავისი ვარსკვლავური ცენტრის - **დუაიტ ჰოვარდის** გაცვლას. ერთ-ერთი გენერალური მენეჯერის თქმით, „ორლანდოში" უკვე რამდენიმე კვირაა იმეორებენ ერთი და იმავე პოზიციას: *„ჰოვარდი მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს კლუბს, თუ მის სანაცვლოდ ხელსაყრელ პირობებს შემოგვთავაზებენ".*


დუაიტ ჰოვარდი

კიდევ ერთი ვერსიის თანახმად, „ორლანდო" ჰოვარდის გაცვლის საკითხს მხოლოდ 2013 წლის თებერვალში დაუბრუნდება.

**გია თვალაბეიშვილი**

## აშიქი ჰიუსტონში წავიდა

„ჰიუსტონ როკეტსის" გენერალურმა მენეჯერმა **დერილ მოურიმ** განაცხადა, რომ თურქი ცენტრი **ომერ აშიქი** „რაკეტების" რიგებში გააგრძელებს კარიერას. კალათბურთელმა, რომელსაც შეზღუდული უფლებების თავისუფალი აგენტის სტატუსი ჰქონდა, ტეხასელებთან სამწლიანი და 25-მილიონიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა.

აშიქი გასულ სეზონში „ჩიკაგოში" თამაშობდა და 66 მატჩში საშუალოდ 3.1 ქულა და 5.3 მოხსნა დააგროვა.

## ბელინელი ჩიკაგოელია

ოფიციალურად გამოცხადდა იტალიელი მცველის **მარკო ბელინელის** „ჩიკაგოში" ტრანსფერი. „ნიუ ორლეანის" ან უკვე ყოფილმა მოთამაშემ („ჰორნეტსის" რიგებში ორი წელი გაატარა) „ხარებთან" კონტრაქტი გააფორმა, რომლის დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა.

## შარასი ბარსაში დაბრუნდა

ვეტერანი ლიტველი მცველი **შარუნას იასიკიავიჩუსი** მომავალ სეზონს „ბარსელონას" რიგებში ჩაატარებს. 36 წლის პლეიმეიკერი უახლოეს პერიოდში გააფორმებს კონტრაქტს კატალონიურ კლუბთან, რომლის რიგებშიც 2000-03 წლებში თამაშობდა და ამ დროის განმავლობაში ევროლიგა და ორი ესპანური ტიტული მოიგო.

„ბარსელონას" გარდა, იასიკიავიჩუსის გადაბირებით კაუნასის „ჟალგირისი" იყო დაინტერესებული.

**გია თვალაბეიშვილი**

● კრივი

# 50 Cent პრომოუტერი გახდა


50 CENT - მეივეზერი მეგობარ რეპერთან

პოპულარულმა ამერიკელმა რეპმომღერალმა, მსახიობმა და ბიზნესმენმა **ჯეიმს კერტის ჯექსონმა**, რომელიც უფრო 50 Cent-ის სახელით არის ცნობილი, პრომოუტერის ლიცენზია მიიღო. მისი კომპანია - TMT (The Money Team - „ფულიანი გუნდი") ოფიციალურ მოღვაწეობას ნიუ იორკის შტატში დაიწყებს. TMT-ის პირველი კლიენტები გახდნენ - ნახევრად მჩატე წონაში მსოფლიოს ექსჩემპიონი, კუბელი **იურიორკის გამბოა** და მეორე საშუალო წონის მოკრივე, ამერიკელი **ანდრე დირელი**.

ახლა, რეპერი პრომოუტერი ნევადას შტატის სპორტული კომისიისგან ელის ნებართვას - მას სურს ამ ტერიტორიაზეც გავრცელდეს ახალი პრომოუტერული კომპანიის მოღვაწეობა.

ამ რამდენიმე წლის წინ, 50 Cent თავად აპირებდა პროფესიულ რინგზე გასვლას, მაგრამ, საბოლოოდ, სპორტის ამ სახეობის საორგანიზაციო მხარეს მიანიჭა უპირატესობა. აღსანიშნავია, რომ რეპერის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი **ფლოიდ მეივეზერი**, რომელიც ამჟამად ციხეში ზის.

**გია თვალაბეიშვილი**

## უცხოური სპორტი

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ოლიმპიადა**

**ქალები**

| | |
|---|---|
| ბრიტანეთი-ახ. ზელანდია | 1:0 |
| კამერუნი-ბრაზილია | 0:5 |
| იაპონია-კანადა | 2:1 |
| შვედეთი-ს. აფრიკა | 4:1 |
| აშშ-საფრანგეთი | 4:2 |
| კოლუმბია-ჩრ. კორეა | 0:2 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**II საკვ. ეტაპი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ჰელსინგბორგი-ტნს | 3:0 (0:0) |
| ვარდარი-ბატე | 0:0 (2:3) |
| დინამო (ზ)-ლუდოგორეცი | 3:2 (1:1) |
| ლინფილდი-აელ | 0:0 (0:3) |
| შლიონსკი-ბუდუჩნოსტი | 0:1 (2:0) |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| კოლამბუსი-სტოკი | 2:1 |
| მონრეალი-ლიონი | 1:1 |
| კანზასი-მონპელიე | 0:3 |
| კოლორადო-სუონსი | 2:1 |
| პორტლენდი-ასტონ ვილი | 2:2 |
| ლოს ანჯელესი-ტოტენჰემი | 1:1 |
| შანხაი-მანჩესტერ იუნ | 0:1 |
| ლაციო-სიენა | 0:1 |
| ბორუსია (მ)-მიუნხენი | 4:2 |
| ბეირა მარი-ოლივეირენსე | 0:0 |
| ბრესტი-რენი | 3:1 |
| ნანსი-ტრუა | 1:1 |
| ლევერკუზენი-აუგსბურგი | 0:2 |
| არმინია-ვალენსია | 1:1 |
| ბორდო-ტულუზა | 2:1 |
| დენ ჰააგი-დორდრეჰტი | 3:2 |
| კოპენჰაგენი-ვესტ ბრომვიჩი | 0:3 |
| ერფურტი-ვესტ ჰემი | 0:3 |
| ტური-სტ. ეტიენი | 0:2 |
| ვერდერი-აბერდინი | 1:0 |
| კოლმარი-სოშო | 0:1 |
| ფენერბაჰჩე-ვისლა | 0:0 შეწყდა |
| ფეიენოორდი-მალიორკა | 0:0 |
| უესკა-ვილიარეალი | 3:3 |
| ნასიონალი-სეტუბალი | 2:0 |
| სტ. გალენი-დორტმუნდი | 1:2 |
| კატანია-ვიჩენცა | 0:1 |
| სელტა-ატლეტიკო | 1:0 |
| კორდობა-გრანადა | 2:1 |
| ფალკირკი-ბოლტონი | 1:1 |
| მენსფილდი-დერბი | 2:1 |
| როჩდეილი-ბლექბერნი | 1:0 |
| თუნი-მარსელი | 3:3 |
| ეთლონი-პორტ ვეილი | 0:5 |
| კემბრიჯი-იფსვიჩი | 0:2 |
| კილმარნოკი-ჰადერსფილდი | 1:1 |
| ხირონა-სევილია | 0:1 |
| პენაფიელი-ფერეირა | 0:3 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ელტერსდორფი-ბუხბახი | 1:1 |
| ბაიერნ ჰოფი-ბაიერნი II | 0:0 |
| აუგსბურგი II-ისმანინგი | 2:3 |
| ვიურცბურგერი-ფიურტი II | 2:2 |
| ზელიგენპორტენი-ვიქტორია | 5:0 |
| რაინი-ილერტისენი | 2:3 |
| ინგოლშტადტი II-როზენჰაიმი | 0:1 |
| მემინგენი-ნიურნბერგი II | 1:1 |
| ჰელმსშტეტენი-ბამბერგი | 0:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| პელეტსი-აუსტრია | 0:1 |

**პერუ**

| | |
|---|---|
| უნ. კომერსიო-კობრესოლი | 2:1 |
| რეალ გარსილასო-ლეონი | 1:0 |
| ინტი გასი-სენსიანო | 1:0 |
| სპორტი-ხოსე გალვესი | 0:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. კიტცბუელი**

| | |
|---|---|
| **კლიჟანი**-ჩერვენაკი | 6:4, 6:4 |
| **როსოლი**-ვეიჩი | 6:3, 5:7, 6:3 |
| **ბოლელი**-ფ. მაიერი | 6:2, 7:6 |
| ცოპი-ოდესნიკი | 7:5, 5:7, 0:3 შეწყდა |
| კოლშრაიბერი-ბალაში | 0:3 შეწყდა |

**WTA. ბაქო**

| | |
|---|---|
| ტანასუგარნი-**რიბარიკოვა** | 1:6, 0:6 |
| **კოენი**-კუდრიავცევა | 6:1, 6:4 |
| **ბრატჩიკოვა**-კაბესა | 6:0 უარი |
| პოუს ტიო-**კრუნიჩი** | 6:7, 3:6 |
| ზანიევსკა-**პანოვა** | 6:4, 6:7, 3:6 |
| **იოვანოვსკი**-სოლოვიოვა | 6:2, 6:3 |
| ბრიანტი-**პუჩკოვა** | 6:3, 6:7, 1:6 |
| **მინელა**-დომახოვსკა | 6:4, 7:5 |

● TV პროგრამა

**26 ივლისი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ფეიენოორდი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბორუსია (მ).
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ნაპოლი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-აიაჩო.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ალკმაარი.
**20:00** ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ბარსელონა.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. მალაგა.
**23:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერი-ქუინზ პარკი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ფიორენტინა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ნიუ იორკი-ჩიკაგო.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-ტვენტე.
**17:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. ტულუზა-გლოსტერი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ლიონი.
**21:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**22:00** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ნიუ იორკი-ჩიკაგო.
**23:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**00:30** NBA ACTION.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP -ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
**14:15** სპორტ-NEWS.
**14:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. არლეკინსი-კონახტი.
**16:30** სპორტ-NEWS.
**17:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**17:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ასტონ ვილა.
**19:30** კალათბურთი. ევროლიგა. ეფესი-ოლიმპიაკოსი.
**21:30** ჩოგბურთი. ATP -ის ტური. ვაშინგტონი. აშშ.
**23:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. კარდიფი-ლონდონ აირიში.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 21 | 35 | (მზე) |
| ქუთაისი | 26 | 39 | (მზე) |
| ბათუმი | 23 | 32 | (მზე) |
| ფოთი | 24 | 38 | (მზე) |
| ზუგდიდი | 24 | 38 | (მზე) |
| გორი | 21 | 35 | (მზე) |
| თელავი | 21 | 34 | (მზე) |
| სიღნაღი | 21 | 33 | (მზე) |
| ქობულეთი | 21 | 33 | (მზე) |
| ბაკურიანი | 15 | 30 | (მზე) |
| ბორჯომი | 17 | 36 | (მზე) |
| მესტია | 13 | 33 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0152 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6597 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5730 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0347 |



კანოეს სლალომის ტრასა

# მის ოლიმპიადა გამოავლინეს

ოლიმპიადა არ დაწყებულა და უკვე გამოარკვიეს მომავალი ზაფხულის თამაშების მთავარი ლამაზმანი. ეს საპატიო ტიტული მოიპოვა ხორვატმა კალათბურთელმა **ანტონია მიშურამ**.

24 წლის მიშურა (სიმაღლე - 179 სმ) შემტევი მცველის პოზიციაზე თამაშობს მშობლიური ქალაქის შიბენიკის კლუბში. 2012 წლის ევრობასკეტზე მან ცხრა მატჩში 43 ქულა დააგროვა.

ანტონია ხორვატიის ნაკრებში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ და ტექნიკურ კალათბურთელად მიიჩნევა. სპორტული კარიერის განმავლობაში ის ერთხელ უკვე აღიარეს ყველაზე ლამაზ მოთამაშედ - 2009 წელს ხმელთაშუა ზღვის თამაშებზე.

არაფერი დაწერილა იმაზე, ვინ ჩაატარა გამოკითხვა და რომელი ვერსიით გახდა მიშურა „მის ოლიმპიადა", თუმცა ამას არ აქვს მნიშვნელობა, რადგან ამ ფოტოს შემხედვარე, აუცილებლად უნდა გავიზიაროთ ეს არჩევანი.

ხორვატიის ნაკრები ოლიმპიადაზე A ჯგუფში მოხვდა ანგოლასთან, ჩინეთთან, ჩეხეთთან, თურქეთთან და აშშ-ის ნაკრებებთან ერთად.

# ლონდონი ციფრებში

მათ, ვინც ოლიმპიადის სტარტებს ადევნებს თვალს, ბუნებრივია, პირველ რიგში, შეჯიბრებების საბოლოო შედეგები აინტერესებთ. მაგრამ, არსებობს საინტერესო სტატისტიკური მონაცემები, რომელთა გარეშე ოლიმპიადა არ შედგება. მაშ ასე, ლონდონი ციფრებში...

**26** - სპორტის სახეობების რაოდენობა

**302** - გასათამაშებელი ოქროების რაოდენობა

**204** - მონაწილე ქვეყნები

**10 500** - სპორტსმენების მიახლოებითი რიცხვი

**17** - სათამაშო დღეების რაოდენობა (19 - ფეხბურთის ჩათვლით)

**34** - ოლიმპიური ობიექტი

**8.8** მილიონი - ბილეთების რაოდენობა

**1908** და **1948** - ლონდონში წინა ოლიმპიადების ჩატარების თარიღი

**30** - ბრიტანეთის სამეფო ფოსტის მიერ გამოშვებული ოლიმპიური მარკების რაოდენობა

**4 000** - თამაშების დროს რკინიგზის დამატებითი სერვისის რაოდენობა

**400 000** - ოლიმპიური ლოგოს შექმნის ღირებულება

**1.34** - ოლიმპიურ ოქროს მედალში ოქროს შემცველობის პროცენტი

## ოლიმპიური პარკი და სოფელი

**563** - ოლიმპიადის ტრანსლირებისთვის საჭირო კაბელების სიგრძე (კილომეტრებში)

**10 000** - დროებითი ტუალეტების რაოდენობა (ეყოფა მთელ მალტას)

**5 000** - ოლიმპიური სოფლის სასადილოს სიმძლავრე

**14** მილიონი - ასეთი რაოდენობის კერძი დამზადდება ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშების დროს

**6 000** - მშვილდოსნობაში სამიზნეების რაოდენობა

**356** - საკრივო ხელთათმანების რაოდენობა

**99** - სასწავლო თოჯინების რაოდენობა ჭიდაობასა და ძიუდოში

**150 000** - პრეზერვატივების რაოდენობა ოლიმპიურ სოფელში

**165 000** - პირსახოცების რაოდენობა ოლიმპიურ სოფელში

**1 232** - ნაჭრის სიგრძე, რომელიც მოთამაშეთა ფორმის შესაკერად არის საჭირო

## ოლიმპიური ობიექტები

**4** - საწყლოსნო სახეობების ცენტრის მშენებლობისას პრეისტორიული პერიოდის ოთხი ადამიანის ჩონჩხი აღმოაჩინეს

**180 000** - ფილების რაოდენობა 50-მეტრიანი საცურაო და 25-მეტრიანი წყალში ხტომის აუზისთვის

**300 000** - ლურსმნების რაოდენობა, რომელიც ველოტრეკის იატაკის დასაგებად გამოიყენეს

**4** - სალოცავი ოთახების რაოდენობა ოლიმპიურ სტადიონზე

**30** - დანგრეული შენობების რაოდენობა ოლიმპიური სტადიონისთვის ადგილის გამოსაყოფად

**56** - ფერების რაოდენობა ოლიმპიური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიის გასაფორმებლად

**26** - წყლის ტემპერატურა ოლიმპიურ აუზში (3-4 გრადუსით დაბალი, ვიდრე ჩვეულებრივ აკვაპარკებში)

**2.4** - საკალათბურთო არენებზე ყველა კარის სიმაღლე (მეტრი)

**22** - საათების რაოდენობა, რომელიც საკალათბურთო არენის ხელბურთის არენად გადაკეთებას სჭირდება

## სახეობები

**2 000** - მძლეოსნობაზე მომუშავე ფოტოკამერები წამში ამდენ ფოტოს იღებენ

**1.07** - **110** მეტრზე თარჯრბენში ბარიერის სიმაღლე (მეტრი)

**9.58** - მსოფლიოს რეკორდი 100 მეტრზე სირბილში (წამი)

**1583** - წელი, როცა მშვილდოსნობაში პირველი ტურნირი ჩატარდა

**402** - მაქსიმალური სიჩქარე, რომელსაც ბადმინტონის ვოლანი ავითარებს (კმ/სთ)

**35** - მაქსიმალური ასაკის ზღვარი მოკრივეებს შორის

**5.5** - სიმაღლის ვარდნა კანოეს სლალომის 300-მეტრიან ტრასაზე

**6** - ველომრბოლთა რაოდენობა, რომლებიც ათენის პირველ ოლიმპიადაზე იღებდნენ მონაწილეობას

**42** - ველოტრეკის დახრილობის კუთხე (გრადუსი)

**60** - წყალში საუკეთესო მხტომელებს 60 სახის ნახტომის შესრულება შეუძლიათ

**1952** - ჰელსინკის თამაშებამდე ოლიმპიადის ცხენოსნობის ტურნირში მხოლოდ სამხედროები გამოდიოდნენ

**2** - სპორტის სახეობების რაოდენობა, რომელშიც ცხოველები გამოდიან (ცხენოსნობა და თანამედროვე ხუთჭიდი)

**172** - მთის ველოსიპედის ტრასაზე სიმაღლის ვარდნა (მეტრი)

**12** - ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონის ასაკი - უცნობი ბიჭი, რომელმაც 1900 წელს, პარიზში ნიჩბოსნობის ტურნირი მოიგო. ის დაესწრო დაჯილდოვების ცერემონიას და შემდეგ გაქრა.

**198** - ბრიტანელი **პეტერ უილსონი** მსოფლიოს რეკორდის მფლობელია ორმაგ ტრეპში (ტყვიის სროლის სახეობა) - მან 200-დან 198-ჯერ მოახვედრა მიზანს

**2** - სახეობების რაოდენობა, რომელშიც მამაკაცები არ გამოდიან (სინქრონული ცურვა და მხატვრული ტანვარჯიში)

**10** - მსაჯების რაოდენობა სინქრონულ ცურვაში

**2.7** - მაგიდის ჩოგბურთში ბურთის წონა (გრამი)

**90** - მაქსიმალური სიჩქარე, რომლითაც წყალბურთელები ბურთს ისვრიან (კმ/სთ)

**4** - თავის წონაზე ოთხჯერ მძიმე შტანგა ასწია 2004 წლის ოლიმპიადაზე ირანელმა **ჰოსეინ რეზაზადემ** (264 კგ).



ანტონია მიშურა




უსაინ ბოლტი და მისი რეკორდი

## ბოლტის სპეციალური საწოლი

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **უსაინ ბოლტი** ოლიმპიადისთვის ბირმინგემის უნივერსიტეტის საწვრთნელ ბაზაზე ემზადება - ის უკვე ერთი კვირაა გადის საწვრთნელ შეკრებას. ბაზაზე ბოლტის მხრიდან ერთადერთი პრეტენზია საწოლს უკავშირდება. კერძოდ, იამაიკელი სპრინტერისთვის სპეციალური ორთოპედიული საწოლი გამოყვეს. ის უნდა დაეხმაროს უსაინს ბოლო დროს ზურგთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში. ბოლტის ოთახში საწოლი სწორედ სპორტსმენის თხოვნით შეცვალეს.

## საკვები არ ვარგა, წყალი ფასიანია

ოლიმპიადაზე ჩასული ჟურნალისტები და სპორტსმენები პირველ პრობლემებს წააწყდნენ. თავდაპირველად, ათლეტებმა დაიჩივლეს ოლიმპიურ სოფელში ცუდი საკვების გამო, შემდეგ კი ჯერი მასმედიის წარმომადგენლებზე მიდგა.

სპორტული ჟურნალისტების საერთაშორისო ასოციაცია (AIPS) ოფიციალური პროტესტით გამოვიდა იმის გამო, რომ პრესცენტრში არ არის უფასო წყალი: ერთი ბოთლის ღირებულება დაახლოებით 2 ლარის ეკვივალენტურ თანხას შეადგენს. არადა, ოთხი წლის წინ, პეკინის ოლიმპიადაზე წყალი რეპორტიორებისთვის უფასო იყო, ისევე, როგორც წელს ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატზე.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608